

၁၃၃ၬၦ

တနင်္လာ

၂၀၁၃

၂၀၁၃

၇

ჩ 3 9 6 0
თაობა

საქართველოს საგვთა მზარდების
კავშირის ერგელთვისა უსაფალი

Nº 7

0 3 3 0 6 0



თ ბ ი ლ 0 6 0 * 1 9 3 7

၁၀၅၁၁ၬ၆၀:

လျှောက်ရှုနံပါတ်	ပြောမျက်နှာ	၃
မီသာစိမ္မရဲ့ လျော်စွဲ		
မီသာစိမ္မရဲ့ မီသာစိမ္မရဲ့	မီသာစိမ္မရဲ့	၁၆
မီသာစိမ္မရဲ့	မီသာစိမ္မရဲ့	၂၁
မီသာစိမ္မရဲ့	မီသာစိမ္မရဲ့	၂၃
မီသာစိမ္မရဲ့	မီသာစိမ္မရဲ့	၂၄
မီသာစိမ္မရဲ့	မီသာစိမ္မရဲ့	၂၅

ဒုတိယအမျိန်

မီသာစိမ္မရဲ့	မီသာစိမ္မရဲ့	၂၇
မီသာစိမ္မရဲ့	မီသာစိမ္မရဲ့	၃၀

အမျိန်

မီသာစိမ္မရဲ့	မီသာစိမ္မရဲ့	၃၅
--------------	--------------	----



მ ა რ ი ვ ა ვ ე მ ი ვ ა ვ ი ნ

მარტ კეცხოველი

(1876—1908) *)

1

მრავალი შესანიშნავი ბოლშევიკი აღზარდა ლენინ-სტალინის პარტიამ. ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის კლასობრივ ბრძოლებში. მრავალი მათგანა დაიღუპა მეფის საბყრობილეთა ჯურლმულებში, კატორლასა და გადასახლებაში მეფის ჯალათების ხელით, სამოჭალაქო ომის სახელოვან გმირულ ბრძოლებში.

ბოლშევკური პარტია პატივისცემით იხსენებს თავის ერთგულ შვილებს და მათი ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის მაგალითზე ზრდის ბოლშევკის ახალ თაობას.

ბოლშევიზმის შესანიშნავ აღამიანთა რიცხვს კუთვნის ლადო კეცხოველიც — ამხანაგი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი რევოლუციური მოძრაობის გარიუჩაუზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ამს. ლადო კეცხოველი მუშათ კლასის რევოლუციურ მოძრაობაში ჩაეჭა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში.

90-იანი წლები რუსეთში კლასობრივი ბრძოლების ისტორიაში შეკიდა, როგორც პერიოდი ლენინის დაძაბული ბრძოლისა მუშათა კლასის მებრძოლი რევოლუციური პარტიის შექმნისათვის, პარტიისა, რომელსაც უნარი ექნებოდა გადაწყვიტა. იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ამოცანები. რუსეთი იყო იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი, უმაგალითო პოლიტიკური ჩავრისა და მტაცებლური ექსპლოატაციის კერა. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის კუნძრი გადავიდა რუსეთში.

„ისტორიამ ჩვენს წინაშე ახლა ღამუენა, — სწორზა ლენინი, — უას-ლოესი, ამოკანა, რომელიც ყველაზე რევოლუციურია რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოკანათვან. ამ ამოკა-ნის განხორცილება, არა მარტო ვეროპულ, არამედ აგრეთვე (შეგვძლია

¹⁾ სტატია დაიბეჭდა გაზ. „პრავდას“ 1937 წ. 11 ივლისს ნომერში.

ვთქვათ ახლა) აზიური რეაქციის ყველაზე მძლავრი ბურჯის დანგრევა, რუსეთის პროლეტარიატს გახდიდა. საერთაშორისო რევოლუციური პრო-ლეტარიატის ავანგარდად”¹⁾.

ლენინმა პირველმა წამოაყენა ლოზუნგი სოციალ-დემოკრატიის გა-დასვლისა ვიწრო პროპაგანდიდან მასობრივ აგიტაციაზე, წრეობანის ლიკვიდაციაზე და თვითმშპრობელობის წინააღმდეგ მუშათა კლასის პო-ლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციაზე.

ლენინმა პირველმა განახორციელა გადასვლა პროპაგანდიდან აგიტა-ციაზე თავის მიერ შექმნილ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავი-სუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“.

ლენინის იდეები შეიქრა ამიერკავკასიაში.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლენინური დროშა კავკასიაში აღმართა ამხანაგმა სტალინმა.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1898 — 1900 წლებში ჩაისახა და ჩამოყალიბდა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ-ლენი-ნური ფრთა.

ამხანაგმა სტალინმა ამ. კეცხოველთან და წულუკიძესთან ერთად თბილისისა და ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გადა-იყვანა პოლიტიკური გაფიცების ხელმძღვანელობაზე, ანხორციელებდა რა გადამწყვეტ გადასვლას პროპაგანდიდან და აგიტაციიდან მუშათა კლასის მასობრივი პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციაზე.

ლადო კეცხოველი იყო პროფესიონალი რევოლუციონერი, ლენინურ-ისკრული იატაკვეშეთის გამოჩენილი ორგანიზატორი. იგი მოხერხებულად ათავსებდა ღრმა და გულმოდგინე კონსპირაციას და ყოველდღიურ კავშირურთიერთობას თბილისისა და ბაქოს მუშებთან, აწყობდა რა ყველაზე რთულ და ძნელ რევოლუციურ ღონისძიებებს.

ვლადიმერ (ლადო) ზაქარიას-ძე კეცხოველი დაიბადა 1876 წლის 2 იანვარს თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ტყვიავში. მისი მა-მა — ზაქარია კეცხოველი მღვდელი იყო, ჰყავდა ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ლადო ჯერ რვა წლისა არ იყო, რომ დედა მოუკვდა. გა-ჭირვებამ და სიღარიბემ ლადოს უფროსი ძმები აიძულეს მიეტოვებინათ შშობლების სახლი; ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმყოფებოდნენ. უფროსი ძმა ნიკო 1878 — 1885 წლების პერიოდში ნაროდინიკი იყო და კავშირი ჰქონდა გაბმული რუს ნაროდნიკებთან.

1883 წელს შვიდი წლის ლადო მიაბარეს გორის სასულიერო სას-წავლებელში, სადაც იგი გატაცებით კითხულობდა ქართველ კლასიკოს-თა აკრძალულ წიგნებს, რომელნიც მასში ცოდნის წყურვილს აღვიძებ-დნენ.

ლადო ბავშვობიდანვე მეტად გულისხმიერი, მშვიდი, სერიოზული და დინჯი იყო. იგი თუ ხელს მოჰკიდებდა რაიმე საქმეს, დიდი შეუპოვრო-

¹⁾ ვ. ი. ლენინი — თხულებანი, ტ. IV, გვ. 382.

ბით მიჰყავდა ბოლომდე. ხასიათის სიმტკიცე და მიზანსწრაფულობა ლადომ თავის მშვენიერი სიცოცხლის დამლევამდე შეინარჩუნა.

ლადო ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში გახდა ათეისტი. მას არ სწამდა ღმერთი, არ უყვარდა წირვა-ლოცვა და ამხანაგებს შორის უღმერთოს სახელი ჰქონდა გავარღნილი.

ართადეგებს ლადო ატარებდა თავის სოფელ ტყვიავში. მას დიდად აინტერესებდა გლეხთა ცხოვრება. იგი იცნობდა თავისი სოფლის თითქმის ყველა გლეხის ოჯახს. გლეხები უკიდურეს გაჭირვებაში სცხოჭრობდნენ. მათ სულს უხუთავდა გადასახადები, ბეგარა, შიშის იჯარა. თავადაზნაურთა და მემამულეთა თვითნებობა. პოლიციის ხელისუფალნი საძარცვავდნენ გლეხებს, იჭრებოდნენ სახლებში და საგადასახადო ნარჩენთა დასაფარავად ართმევდნენ გლეხებს საოჯახო ნივთებს, მიერეკებოდნენ პირუტყვს და სხვ. წინააღმდეგობის გაწევის სულ ოდნავი ცდისას გლეხებს დაუზოგავად ამათრახებდნენ.

ველური თარეშის ეს სურათები ლადოზე მძმე შთაბეჭდილებას ახდენდნენ და იწვევდნენ მასში სიძულვილის გრძნობას დამმონებლებისადმი — მეფისა, მემამულებისა და თავადაზნაურებისადმი.

ლადო ხშირად ეჩხუბებოდა მამას და ჰგმობდა მას გლეხებისაგან საეკლესიო ხარჯის შეგროვებისათვის. იგი აგიტაციას ეწეოდა და არწმუნებდა გლეხებს, რომ ღმერთი არ არის — იგი მღვდლებმა გამოიგონეს სო, რომ ხუცესებს საეკლესიო ხარჯი არ უნდა აძლიოთო. მამის მრავალი ცდა, რომ ლადო „ქრისტიანულ გზაზე“ დაეყენებინა, სრული დამარცხებით თავდებოდა.

სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასში ყოთნისას, ლადომ დაიწყო ხელნაწერ უურნალის „განთიადის“ გამოშვება, რაც აღმინისტრაციამ გამოამულავნა, ლადომ ყოფაქცევაში ორიანი მიიღო. ცუდი ნიშნის გამო იგი არ მიიღეს თბილისის სასულიერო სემინარიაში, — და მამის ხანგრძლივი დავიდარაბის შემდეგ იგი „ყოფაქცევის გამოსასწორებლად“ შეორე წელს დასტოვეს გორის სასულიერო სასწავლებელში.

II

გორის სასულიერო სასწავლებელში ლადო კეცხოველი პირველად გაეცნო და დაუმეგობრდა. ამხანაგ სტალინს. ამხანაგი სტალინი ლადო კეცხოველზე უმცროსი იყო; იგი სასწავლებლის საშუალო-მოსამაშადებელ კლასში შევიდა 1888—89 სასწავლო წელს, როდესაც ლადო უკვე მესამე კლასში იყო.

გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, კეცხოველი 1891 წლის სექტემბერს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. იჩენს რა დიდ წარმატებებს ყველა საგანში, იგი განსაკუთრებული გულმოდგინეობით სწავლობს ისტორიასა და ლიტერატურას. მალე იგი შევიდა სემინარიელთა წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ქრისტელი მწერალი ე. ნინოშვილი.

თავისი ხასიათით წრე ლიტერატურულ-საგანმანათლებლო იყო — იქ სწავლობდნენ ტურქენევის, ღოსტოვესკის, ლევ ტოლსტაის, ბელინ-სკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის, პისარევის, ყაზბეგის, ბარათაშვილისა და სხვათა ნაწარმოებთ. სემინარიაში მძვინვარე იეზუი-ტური რეჟიმი იძულებულს ხდიდა, რათა ამ წრის მეცადინეობა კონსპი-რატულად ეწარმოებინათ, სემინარიელებს უთვალთვალებდნენ.

1893 წლის 30 ნოემბერს ახალგაზრდა ლადო კეცხოველმა თბილისის განაპირა უბანში, საბურთალოში, მოაწყო სემინარიის მოსწავლეთა პირ-ველი კრება, სადაც გადაწყდა გამოცხადებულიყო გაფიცვა სემინარიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. 1893 წლის 1 დე-კემბერს დაიწყო გაფიცვა და იგი ოთხ დღეს გაგრძელდა. მოსწავლეებმა საქართველოს ეგზარხოსს წარუდგინეს თავისი მოთხოვნები, რომელთა მთავარი პუნქტები იყო: სემინარიელების ზერვის შეწყვეტა, სემინარი-იდან გაძევება ზედამხედველების ივანოვისა და პოკროვსკის, თავება და აღამიანის მოძულე მასწავლებლის ბულგაკოვისა, და ქართული ენის კა-თედრის შემოღება, იმ ენისა, რომელსაც მეფის მოხელეები „ძალის-ენად“ აცხადებდნენ, სასტიკად სდევნიდნენ რა დედანაზე მოლაპარაკუ სემინარიელებს.

არ შესწევდა რა ძალა გაფიცვის ლიკვიდაციისათვის, დაბნეულმა-მმართველობამ, ერთი თვით დახურა სემინარია.

თბილისის ქანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსმა იანკოვ-სკიმ პეტერბურგში გაგზავნა საგანგაშო დეპეშა:

„პეტერბურგი. უანდარმთა კორპუსის უფროსს.

მართლმადიდებელთა სემინარიის მოსწავლეთა უმრავლესობამ, მოით-ხოვა რა ზოგიერთი მასწავლებლის გაძევება და ქართული ლიტერატუ-რის კათედრის შემოღება, შესწყვიტა მეცადინეობა, რჩევა-დარიგება უშე-დეგოდ დარჩა. ეგზარხოსის დეპეშის თანახმად, სინოდის განკარგულებით მოწაფეები დათხოვნილი არიან 8 იანვრამდე“.

მოსწავლეთა დათხოვნას მოჰყვა რეპრესიები: 87 მოწაფე გარიცხენ სემინარიიდან „მგლის ბილეთით“. ოცდასამ გარიცხულს, მათ შორის გა-ფიცვის ორგანიზატორს, ლადო კეცხოველს აეკრძალა თბილისში ცხოვ-რება:

1893 წლის დეკემბრიდან 1894 წლის აგვისტომდე ლადო ცხოვრობდა სოფელ ტყვიავში, ხოლო 1894 წლის შემოდგომაზე გაემგზავრა კიევში, სადაც მოახერხა სასულიერო სემინარიაში შესვლა.

როგორც ვიცით, ამ წლებში კიევში არსებობდა არალეგალური სო-ციალ-დემოკრატიული ჯგუფი. მან 1897 წელს, პოლონელ სოციალ-დე-მოკრატთა კიევის ჯგუფთან შეერთების შემდეგ, დააარსა „მუშათა კლა-სის განთავისუფლებისათვის მებრძოლი კიევის კავშირი“, რომელმც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რსლმბ 1 ურილობის მოწვევაში. ლადო კეცხოველი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კიევის რევოლუციური სო-ციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში.

კაციებულის რევოლუციური მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩია კიევის უანდარმერიას. 1896 წლის აპრილში იგი დააპატიმრეს. კიევის საპატიმროში სამი თვის ყოფნის შემდეგ ლადო ორი წლის ვადით გადაასახლეს სამშობლოში პოლიციის ზედამსედველობის ქვეშ. 1896 წლის შემოღომიდან 1897 წლის აგვისტომდე იგი ცხოვრობდა სოფელ ტყვიავში, ხოლო შემდეგ სოფელ ჯავაში (სამხრეთ-ოსეთი).

1897 წლის სექტემბერში ლადო დაემალა პოლიციის ზედამსედველობას და გადავიდა თბილისში, სადაც შევიდა „მესაძე დასში“.

„მესაძე დასი“ იყო საქართველოს პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. 1893—1898 წლების პერიოდში იგი ლეგალურად ჰქალავებდა მარქსიზმის ეკონომიკურ მოძღვრებას და ერთგვარ დადებითს როლს თამაშობდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიის იდეების გავრცელების საქმეში.

1898 წელს ამ ჯგუფში შევიდა ამხანაგი სტალინი. „მესამე დასში“ ამხანაგი სტალინის შესვლის შემდეგ, მისი ინიციატივითა და მისი ხელშძლვანელობით ჩაისახა და ჩამოყალიბდა საქართველოს სოციალ-დემოკრატია რევოლუციური-მარქსისტული ფრთა.

როგორც ვიცით, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა არალეგალურ პრესას. პოლოეტარული პარტიის შექმნის ლენინურ გეგმაში ძირითად როგორც წარმოადგენდა ორგანიზაცია საერთორუსული პოლიტიკური გაზეთისა. როგორც მუშათა მწებობან მჭიდროდ დაკავშირებულ პროფესიონალ-რევოლუციონერთა იდეური და ორგანიზაციული ცენტრისა. არალეგალური პრესის ორგანიზაციის საკითხი 1898 წელს მწვავე უთანხმოების საგანი გახდა „მესამე დასის“ რევოლუციურ უმცირესობასა და პორტუნისტულ უმრავლესობას შორის.

იმ ღრმას. როგორ „მესამე დასის“ უმრავლესობა, რომელიც ეწეოდა მარქსიზმის ვულგარიზაციას და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესებს უგუებდა მას. განაგრძობდა. თავის საქმიანობას ლეგალური პრესის ორგანოებში, ამხანაგებმა სტალინმა, კეცხოველმა და წულუკიძემ გადაწყით დაიწყეს ბრძოლა მებრძოლი რევოლუციური არალეგალური ჯანეთის შექმნისათვის.

ამ ბრძოლაში ლადომ განსაკუთრებული როლი ითამაშა. თბილისში იკი სამსახურში შევიდა ხელიძის სტამბაში და დაშინებით შეუდგა სტამბის საქმის შესწავლას. ლადომ იქ მალე დაბეჭდა დიკშტეინის ბროშურა „ლუქმა-პურის ისტორია“, რომელიც მან სთარგმნა ქართულ ენაზე. ის იყო პირველი არალეგალური ქართული წიგნაკი. ლადომ ცენტრო აგრეთვე დაებეჭდა ჩამდენიმე პროელამაცია და ბროშურა.

ლადო კეცხოველი უახლოესი მეგობარი იყო ამხანაგი სტალინისა, კეცხოველის ბინაზე, ხშირად ამხანაგები სტალინი და ლადო გვიან ნაბეჭდაშევამდე. რჩებოდნენ და საუბრობდნენ მუშათა მოძრაობაზე. ლადონზე, ჰლოშანოვზე...

1898—1900 წლებში ამხანაგმა სტალინმა ლადო კეცხოველსა და წულუკიძესთან ერთად თბილისის სოციალ-დემოკრატების მუშაობა გადაიყვანა მასობრივი აგიტაციისა. და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ჩელსებზე. 1899 წელს თბილისში, ქალაქებარეთ მოწყობილ იქნა მაისობა, რომელზედაც ლადო თავის მგზებარე სიტყვა-ში მოუწოდებდა მუშებს თვითმპყრობელობასთან ბრძოლისაკენ.

ამხ. ვანო სტურუა თავის მოგონებებში ამ მაისობაზე სწერდა:

„1899 წელს ჩვენმა არალეგალურმა წრეებმა გადასწყვიტეს არალეგალური მაისობა მოეწყოთ ქალაქებარეთ. თავი მოიყარა დაახლოვებით 70 კაცმა. ამ დღეს მე პირველად ვნახე ლადო კეცხოველი. გახსნეს მაისობა, პირველი სიტყვა წარმოსთქვა მიხა ბოჭორიძემ, შემდეგ გამოვიდა ლადო კეცხოველი“.¹⁾.

1899 წლის დამლევს ლადო კეცხოველი აწყობს და ხელმძღვანელობს თბილისის ცხენის ტრამვაის („კონკის“) მუშათა გაფიცვას. ცხენის ტრამვაის მუშები 13 საათიან სამუშაო დღეში ღებულობინენ 90 კაპეიკიდან 1 მანეთამდე. ამასთან ამ ხელფასის დიდი ნაწილი უნდებოდა ჯარიმების გამორიცხვას. მუშებს აჯარიმებდნენ ყოველნაირი საბაბით: სწრაფი სვლისთვის, წყნარი სვლისთვის, გაუფრთხილებელი სვლისთვის, უხეშობისათვის, ურჩობისათვის და სხვ. ასეთი სისტემის გამო 1899 წელს საშუალოდ 15 დღიან სამუშაო პერიოდში მხოლოდ 5 მუშამ მიიღო თვითეულმა 15 მანეთი. 476 მუშამ მიიღო ერთი მანეთიდან 10 მანეთამდე, ხოლო 21 კაცმა მიიღო ერთ მანეთზე ნაკლები. ჯარიმების წინააღმდეგ პროტესტებისათვის მუშებს სასტიკად უსწორდებოდნენ. მაგალითად, ცხენის ტრამვაის მუშა ზ. ლომიძემ როტმისტრ ბრუნთან გაფიცვის გამოდაკითხვისას განაცხადა:

„ტრამვაის დირექტორის თხოვნით ჩვენ მივყავდით მე-10 უბნის პოლიციაში, სადაც ბოჭაული თუმანოვი მრავალგზის ცემის შემდეგ გვაიძულებდა უეჭველად დავმორჩილებოდით ტრამვაის უფროსის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გვემუქრებოდა თბილისიდან გადასახლებას“.²⁾.

გაფიცვა დაიწყო 1900 წლის 1 იანვარს და დამთავრდა მუშების სასარგებლოდ.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობდნენ ამხანაგები სტალინი, კეცხოველი და ა. წულუკიძე, იზრდებოდა და ფართოვდებოდა მუშათა პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1901 წელი აღინიშნა პროლეტარიატის პირველი აშკარა პოლიტიკური გამოსვლით.

¹⁾ „რევოლუციის მატიანე“ № 2, 1925. წ., გვ. 73—74.

²⁾ საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური საარქივო ქამმართველო, გ. 7, ს. 255, ფ. 25.

ამხანაგმა სტალინმა და თბილისის სოციალ-დემოკრატიის ხელშეღვაწელმა ჯგუფმა 1901 წელს მოამზადეს საპირველმაისო მუშათა დეპონ-სტრაცია ქალაქის ქუჩებში. გამოშევებულ იქნა პროკლამაცია, რომელში-აც ჩამოყალიბებული იყო მუშათა კლასის მოთხოვნანი და განმარტებული პროლეტარიატის ისტორიული როლი. ამზანავ სტალინის პირადი ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა ამ დემონსტრაციის გეგმა და ჩატარდა მთელი აუცილებელი საორგანიზაციო მუშაობა.

1901 წლის 22 აპრილს, სალდათის ბაზარში, ყოფილი ალექსანდრეს ბაღის რაიონში, გაიმართა 1 მაისისადმი მიძღვნილი დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო თბილისის ქარხნებისა და ფაბრიკების დაახლოვებით ორმა ათასმა მუშამ, რომლებიც გამოვიდნენ წითელი ღრუშებით. დემონსტრანტებს შეუტიეს პოლიციამ და ყაზახებმა: შეტაკების დროს დაიჭრა 14 მუშა და დააპატიმრეს 50 დემონსტრანტზე შეტი.

ამხანაგი სტალინი მონაწილეობას იღებდა ამ დემონსტრაციაში და პირადად ხელმძღვანელობდა მას.

მუშების დემონსტრაცია თბილისის — რუსეთის თვითმკურობელობის კავკასიის ამ ციტადელის — ქუჩებში გახდა უდიდესი პოლიტიკური მოვლენა და მან უდიდესი რევოლუციური ზეგავლენა მოახდინა მთელ კავკასიაზე.

თბილისის დემონსტრაციის გამო ლენინური გაზეთი „ისკრა“ 1901 წელს სწერდა:

„22 აპრილის კვირას თბილისში მომხდარი ამბავი წარმოადგენს ისტორიულ-მნიშვნელოვან ამბავს მთელი კავკასიისათვის; ამ ღლიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა.“

ლადო კეცხოველს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამ დემონსტრაციაში. 1900 წელს იგი თბილისის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის გადაწყვეტილებით, რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი სტალინი, პარტიული მუშაობისათვის გაიგზავნა ბაქოში.

ამხანაგმა სტალინმა და თბილისის ხელმძღვანელმა პარტიულმა ჯგუფმა ლადოს დაავალეს განემტკიცებინა ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და ბაქოში მოეწყო არალეგალური სტამბა.

ლადო კეცხოველმა თავისი ენერგიული მუშაობით გააცხოველა ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და მისცა მას ლენინური ისკრული სახე. 1901 წ. მოეწყო რსდმპ ბაქოს პარველი კომიტეტი ლენინურ-ისკრული მიმართულებისა.

IV

ბაქოში ლადო კეცხოველი ცხოვრობდა არალეგალურად, ყალბი პასპორტით, ხან დემეტრაშვილის სახელზე, ხან კი ნიკოლოზ შელიქოვის სახელზე. კეცხოველის საძებრად ბაქოში გაგზავნეს უანდარმები თბილისიდან, მაგრამ ოსტატური კონსპირაციის წყალობით იგი. შედარებით ღიღიზანს ახერხებდა დამალვას.

თბილისის ხელმძღვანელი ჯგუფის და პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ლადო კეცხოველმა 1901 წელს ბაქოში მოაწყო არალეგალური სტამბა, რომელიც წარმოადგენდა ჩვენა პარტიის ერთერთ უდიდეს სტამბას. თბილისის ხელმძღვანელმა ჯგუფმა სტამბა მოამარავა ფულით, შრიფტით, ლადოს დასახმარებლად ვაგზავნა ორი ასოთამწყობი სოციალ-დემოკრატიული მუშების წრიდან. თუ რა ისტატურად აღწევდა ლადო თავს მთელ რიგ სიძნელეებს, რომლებიც დაკავშირებული იყო სტამბის შექმნასთან, ამაზე მოგვითხრობა ლ. ბ. ქრასინი:

„... არ იყო არავითარი შესაძლებლობა შეგვეძინა საბეჭდი მანქანა და სისტემატურად გვეყიდა ქალალდი, საღებავი, შრიფტი და სხვ., თუ არ გვექნებოდა გუბერნატორის მოწმობა. სტამბის გახსნის უფლებაზე. ამს. ლადომ ძალიან უბრალოდ გაართვა თავი ამ სიძნელეს. მან განჯის გუბერნატორის სახელით შეადგინა თავის სახელზე მოწმობა სტამბის გახსნის უფლებაზე, გადასწერა ეს მოწმობა წინასწარ მიღებულ ბლანკზე, რომელსაც გუბერნატორის ტიტული ეკრა, და შემდეგ თვითონ მოაწერა ხელი ამ ღოუმენტს გუბერნატორის მაგივრად... გადიღო ასლი ყალბი მოწმობიდან, დაამოწმა ეს ასლი ბაქოს ნოტარიუსთან და ამგვარად მიღიღო ღოუმენტი, რომელზეც უკვე არცერთი ყალბი ხელმოწერა არ იყო. ამ ღოუმენტით ლადომ უხითათოდ შეიძინა საჭირო მანქანა და მასალები, და რსდმპ იატაკქვეშეთის ტექნიკამ დაიწყო მუშაობა ბაქოში“...

ბაქოს სტამბას, რომელიც ლადო კეცხოველმა მოაწყო რსდმპ თბილისის ხელმძღვანელი ჯგუფის დავალებით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო კავკასიის სოციალ-დემოკრატიისათვის, არამედ მთელი რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისათვისაც საერთოდ. ამ სტამბაში 1901 წლის სექტემბრიდან იწყო გამოსვლა პირველმა ქართულმა „არალეგალურმა გაზეთმა „ბრძოლამ“ — თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანომ. „ბრძოლა“ იყო ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი რევოლუციური ვაზეთი კავკასიაში.

„ბრძოლა“ აყენებდა აგიტაციის ფართოდ გაშლის ამოცანას; მოუხმობდა მუშათა კლასს მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. მან გამოაცხადა სოციალიზმისათვის შებრძოლი მუშათა კლასის რიგების ურღვევი ერთიანობა მთელს რუსეთში.

გაზეთი „ბრძოლა“ იცავდა პროლეტარიატის დიქტატურის იდეას, ამხელდა „ლეგალურ მარქსისტებს“ და ეკონომისტებს, იცავდა მუშათა კლასის აშკარა პოლიტიკური ბრძოლის და ბურქუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას.

თბილისის ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის, პროკლამაციების, რომლებიც სტამბაში იბეჭდებოდა, უაღრესად ფართოდ ვრცელდებოდა კავკასიაში. და განსაკუთრებით ფართოდ იყო. ვაგოცელებული მუშებსა და გლეხებს შორის პროკლამაციები, გამოშვებული 1901 წელს მეფის რუსეთთან საქართველოს ეგრეთწოდებული „შვერთე-

ბის“ ასი წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით. ისინი ყველგან იყო გაფანტული, მათ კიოხულთბლენენ ჯარისკაცებიც, იკრიბებოდნენ რა 12-15 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად.

გაზეთ „ბრძოლის“ მიერ გამოცემულ ერთერთ პროკლამაციაში ნათქვაში იყო:

„დღეს, როცა ათასობით მშრომელი ხალხი და მისი წარმომადგენერანი ციხეში ლპებიან, დღეს, როცა ჩვენ თვალწინ დღე მუდამ მდინარეები დგება ამ ტანჯული ბრძოს გამონადენი სისხლისაგან, დღეს, როცა თვეისუფალზ სიტყვა, მოქმედება, მმური სიყვარული ალკრძალული ხილია ამ მრავალტანჯულ ხალხისათვის და როცა მთავრობის ბილწი ივენტება საზოგადოებაში მექრბამეობას, შიშს, გარუცნილებას სთესავენ, დღეს როცა ყოველი გულწრფელობა და პატიოსნება მთავრობის „ნაღზორის“ ქვეშ არის და მის სიბილწეს გამწარებული ებრძვის თვით რუსეთის საუკეთესო ნაწილი — დღეს, სწორედ ამ დროს ჩვენი თავად-აზნაურობა გამოდის ხალხის სახელით და ამავე მთავრობას მადლს ეუბნება და ძმურათ ხელს ართმევს!!!

მაშ შევერთდეთ მეგობრებო, შევერთდეთ, ჟველა ქვეყნის მუშებო, დღევანდელი გათახსირებული მთავრობის დასამარტებლათ!“ ა).

ეს მეფის ხელისუფლებისათვის და ქართველი თავად-აზნაურებისა და მემამულეებისათვის მართლაც არასასიამოვნო „საიუბილეო საჩუქარი“ იყო, რომელმაც დიდი ხათაბალი აუტეხა უანდარმერიასა და პოლიციას.

სტამბის მოწყობამ და არალეგალური ლიტერატურის გამოცემამ მოითხოვა განსაკუთრებული გამბედაობა, წერებია, შეუპოვრობა და დიდი ძალობრნე. ლადო კეცხოველი. ცხოვრობდა რა სტამბაში, მთლიად მიეცა ამ სამუშაოს. მთელი თვეობით მუშაობდა ლადო თითქმის მთელ დღე-ლამეებში, თავაულებლად; იგი სისტემატურად ღებულობდა გაზეთ „ბრძოლისათვის“ სტატიებსა და სხვა მასალებს აშხანავ, სტალინისაგან და თბილისის ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სხვა წევრებისაგან. მთელ რიგ სტატიებს ლადო თვითონ სწერდა, ერთდაიმავე დროს ასრულებდა რედაქტორის, კორექტორის, ასოთამწყობისა და მბეჭდავის როლს და სიყვარულით უძლვებოდა ამ როულ და სახიფათო საქმეს.

თავის დაძაბულ მუშაობას სტამბაში ლადო ათასებდა ღიღ თრგანიზატორულ მუშაობასთან. იგი ხელმძღვანელობდა რსდმპ. ბაქოს კომიტეტს და მთელ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას ბაქოში, ზრდიდა რეგოლუციონერი მუშების აქტივს ლენინურ „ისკრის“. სულისკვეთებით, რაზმავდა მათ ლენინის იდეების ირგვლივ.

მთელ თავის მრავალფეროვან რევოლუციურ მუშაობას ბაქოში კაც-სოველი ატარებდა რსდმპ თბილისის ხელმძღვანელი ჯგუფის და ამხანაგ ატალინის მითითებებით. ლადოს სისტემატური წერილობით კავშირი

1) პროკლამაციიდან რუსეთთან საქართველოს „შეერთების“ 100 წლისთავის თუბილების გამო. 1901 წ. სექტემბერი. „ბრძოლის“ რედაქციის გამოცემა. სტამბა „ბრძოლა“.

ჰერნდა ამხანაგ სტალინთან, ხოლო უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მითითებებისა და რჩევისათვის იგი ჩადიოდა ამხანაგ სტალინთან თბილისა და ბათუმში.

V

ბაქოში მუშაობის დროს, ლადო კეცხოველმა დაამყარა კავშირი ვ. ი. ლენინთან, და ვლადიმერ ილიას-ძის დავალებით ბაქოს სტამბამ იწყო ლენინური „ისკრის“ გამრავლება.

„ისკრა“ და სხვა ისკრული მასალები, ბაქოს სტამბაში დაბეჭდილნი, ფართოდ ვრცელდებოდა რუსეთის სამხრეთ ქალაქებში. ამავე დროს ლადომ მოაგვარა ისკრულ ვამოცემათა ტრანსპორტი საზღვარგარეთიდან რუსეთში ვენა-თავერიზ-ბაქოს ხაზით.

როდესაც 1902 წლის მარტში შეიქმნა სტამბის ჩივრუნის ოეალურო საფრთხე, გადაწყვდა გადაეტანათ იგი ბაქოდან რუსეთში. სტამბისათვის აღვილის გამოძებნა დაეკისრა ლადო კეცხოველს; ამ მიზნით იგი 1902 წლის აპრილს გაემგზავრა რუსეთში.

ლადომ შემოიარა მთელი რიგი ქალაქები (კიევი; სამარა და სხვ.), მაგრამ პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ქალაქებში ვერ შესძლეს აღმოეჩინათ მისთვის საჭირო დახმარება სტამბის მოწყობის პირობათა მოზადებაში, და 1902 წლის აგვისტოს იგი დაბრუნდა ბაქოში და სტამბისთვის დაიქირავა ახალი სატერიტო ჩატარის ქუჩაზე.

უანდარმერიამ, ბოლოსდაბოლოს, შესძლო მიეგნო დაუცხრომელი რევოლუციონერის კვალისათვის, და 1902 წ. 2 სექტემბერს ლადო კეცხოველი დაპატიმრეს ბაქოში და მოათავსეს ბაქოს საპყრობილებში, საიდანაც 1902 წ. სექტემბრის დამლევს გადაიყვანეს თბილისის მეტების ციხეში. დაპატიმრებისას ლადომ, რათა ამხანავები გამოეხსნა, მთელი ზანაშაული თავისთავეზე მიიღო და ვაბედულად ვანაცხადა, რომ იგი არის „პროფესიონალი რევოლუციონერი ვლადიმერ კეცხოველი“.

დაკითხვებზე ლადოს განსაკუთრებული ლირსებითა და მტკიცედებირა თავი. ბაქოს უანდარმები პოლიციის დეპარტამენტისადმი თავის მოხსენებაში მას ახასიათებენ, როგორც „ფრიად მარჯვე, ფრთხილ აღამიანს, რომელმაც დაკითხვებზე ყველა ზომა მიიღო. რათა სხვები გამოიხსნა... თავის დამხმარეთა დასახელებაზე კეცხოველშა, როგორც სხვებმა, უარი განაცხადა, რის გამო ჯერ შეუძლებელი გახდა გამოგვერკვია ზოგიერთ პირთა ურთიერთყავშირი რევოლუციურ საქმიანობის მხრივ“¹⁾.

საპყრობილის რეჟიმშა ვერ გასტეხა ლადო კეცხოველის რეინის ნებისყოფა. უშიშარი რევოლუციონერი აქაც განავრძობდა ბრძოლას. იგი

¹⁾ საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო, ფ. 36, ს. 467, ტ. II-გვ. 7 — 23.

დაუკავშირდა პატიმრებს, დაულალავად იბრძოდა საპყრობილის წესები;
წინააღმდეგ, აწყობდა პატიმართა გაფიცვებსა და გამოსკლებს.

საპატიმროს აღმინისტრაციამ გადასწყვიტა დაცვა ჯალათების
მუნდირის ლირსება. თვითმმკრობელობის ქოფაკი ძალები იყეფზნენ
ფეხშევეშ გათელილი „ხელისუფლების პრესტიუს“ აღდგენაზე.

აი რას სწერდა მეტების ციხის უფროსი თბილისის საგუბერნიო უან-
დარმთა სამმართველოს უფროსს:

„მაქს პატივი გთხოვოთ, ოქვენო მაღალკეთილშობილებავ, რათა
სამხედრო საპყრობილები გადაიყვანოთ მეტების ციხეში მოთავსებული
პოლიტიკური პატიმარი ვლადიმერ კეცხოველი, რომელიც მუდამ თავს
ჯვიჩვენებს ყოვლად ცუდი მხრით თავის უმსგავსო მოქმედებით მთელა
ზნის განმავლობაში დღიდან მისი მეტების ციხეში მოთავსებისა.

საპყრობილები მისი პატიმრობის დროის განმავლობაში მომხდარ
არეულობათა უმეტესობა გამოწვეულია ისევ და ასევ ამ პატიმრის მეო-
სებით, რომელიც უაღრესად მაღმორალიზებურად მოქმედებს თავის გარ-
შემო მყოფ პირებზე, სეკრეტებში, თავის ამხანაგებზე.

უკანასკნელ, ამა წლის 15 ივლისის არეულობაში კეცხოველმა მიიღო
ფრიად აქტიური მონაწილეობა, რისთვისაც დადო. დისკიპლინარული
სასჯელი, ბნელ კარცერში შეიდი დღე-ლამის განმავლობაში ჯდომა.

ამ დისკიპლინარული სასჯელის ვაღის დამთავრების შემდეგ სასურვე-
ლი იქნებოდა კეცხოველი არ შეგვეყვანა სასეკრეტო შენობათა კორპუს-
ში, იმ პირობებში, რომელშიაც მისი გავლენა ხელისყრელ წიადაგს ჰპო-
დებდა და დაუყოვნებლივ გადავიყვანოთ იგი სამხედრო საპყრობილები.
რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ არეულობა პოლიტიკურ პატიმ-
რებს შორის, აღვადგინოთ ფეხშევეშ გათელილი პრესტიუს ხელისუფლები-
სა. ჩავუნერჩოთ მათ პატივისცემა საპყრობილის აღმინისტრაციის კა-
ნონიერ მოთხოვნებისამდი და ამით დაუბრკოლებლად და ზუსტად შე-
ვასრულოთ სამსახურის ყველა მოვალეობანი“¹⁾.

VI

ლადონ კეცხოველი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იჩენ-
და შევოლუციურ შეურიგებლობას, სიმამაცეს, სიმტკიცეს და უშიშ-
რობას. საპყრობილები მოთავსებული იგი აქაც თავს კი არ იცვლა
არამედ უტევდა თვითმმკრობელობას.

ლადოს მებრძოლა სულისკვეთების გასატეხად, საპყრობილის აღმი-
ნისტრაცია აამოქმედებდა ხოლმე რეპრესიების მთელ არსენალს: *მას კარ-
ცერში აგდებდნენ, ართმევდნენ ქვეშსაგებს, ართმევდნენ წიგნებს, არ აძ-
ლევდნენ სეირნობის ნებას, უქრძალავდნენ გაღაცემებს... მაგრამ ლადო
არ ნებდებოდა. რეპრესიების პასუხად იგი ხმამალლა ყვიროდა ფანჯრი-
დან: „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას! ძირს თვითმმკრობელო-

1) საქართველოს ცენტრარქივი, საარქ. ფ. № 7, ფა 427, 1903 წ., № 8, ტ. 4
თბილ. გუბ. უანდ. სამმართ. ფ. 2.

შა! გაუმარჯვოს სოციალიზმი!“ და ამ მოწოდებასაც ეხმაურებოდა საპყრობილის მთელი პოლიტიკური განყოფილება.

რევოლუციის კეთილშობილი რაინდი, იგი მთლად გამსჭვალული და ცოცული იყო რევოლუციური აზრით, გრძნობით, მოქმედებით.

მის გულში გიზგიზებდა ჩევოლუციისათვის ბრძოლის დაუქრობელი ცეცხლი. შთავონებული, ღრმად-იდეური, იგი თავის ყოველ ნაბიჯს მიმართავდა რევოლუციური საქმის გამარჯვებისაკენ. ლაროს ბრძოლის ურყევ სულისკვეთებას, უდრევ სიმტკიცეს, მის სიმამაცეს საფუძვლად უღლ უსაზღვრო ერთოვულება რევოლუციის საქმისადმი, უდიდესი რწმენა შეშათა კლასის გამარჯვებისა, რომელიც არ სტოვებდა მას არც იატაკ-კვეშეთში, არც საპყრობილის ჯურლმულებში.

აი რას სწერდა ლალო კეცხოველი მეტენის ციხილან უფროს ძმას სანდროს თავის უკანასკნელ წერილში:

„აღარა მაქვს უკან გამოსასვლელი გზა და კიდევაც რომ მქონდეს, დარწმუნებული ვარ ეხლანდელ დროში შენვე პირველი შემომაფურთხებ, თუ გაფიქრებითაც კი გავიფიქრე უკან დახევა და ჩემი აქამომდე წმინდათა-წმინდის გადაქელვა. მაშ ბრძოლა! ბრძოლა!..“ და თუ ამ ბრძოლაში წავიქცე, ნუ ოდარდებთ: ყოველი საქმე და მით უმეტეს თავი-უფლება მსხვერპლსა, თხოულობს... но где, скажи, когда без жертв, искуплена свобода?!.

მხოლოდ თავის განწირებით შეიძლება მოვიპოვოთ ჩვენს პირობებში ზღაციანური დამოკიდებულება იმათვან, ვისაც ხელში ჩაუბლუჯავს ჩვენი ბედის ნასკვი. — მოითმინეო... მოთმინება კარგია, აღამიანის ღირ-სებაა, მაგრამ იქ, საცა კითხვა. შეეხება აღამიანურ ღირსებას უფლებას და გრძნობას — მოთმენა, ან სილაჩრეა, ან შეუგნებლობა, ყოველ შემ-თხვევაში კი სამარტინინ და სადამიანის გამახასირებელი ტასიათია. სული ტებილია, ყველას უნდა სიცოცხლე, მაგრამ თუ შეგიგინებენ შენს წმინდათა-წმინდას, გაგითელავენ ფეხქვეშ სულსაც და ყოველგვარ აღამიანურ ღირსებასაც, რალათ გინდა ან სული და ან სიცოცხლე!?”¹⁾

ლადონ კეცხოველის წინააღმდეგ აწყობენ უსაზიშოლრეს პოლიციურ შეთქმულებას, რომლის შეთაური პირსისხლიანი როტმისტრი რუნიჩი ლადოს მოკვლამდე შეიდი დღით ადრე სწერს, აუცილებელია მიღებული იქნას „განსაკუთრებული ზომები“ თვითმშეკრძელობისათვის ამ საშიში რევოლუციონერის წინააღმდევო. მოკვლა დაკისრა გუშაგ დერგილევს. 1903 წ. 17 ავგვისტოს, დღილის 9 საათსა და 30 წუთზე, ლადონ კეცხოველი თავის კამერაში მოპესას ფანჯარაში ნასროლი, ტყვიით. ტყვია გულში მოხვდა და მაშინვე გარღვაიკვლა.

ასე საზიზლრად გულსწორდა ფანიდარმერია მგზნებარე რევოლუცი-ონის.

ლადოს მხეცური მოკვლის ამბავი სწრაფად მოედო საპყრობილება აბობოქრდა პოლიტიკური განყოფილება. მაღვე კერძოვლის მოკვლის

¹⁾ „ლადო კეცხოველი”, რსდმპ კავკასიის კავშირის გამოც., 1903 წ., გვ. 28 — 30.

ამბავი ჭალაქშიაც გაიგეს. თბილისის მუშები, რომლებსაც უყვარდათ
ლადო, წყევლაკრულვას უთვლიდნენ საზიზლარ ჯალათებს.

მეტების ციხეს ყაზახები შეშორტყებ.

ლადო საშიძი იყო ჭალიციისათვის არა მარტო სიცოცხლის უროს,
არამედ სიკვდილის შემდეგაც. ვერაგ მკვლელებს შეეშინდათ მიეცათ
კეცხოველის ცხედარი დასაკრძალავად. მუშებისა და უახლოესი ნათე-
სავებისაგან ფარულად უანდარმებმა დაკრძალეს იგი ღამით თბილისის
სამხედრო სასაფლაოზე.

ლადო კეცხოველის მოკვლის გამო რსდებ თბილისის და ბაქოს კო-
მიტეტებმა გამოუშვეს პროკლამაციები. ბაქოს პროკლამაციაში ეპიგრა-
ფად ალებულია მაქსიმ გორკის სიტყვები: „О смелый сокол, в борь-
бе с врагами истек ты кровью!“

„ასეთ მებრძოლთა საუკეთესო ძეგლსა და ჯილდოს, — სწერდნენ
პროკლამაციაში, — წარმოადგენს თავდადებული ბრძოლა იმ თვითმპუ-
რობელობასთან, რომელმაც იგი მოჰკლა, იმ ველურ თვითნებობასთან,
რომელიც ხელიდგან გვაცლის ჩვენს საუკეთესო მეგობრებს. ჩვენ, იმედი
გვაქვს, ამხანაგებო, რომ მოკლული მეგობრის მოვონება მტკიცედ დარ-
ჩება ჩვენს ხსოვნაში და ეს კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს რწმე-
ნას, რომ ახლოა ჩვენი წმინდა საქმის გამარჯვება“.

ლადო კეცხოველმა მთელი თავისი ბრწყინვალე, მშვენიფრი სიცოცხ-
ლე მთლად შესწირა. რევოლუციურ ბრძოლას მუშათა კლასის საქმი-
სათვის.

მასმა გმირულმა სახემ — უდრეკი, უშიშარი პროლეტარული რე-
ვოლუციონერის სახემ — ამიერკავკასიის და საქართველოს რევოლუცი-
ონერი ბოლშევიკების არა ერთი და ორი თაობა აღზარდა.

მხარე ვარი დოგ მოკაგურა

ალიო მაშავეილი

კ ე ბ ი რ ი

(ნაწყვეტი პოემიდან)

პოემა „ენგური“ ეხება თანამედროვე სამეგრელოს ცხოვრებას, მის ერთ-ერთ ეპიზოდს — ქაღალდის ქარხნის მშენებლობას. პოემა ყოფა-ცხოვრებითი ხასიათისაა. მისი თემა — გმირი პიროვნების ჩვენება სო-ციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ფონად აღებულია ხე-ტყის მრეწველობა სამეგრელოში. პოემის მთავარი გმირია ახალგაზრდა ინჟინერი ბურდუ შელია, ყოფილი მოჯამაგირუ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აღზრდილი — უმაღლესი სწავლამიღებული; მისი პროექტითვე შენდება ქაღალდის ქარხანა ენგურზე. ბურდუ შელიას სახით პოემაში ვამოყვანილია სოციალისტური მშენებლობის გმირი-ენტუზიასტი, ყოველგვარ სიძნელეთა წინააღმდეგ მებრძოლი, უშიშარი, აღამიანთა მაღალ ცხოვრებისათვის თავდადებული.

ხე-ტყის დამზადების პროცესში მომხდარ დაუდევრობის ნიადაგზე ბურდუ სახიჩრდება, კარგას ფეხს. ის ღროვებით შორდება მისთვის საყვარელ სამუშაოს; ფიზიკურად დამახინჯებული და სიყვარულისაგანაც დაბეხავებული ბურდუ შელია ერთხანს საგონებელში ვარდება. მაგრამ ბოლოს მასში მაინც სძლევს ახალი აღამიანის შეგნება, ის სულიერად არ ეცემა და მშენებლობის საპასუხისმგებლო მომენტში კვლავ იჩენს საოცარ გმირობას.

ა. გ.

კვამლის და ორთქლას შეურვალებაა,
გაჭედილია კრების დარბაზი,
და ქორ-კანცელი შუქურ-თვალება
ზალხს დასტრიალებს ფრთების ბარბაცით!
სცენას აშუქებს დროშის ელფერი,
ზედ გამარჯვების რწმენა სწერია,
ამაღამდელი მომხსენებელი
ქარხნის მთავარი ინუინერია!

ილაპარაკა მდაბიოდ, მშეიღად,
იშველიებდა ციფრებს, ნახაზებს,
მთელ სამეგრელოს მომავალს ჰმლიდა
ენგურ ქარხანის ახალ ქალალზე!
ბლომად აღმოჩნდნენ მოკამათენი,
სიტყვა-პასუხი უნდათ, სწყურიათ,
ზან მუშაობას ასამართლებენ,
ზან პირობებზე საყვედურია!

ზი, წამოდგა ბესა ბუკია,
დარბაისლურად სწორდება ტანში,
სიტყვა ითხოვა ორ-წუთიანი,
მაქარიამ დაუკრა ტაში.
ბესა სცენაზე ადის როხროხით,
მოშვებული აქვს ჩექმა რუსული.
ფრთხილად მოიძრო გრძელი ბოხოჭი
და შერჩა თავი გადატრუსული!

დაიწყო ასე: — ამხანაგებო,
წელან აქ იყო ბევრი თქმულება,
მეც ორიოდე წუთით ვსარგებლობ
გაუწყოთ ჩემი შეხედულება!

ეგ სულერთია: ტყეა თუ ყანა,
ყველგან, ყოველთვის გვმართებს მხნეობა,
ჩვენ ჩამორჩენებს არ დავსძლევთ განა,
ზელს რომ გვიწყობდეს მდგომარეობა?
შე, მაგალითად, არ ვამბობ წყენით,
მოტკვპნილი მაქვს გზა და ბილიკი,
რაღან სახლიდან აქ და პირიქით
კაცს მისვლა-მოსვლა მიხდება ცხენით!
რა გამაჩერებს ამ ბარაკებში,
აღარც სინათლე, აღარც წყალია,
მუდამ ჩხუბია ამხანაგებში...
დაახ! — უმოწმებს მაქაცარია!
ამდროს დარბაზში გაჩნდა ჩოჩქოლი,
სტვენა, უკმეხი წამოძახებაც;

ხალხი ვერ ითმენს ამბეჭს მოჭორილს,
აშხანაგებია უშნოდ ძაგებას!
ბეჭა უმალ წყვეტს თავის საუბარს,
რჩება ენაზე ალმოდებული,
ძლივს იკლო ხალხი აურ-ზაურმა,
ძლივს ჩადგა ხალხი ალშფოთებული!
ვერ იქნა, მათე ვერ დაამშვიდეს,
რა ქნეს, რამდენი ჭორები ითქვა?
იდგა და მხოლოდ ჩაჯდა მაშინვე,
როცა შელიამ აიღო სიტყვა:

— აქ გამოსულნი ბოლოს და ბოლოს
ერთს და იმავე აშბაქს ჰყვებიან,
რომ ჩამორჩენის მიზეზი მხოლოდ
გარემოების პირობებია!
ჩვენ კარგ ცხოვრებას მიზნად ვისახავთ,
მას უსათუოდ მიღწევა უნდა,
თუმცა ყოველგვარ მისვლას მიზანთან
წინაღმდევობა თან ახლდა მუდამ!
აი, გათავდა ქარხნის აგება,
დიადო აზრის და მნიშვნელობის,
მაგრამ ხეებით მომარაგება
შიმდინარეობს ნელი მსვლელობით!
ჩვენმა ქარხნამ, ვთქვათ, რომ შეწყვიტოა,
თავის შრომა და შემოსავალი.
ასე გამოდის: ჩვენს სახელმწიფოს
შილიონობით მიესცეთ ზარალი!
ჩვენს საქმეს რომ აქვს მაღალი აზრი,
ამაზე ვსოდე და... არ ღირს მსჯელობა,
თქვენ კარგად იცით ქაღალდის არსი,
შისივე ფასი და მნიშვნელობა!
ვით ეს კანდელი გვაწვდის სინათლეს,
დღის დარია თუ ღამის ავდარი,
ისე ქაღალდიც გვაწვდის სიმართლეს,
ხალხის აზრის და ცოდნის გამტარი!
მით შეისწავლის ცხოვრების სიბრძნეს
ახალშობილი ჩვენი თაობა,
გადაეცემათ შვილიდან შვილზე
ჩვენი, საქმე და გამბედაობა!
შოელი დარბაზი
ტაშმა დაფარა,
აღასტურებენ მართალ ლაპარაკები!
ბურდუს მსჯელობით დატყვევებულა
კომკავშირელი ლია ლენდია,

ნებივრად მისკენ პირი ებრუნა,
მოლლილა, სიცხეს მოუთენთია!
ჰქმის წერაზე ხელი აეღო,
ფიქრში გართულა სახე-გრძნეული,
ოდნავად ენა გამოეყო და
შესცერის სმენად გადაჭცეული!
— მაშასაღამე! ამბობს შელია,
ჩემს ბოლო სიტყვას ვამთავრებ ასე:
სანამ ძალონე და საშველია,
არ დავცემულვართ გარღვევის გზაზე, —
მოხდეს დარაზმვა მშრომელ მასების,
შრომა გაფხალოთ სახელ-ქებული,
შოხდეს შეგნება საქმის არსების,
შეეჭვდეთ მომავალს გამარჯვებული!
კვლავ იწონებენ
ბურდუს ლაპარაკს
და კვლავ დარბაზი
ჟაშმა დაფარა!
ამით კამათი წყდება, თავდება,
აღგნენ, ისედაც არის გვიანი;
ერთხმად მიიღეს წინადადება;
კრებას ხურავენ ტაშის გრიალით!
იქვე კუთხეში, მოწოლილ გესლად
კამეჩის თვალებს ნაბავდა ბესა,
საჯაროდ სიტყვა-ჩამორთმეული!

და ტრიბუნიდან ჩამოთრეული!
წორს სახლებია ახალნაგები,
შიგ ელნათურის მწვანე ჩერია,
დაწინაურდნენ ამხანაგები,
გზას მიკვლევენ, მიიმღერიან:
...სიჩუქ ბუა დო, სიჩუქ თუთა,
მანათებელ სი სერიში;
ჭისქვამე დო მერთი-მორთი
ართო გოლუ სი სქვერიში,
ჭირი ქობლოლამუდასუ
სქანი ჩელა კისერიში...

აი, პატარა ხეტყის უბანიკ,
ხელით ნარგები ლა ნაშენია,
ნელა წაბიჯით და საუბარით
ლიას შოჰკვება ბურდუ შელბა!
ტყფს იპყრობს ძილი და ურუანტელი,

ხეზე ფოთლები ჩიტებრ კრთებიან,
ბნელა, დგებიან ამ შუატყეში
და გაკარებას უფრთხილდებიან!
უცრად ქალმა წაიფორხილა,
მექრდზე შემთხვევით მოხვდა ხელება:
...უიმე ნანა, ჩემი სიკვდილი!
აძგერებულმა სოჭვა გახელებით
და ძირს დაეშვა ღონებისდილი,
ტანს შემოეჭდო მკლავი ბორჯილად!
ამასობაში ხანი გავიდა,
გადაიარეს ღრუბელთ გუნდებმა,
....ეხლავ ვიყვირებ! იტყვის ქალი-და
პირშივე კოცნა ჩაუგუბდება!
არ ჩანს უბანი ახალნაგები,
არც ელნათურის მწვანე ჩქერია,
სახლში მისულან ამხანაგები,
„ჩქიმ საყოროფოს“ არ იმღერიან!
სუნთქვის ფოთლებით სავსე რტოები,
ბნელა, არ არის არც გზა, არც კვალი,
შორს გახიზნული განმარტოებით.
ტყეში ჭოტივით ბჟუტავს ვარსკვლავი!
ქალის ტყვედყოფნას და მორჩილობას
არღვევს ნიავი შემოსწრებული,
განშორდნენ, როგორც ორი ჭრილობა
ახლად შეზრდილი, შეხორცებული!
განშორდნენ, უმალ იქცენ ჩრდილებად,
კვლავ ერთმანეთის ვნებით მსურველნი,
ვაჟს გაჰყვა ქალის თმების სურნელი,
ქალს — სიყვარულის შთაბეჭდილება!

ტენის სიკვდილი

ფშავ-ხევსურეთის ქვეყანა
შეყრილა მაღლა მთაზედა;
თავს დასცერს გერგეტიონი,
ჯაჭვი შეუბამს მხარზედა,
ციცსა უგზავნის ნიავსა,
სოფელს დამლერის თავზედა.
იქა ბუდობენ ნადირნი,
ჩვეულნი ციცსა წყალზედა;
კლდეში ცხოვრობენ ჯიხვები,
რქა დაუდვიათ რქაზედა,
გერც მონაღირე შეუვათ,
უგებენ ფეხის ხმაზედა,
მოძსხმებიან ჭიუხსა,
ქვას აგორებენ ქვაზედა.

მაგრამ რა მეხი მოვიდა,
ჰექა გაისმა ცისაო,
წამაიშალა ლრუბლადა.
წუხილი ბუნებისაო,
ხევს ერუანტელად დაუვლის,
ხვივილი მაღალ მთისაო,
ქარად გადიქცა ნიავი,
რა შესაზარად ქრისაო,
რა სევდიანად ბუუტავენ
სანთლები სოფლებისაო...
გაიგო შუქურ ვარსკვლავმა
სიკვდილი ლენინისაო,
შეკითხვა მისცა მთვარესა,
— ხომ არა იცი ძმისაო...
ვერ ეუბნება პასუხსა,
ისიც ცრუმლებსა ლვრისაო...

გადაცერითნენ გარსკვლავნი,
შუქა დაბნელდა მწისაო,
ცვლილება ჰქონდა ქვეყანას,
სამჯერ შეიძრა მიწაო,
ცველგან გაისმა ტირილი,
როგორც გუგუნი ზღვისაო,
სოციალიზმის ნიშანი
ეკერა გულის პირსაო,
მოყვარე იყო გლეხისა,
ლახვრის დამკრავი მტრისაო,
მებრძოლი ხალხის ბელადი,
დამცველი ჩვენი მხრისაო.
თუმცა რად დაიკარგება,
სახელი კარგი უმისაო...
შან დაგვიტოვა სტალინი,
წყაროი სინათლისაო,
თავზარ დამცემი მტერისა,
ზაფაცი ფორმადისაო,
ანდერძის შემსრულებელი
განთქმული ლენინისაო.

სიცემბრი

ზახსოვს შავი ზღვა, ცხელი ზაფხული,
მატარებელი მსრბოლავი ქშენით,
ირგვლივ ბალები ნაყოფასმული
და უეცარი გაცნობა შენი.

ამაყად შიოთხარ აფხაზის ქალმა,
რომ მუშფაკიდან ტყვარჩელს ბრუნდები.
შენ მოიშორე სიბნელის ჩალმა
და აღათების მძიმე ხუნდები.

შემოგუურებდი დიდხანს ლიმილით.
შველივით დამდგარს ტურთა ქალებთან.
შორს მზე ბრწყინვდა იქროს ლილივით
და ფანჯრებიდან გვითვალთვალებდა.

შემდეგ გამოჩნდა მალარო მთაში,
სევთან შეჩერდა მატარებელი...
წახველ, გამშორდი და ფიქრი ვაჟის
დიდხანს მოგდევდა, როგორც მხლებელი.
ფიცი, დაგიხუდა მთა განახლებით,
მალაროებში ცეცხლი მკვესავი...
მხოლოდ ერთხელ ვარ შენი მნახველი
და მაინც გულში ლვივი მზესავით.

არ მავიწყდება ზღვა და ზაფხული,
მატარებელი შემდგარი ქშენით.
მაქვს ნეტარებად შემონახული
მე უეცარი გაცნობა შენი.

ნინო მუხრის

ვხედავ წიწამურს...
 ფიქრები ქრიან...
 ვიქ განიცადა ბრძოლა ამგვარი:
 ნუთუ აქ შოჰელა ვერაგის ტყვიაშ
 ქართული სიტყვის ბაირახტარი?

ნუთუ ამ გაშლილ
 ქართლის კარებთან
 დასცეს დიდებულ მოხუცის ტანი,
 ვის ძარღვებშიაც დამქუხარებდა
 თერგი, არავი და ალაზანი!

წასულან წლები...
 ქვეყანაშ იცნო
 ბუმბერაზ მგოსნის ელვა და მეხი;
 სიტყვამ დალეწა ხეობა ვიწრო
 და პოეზიის წამოღვა ფეხი.

დახედავ ფურცლებს;
 აიშლებიან
 ქაფმოდებული თერგის ტალღები;
 იქ ოქროპირი მგოსნის ხებია
 და ოცნებაში ჩაიკარგები...;

წახვალ, გადივლი
 მინდორს და ზეგნებს,
 ცა იაგუნდის ფარდებს ჩამოშლის,
 და ვიდრე ახვალ მოლურჯო მთებზე,
 მზეც გაიშლება საგურამოში.

ჩატაში

ზაფხულის ღამე იყო.

ვარსკვლავებით მოქედილი ცა ოქროს მძივით მოქარგულ შავ ხავრდს ჰვავდა.

წყნარი იყო ღამე და ყველაფერი სდუმდა: ბორცვიც და მთაც, ხუჩქიც და ტყეც, წყაროც და მდინარეც.

ხანგამოშვებით ყრუდ გაისმოდა მშიერი ნადირის ღმუილი და სალტე-სავით შემოეკერებოდა მთის ძირში მიკრულ ცხვრის ფარებს. ღმუილს მეცხვარეთა ფხიზელი ძალლების ცივი ყეფა აპყვებოდა ხოლმე.

ნადირის ღმუილსა და ძალლების ყეფაზე მეცხვარეთა გაძახილიც შემოიჩნენდა კლდეებს, ხევებს, მთებს, სადღაც მთებს იქით იკარგებოდა და ისევ დუმილი მყარდებოდა.

სწორედ ასეთ სიჩუმეში გავარდა თოფი.

თოფის ხმა ქუხილივით გაისმა და გაღმა, კლდეებს მიასკდა, შემდევ მდინარე ინწობას გაჰყვა.

წამოიშალნენ მწყემსები, თოფები ფეხზე შეაყენეს.

— ბიმურ, ჰაი, ბიმურ! — გაისმა ძახილი.

თოფი მეორედ გავარდა. მთებიღან მთებზე, ხევებიღან ხევებზე გადაირბინა და შორს ხეობაში ჩაიღრჩო.

— ჰაი, ბიმურ, აუ!.. — გაისმა მეორედ ძახილი. — ცხვარს გაუფრთხილდით, ცხვარს!..

უცებ ბიმურის ცხვრის ფარა წამოიშალა. შეშინებულმა ძალლებმა წკნავილით მიაშურეს ფარებს:

„მგლების ხროვა თუ არის, თორემ ერთი მგელი ძალლების შიშით ვერ მოგვიახლოვდებოდა“ — გაიფიქრა კოლმეურნეობის მწყემსმა ბიმურმა და ცხვარს წინიღან შემოურბინა, ძალლების გასამხნევებლად ერთიც მეღგრალ გასძახა მიღამოს და ზედ თოფიც დააგრიალა.

ბიმურის თოფის შეაზე მეზობელ კოლმეურნეობის მეცხვარეებაც და-
აჭექეს თოფები.

ვერც თოფების ჰექამ, ვერც ძაღლების ყეფამ და მეცხვარეთა გაძა-
ნილმა; ეტყობოდა, ვერ დააფრთხო არაჩეულებრივი ნადირი, რაღანაც
ფარა ახლა შუაზე გაიყო: ცხვარმა ორი მიმართულებით გაიწია, და ბი-
მურმა ღამის სიბნელეში საკვირველი ნადირის საკვირველ ნახტომს ძლივს
შეასწრო თვალი.

მეცხვარე სახტად დარჩა: ასეთი ნადირი თავისდღეში არ უნახავს მას;
ნუთუ შიშმა გააფუჭა ვაჟკაცი?

ბიმურმა ერთხელ კიდევ შესძახა და იმ მხარეს მიაშურა ძაღლებიანად,
ხადაც საკვირველ მოჩვენებას მოჰკრა თვალი.

ფარების მოშორებით პატარა ბორცვი იყო. ბორცვის შემდეგ დიღა
დაქანება იწყებოდა. ბიმური ძაღლებითურთ თვალის დახამხამებაში ამ-
დაქანების თავზე გაჩნდა. უცხო ვება ნადირმა წინ გადაურბინა; სადღაც
ჩაინთქა.

— მიღი, მგელავ და მანათავ! ვცი, ჯაბავ და კუდალავ! — შეჰყვირა
ძაღლებს ბიმურმა და თავად თოფი მოიმარჯვა.

მაგრამ გავარდნენ წინ ძაღლები თუ არა, მაშინვე ატყდა მათა გულ-
შემზარავი კივილ-კნავილი. ჯაბა და კუდალა უკან დაბრუნდნენ მათ-
თვის უჩვეულო წენავილით და კუდამოძუებულნი ფეხებში შევარდნენ
ბიმურს. დანარჩენების ყეფაც კი არ ისმოდა.

ვერ მოასწრო ბიმურმა რისამე მოსაზრება, რომ მის წინ, სულ რაჭ-
დენიშე ნაბიჯის მანძილზე, ალისფრად ანთებულმა თვალებმა დაიბრია-
ლეს და ჰაერი ისეთმა, რისხვიანმა ღრიალმა შესძრა, რომ ბიმურს თავ-
ზარი დაეცა.

ბიმურის თოფმა გრიალი მოილო. მაგრამ იმავე წამში ის ცეცხლიანი
თვალები მუგუზლებივით ჰაერში დატრიალდნენ და. თითქოს კამარა შეკ-
რესო, მაღლიდან შხუილით წამოვარდნენ ბიმურის თავის პირდაპირ.

მთელი თავისი ვეება ტანით ამართული ნაღირი ბიმურს შეეტოტა.

ბიმურმა ხანჯალი იშიშვლა და მთელი ძაღლონით მხეცს მუცელში
ჩასცა.

დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

...მეორე დღეს, როცა მზე შორეულ მთებიდან ამოცურდა და ღრუბ-
ლის ნაფლეთები ოქროს ზოდებად აქცია, ბიმურის ფარების წინ კარჩ-
ხლებზე გაჭიმული ვეფხის ტყავი შრებოდა.

ბიმური კი თავტანშეხვეული იქვე იჯდა ღონემიხდილი, და საკვირ
ველების სანახავად მოსულ ამხანაგებს ეუბნებოდა:

— მაშ, რა გვონა, ჩვენი კოლექტივის ფარას ასე აღვილად გავაფუ-
ჭიბინებდი?

ՎՀԱՏՈՎՄԻՐՈ ԹԱՅԱՌՈՒԹՈՒԹՅԱ

8. ՀՅԱԽԱՅԵՑՈՅՑ

ԹԻՒՐԻՎԱԿԱԽԵՎՈՒՑՈ

Շմացու տերցու լմշուս. ծորցազն
կլճետա մորուս, զովի՞ռու եցուտ,
մուսու մոռջմա գրոցալս մոշցազն,
ուրեմլու Շեցոյքն օւշրուս նեցուտ.
Շերպալս քըլուտ մուցու —
Ծիւյրու տերցու սկայ,
տաշանուան մուցերեծուտ
յանձնուն նլցաս Շեծութեծութեծու:
»Ճառի՞ց, մոյց ծինա
Ծալլաս հյամսաս, նլցառ հյենո!
ման գրծելու ցիս ցառնինա,
աելա քրու դաշուազենո.
մե յանձեցուս մուցեմա մժուծա,
ցամոմկցութա լրութելուս մյյրճիւ,
յացուս սկայ մուլութելութան
շոմարտացու ծրմութեծ մշեցրագ.
մժուծլուսուրո դարուալո
ազառերց դաշնոցագ,
ու Շեմս Շզուլութեծ այ դութօմալո
մուրույց յեցու չշոցագ".
մոյրճոնօնծուլու նանուրս ցյերժուտ,
ցոյմս յասէու, տուռիուս սծննազ...
մուցուարու Ծյնուլուգ տերցու.
կվլազ ծութեծութուտ մոյրճունա:
»Շենտցուս մոմայքս սանուկարու,
արու սիմրալու մուսաբանու,
ոցու արու ոմնու մյցուարո
յածարճուցու գմուրուս Ծանու.

მას ძვირფასი ჯავშანი აქვს
და ფოლადის ფარი სქელი:
წმინდა ლექსი ყურანიდან,
აწერია ოქროს მელნით;
გმირის წარბში მოჩანს რისხვა,
და ნაგრეხი ულვაშები.
გამწითლა ცხელმა სისხლმა,
კეთილშობილ ჭავლად ჩქეფით;
ძველი მტრობით ელავს ისევ
ოვალი ცივად ანათროთოლი,
და კეფიდან ჩასდევს კისერს
დაგრეხილი ბანჯგვლის „ზოლი“.
სდუმს კასპია, სთვლებს და არი
მიყრდნობილი ნაპირს ფერდით.
ისევ მოხუცს, ნამღელვარი
შექსიტყვა შმაგი თერგი:
„ფას-დაუთქმელს გიძლენი საგანს,
საშოგნელად არა ადვილს,
დღემდე იმას ქვეყნისაგან
საიღუმლოდ ვინახავდი.
შე ტალღებით მოშაქეს ძლვენი,
ყაზახ ქალის ტანი ჩვილი,
მას ფერმკრთალი მხრები ჰშვენის,
ომაც ოქროსფრად ჩამოშლილი.
სახეს სევდა აკრავს ბინდად,
თვალებს სძინავთ ტკბილი რულით,
მკერდზე ვიწრო ჭრილობიდან
სღის წითელი ნაკადული.
ლამაზ ასულს, კლდეთა გვერდი,
მდინარის პირს აღარ ელის
სტანიცაში ერთად-ერთი,
მხნე ყაზახი გრებენელი.
ცხენით შთიდან მთას ესტუმრა
და ბრძოლაში ლამით, მშვიდათ
ჩაჩის ხანჯალჩაცემულმა
თავი დაბლა ჩამოჰკიდა“.
დაასრულა თერგმა სიტყვა,
თეთრი, როგორც თოვლის ზვავი,
წყლის მორევში ატივტივდა
სოველი თმით ქალის თავი.
აქ მოხუცი უცებ ადგა,
ჰქუეს და გრგვინავს მთელი ძალით.
გნების ცეცხლით აციაგდა

ჰნელლაუვარდა მისი თვალი.
აბობოქრდა, სიხარულში
წუთიც აღარ დააყოვნა,
და შოსული ზეირთნი გულში
ტკბილ ღუღუნით ჩაიკონა.

თარგმანი ან. სიჭინავასი.



სარხელნაბარი

შეზღუდვები

1. მან დაასრულა ეს სიტყვები, როგორაც ქალმა
შეყვარებულმა, და დასძინა შემდეგ ამია:
3. Beati quarum tecta sunt pecasa.
როგორც ნიმუშები უღრან ტყეში მოხეტიალე
5. ერთნი მზისაგან განტოლვილნი ჩრდილის საძებნად,
სხვანი კი მზვარეს მონატრულნი გარბიან ხოლმე,
7. ასე ილტვოდა, მიყვებოდა მდინარეს აღმა
ნაპირ-ნაპირ და მეც მის გასწვრივ, ვიტოდი ნელა.
9. მძიმე ნაბიჯით მიყვებოდი ასულს კვალდაკვალ
ასი ნაბიჯიც არ გვქონდა ჩვენს ორივეს ჯერაც განვლილი,
11. როცა მდინარის ორივ კიდე მოიქცა განზე.
ასე რომ ისევ გზა განვაგრძე აღმოსავლისკენ.
13. კიდევ ამდენი გადავლახეთ. ორთავ მანძილი,
ქალმა მომხედა მეყვსეულად და მომიბრუნდა:
15. „ძმაო მომაპყაჩ ყურადღება და მომისმინე!“
აჰა, ნათელი უეცარი აენთო ირგვლივ,
17. დაბურულ ტევრის შტოებიდან გადმონთხული,
ასე ჭიერნა ელვათყრომა ატეხილიყოს..
19. მაგრამ ელვა ხომ წამიერად ინთება, ჰქონება,
ეს კი ბრწყინავდა ხანდაზმულად, მომეტებულად:
21. და ვთქვი იდუმალ გულში ასე: რა არის მეთქი?
ტკბილი ჰანგებით გაიუღენთა ირგვლივ ჰაერი
23. და უბოროტო იჭვის გრძნობით აღტყინებულმა
დავგშე იდუმალ სითამამე მაშინ ევასი.
25. რადგან ისეთ ყამს რომ მოსდრიკეს ხმელი და ზეცა
ახლადშექმნილმა დედაკაცმა არ მოითმინა

³ ნეტარება მას, ვისც შეუნდვეს შეცოდებანი.

27. თვალთა წინაშე მცირე რიდეც იღუმალების ।
 არ დაეთოვუნა მას ეს შიში უფლის წინაშე,
 29. ეს ყოველივე ნეტარება ენითუთქმელი
 მაშინ აქამდის გახდებოდა ჩემთვის საცნაურ.
 31. შე მივდიოდი მომლოდინე ესოდენ ტკბილთა
 და მარადეამულ ნეტარებათ დაწაფებისა.
 33. მწვავდა სურვილი უფრო მეტის საცნაურყოფის,
 ჩვენს წინ ალივით მოვარეარე დადგა ჰაერი,
 35. მწვანე ხეების შტოების ქვეშ გვესმა მოარულთ,
 ტკბილი გალობა გავარჩიეთ უცხო ხმაურში.
 37. წმინდა ასულნო, თუ შიმშილი და უძილობა
 ხშირად სიცავეც მე თქვენს გაშო მომითმენია,
 39. ვგონებ ნება მაქვს აწ ვითხოვდე სამაგიეროს:
 აწ ჰელიკონმა ლვაროს ჩემთვის თავისი წყლები
 41. და ურანიამ მომაშველოს ხორო თავისი,
 რათა ლექსად ვთქვა გონებისგან მიუწვდომელი.
 43. მე მომეჩვენა შვიდი ხენი ოქროვსანი,
 თვალი აცდუნა აქ შანძილმა საკმაოდ შრომა,
 45. რომელიც იყო იმ ხეთა და მაცქერალს შორის,
 როცა იმ ხეებს მივეახლე ბუნდოვანება
 47. გრძნობათა ჩემთა შაცლენალი მყის განილანტა
 და სინამდვილე წარმომიდგა სიცხადით თვალწინ.
 49. ცნობიერებამ გონებისამ იმარჯვა მყისვე,
 შვიდი სასანთლე შევიცანი ოქროისანი,
 51. ხოლო გალობა ყოფილიყო თურმე ოსანა,
 ეს სასანთლენი ქათქათებდნენ უფრო ბრწყინვალედ.
 53. ვიდრე მთოვარე გაღმოშული მოწმედილ ცაზე
 ნაშუალამეებს ნახევარის თვის მიწურულში,
 55. განცვიფრებული მიკუბრუნდი მაშინვე მეგზურს,
 ქველ ვირგილიუსს, მაგრამ მანაც სამაგიეროდ
 57. მევე მომაპყრო გაოცებით აღსავსე თვალნი.
 შემდეგ ამისა კვლავ შევხედე დიად მოვლენებს,
 59. მაგრამ ისინი ისე დინჯად მოისწრაფოდნენ,
 მათ გაარჩევდათ თუნდაც ახლად ჯვარდაწერილნი.
 61. მკიცხავდა ქალი გულნაწყენი: „რატომ ესადრე
 აღტაცებული შეაშტერდი იმ სასანთლეებს,
 63. ხოლო მათ უკან მომავალთა აღარც კი ამჩნევ?“
 და მომავალი, ვით ბელადის ასაბიები,
 65. მაშინ შევნიშნე მე ლანდები თეთრად მოსილნი
 (ამგვარ სითეთრეს ვერვინ ნახავს ჩვენ ხელის პირზე)
 67. ჩემგან მხარმარჯვნით გარვარებდა წყლის ზედაპირი
 სხეულის ჩგმის ნახევარი, მარაზენა მხარე

69. თითქოს ჩემს გვერდით ყოფილიყო სარკე დადგმული..
რა შევარჩიე წყლის ნაპირზე მარჯვე ადგილი;
71. როცა მხოლოდ რუ მაშორებდა მომავალთაგან,
ვიწყე ნელი სვლა რათა უკეთ მემზირა მათვის.
73. ახლა ვხედავდი წინ მიმავალ ალების ფარფატს.
ჰაერში ისე ლიცლიცებდნენ ეს სასანათლენი,
75. როგორც პაწია სლისფერი ღროის ფოჩვები.
ატმოსფეროში ვარვარებდნენ ჭრელი ზოლები,
77. შვიდთა ფერთაგან შეკაზმული, რომელთაგანაც
მზე ცისარტყელას და დელია ჰქანავას თვის სარტყელს.
79. დროშების მწკრივებს ვერ წვდებოდა ბოლომდის თვალი
უკიდურესნი, რამდენადაც შევძელ დანახვა
81. ათ-ათ ნაბიჯზე მიყვებოდნენ ერთი მეორეს.
უკვე ჩემს მიერ გამოხატულ მშვენიერ ცის ქვეშ.
83. თორმეტი წყვილი მიდიოდა მოხუცებული;
შუბლზე თვითეულს შროშანების ედგათ გვირგვინი.
85. გალობდნენ ერთხმად Benedette tue
Nelle figlie d'atdamo, e benedette
87. Sieno in eterno le belleze tue
როგორც კი მდელო, ყვავილებით საცსკ წალკოტი
89. გადალშა მხარეს, ჩემს პირდაპირ განთავისუფლდა
და რჩეულები სათითაოდ თვალს მიეფარნენ.
91. როგორც შნათობნი ამოდიან ზედიზედ ცაზე
გამოჩნდა მტილზე ოთხი მხეცი თანდათანობით,
93. მწვანით შემკული ჰქონდათ ყოველ მათთაგანს შუბლი..
ფრთხი ექვს-ექვსი ესხათ; ფრთხებზე თვითეულს თვალნი
95. და რომ ნამდვილად ყოფილიყენენ არგუსისანი.
ამნაირ თვალებს ზედმიწევნით ემზგავსებოდნენ.
97. მაგრამ ამ თვალთა ალსაწერად მე არ დავხარჯავ
ლექსტებს, მყითხველო, რაღვან სხვაგან მომელის ხარჯი
99. ისე საშულო, რომ სიუხვეს აქ ვეღარ ვიჩენ,
შენ ეზიკიელ წაიკითხე, ეს მან აწერა,
101. ვით მოდიოდნენ ყინულეთის ბნელ საუფლოდან
ესენი ცეცხლის, ღრუბლების და ქარის ამაღად.
103. სწორედ ისეთნი, როგორსაც იქ ნახავ აღწერილს,
სწორედ ისეთნი იყვნენ აქაც, მაგრამ უფრთებოდ

⁸⁵ კურთხეულ იყავ შენ ადამის ნაშეერთ შორის,
მარადებას იქმნეს კურთხეული სიტურფე შენი.

¹⁰³ ტექსტში Carse — ეტრატი, ნაწერი.

¹⁰⁵ აქ იგულისხმება ითანეს გამოცხადების ავტორი. ცხადია, ამ სიმბოლური მხე—
ცების აღწერილობა დანტეს, ნასესხები აქვს დაბადებიდან (ეზეკიელი), და
ითანეს აპოკალიპსიდან.

105. და ფრთების გამოც იღანეც შე მემოწმება.
ამ ოთხთა შორის მოდიოდა ორბორბლიანი,
107. გაქანებული სატრიუმფო ეტლი და ივი
ქინჩხე მოებათ უზარმაზარ გრიფფონისათვის.
109. აღეპყრო ფრთენი ორივენი ამ ფრთოსან ნადირს,
სამ-სამი ესხა თითო მხარხე და ერთ მათვანსა
111. არ აჟენებდა ზიანს რასმეს ფრთების გაშლისას.
თვალით ვერ შევწევდი მე სიმაღლეს იმა ფრთებისას,
113. ფრინველს სახსრები გამოსხმოდა ოქროსი სრულად,
სხვა დანარჩენი სრულად თეთრი ძოწვანარევი.
115. ასეთი ეტლი არ უძლვნიათ ხომ არასოდეს
არც ავგუსტისთვის და არც თავათ აფრიკელისთვის.
117. თვით ეტლი მშეისა მასთან არად გამოჩნდებოდა,
ეტლი, რომელიც გზას გადაცდა და დაიბუგა,
119. როს სათნო ლოცვა შეისმინეს დედამიწისა
თვით უპიტერის მართებული მსჯავრის მიხედვით.
121. ეტლის მხარმარცხნით სამრ ქალი უკლიდა ფერხულს;
ერთი მათვანი ისე წითლად იყო მორთული,
123. რომ ალისაგან ცეცხლის პირას ვერ გაარჩევდი,
ხოლო მეორეს შეუსხამსო თითქოს სხეული,
125. სამარაგდოსთან აგებული თხემით ტერფამდის.
ხოლო მესამე ქალი ჰგავდა ახლად დაფიფქულს,
127. გეგონებოდათ ყველას თეთრი წინ მოუძღვისო,
ხანაც წითელი და სიმღერას მისას აღგზნებულს
129. ფეხს აყოლებდნენ დანარჩენენ მეფერხულენი;
მარცხენა ეტლთან კიდევ ოთხი როგავდა ქალი,
131. ყველას პურპური ტანთ ემოსა და მიუძღვდა
სამივეს ერთი მოცეკვავე სამთვალიანი.
133. უკვე აღწერილთ მოყვებოდა კვალდაკვალ უკან
ორი მოხუცი ტანთხაცმული სხვადასხვა გვარად,
135. დარბაისლობით ორივენი ჰგავდნენ ურთიერთს.
ერთი მათვანი იყო ალბად ნაშაგირდალი
137. პიპოკრატესი, რომელიც თვით დედა-ბუნებამ
თვის უძვირფასეს კავშირთათვის აღმოაცენა,
139. მეორე სჩანდა სულ სხვანაირ ზნეობის კაცად,
ისეთი ბასრი და ელვარე ხმალი ეკიდა,
141. მდინარის გაღმა მომაწვდინა შიშისა ქარი.
შემდეგ ვიხილე კიდევ ოთხნი კრძალვით მოსილნი;
143. მათ მიყვებოდა ბერიკაცი დაფიქრებული,
თვალს ძლიგს ახელდა თვალემისაგან ღონემიხდილი,
145. ყველას, შვიდივეს ისე ეცვა, როგორც პირველთა,
მხოლოდ ეს იყო, არ ამკობდა არც ერთი მათვანს,

147. თეთრი შროშანის გვირგვინები ტურფად დაწენული, არამედ წითელ ყვავილების გირლიანდები,
 149. შორით მნახველი თუნდაც ფიცით დაამოწმებდა: მოსდებიათო ცეცხლის ალი წარბებს ზემოდან.
 151. როგორც კი ეტლი გამისწორდა მდინარის გაღმა, მყის დაიგრგვინა და ქრებული პატივცემული
 153. შესდგა, რა სამანს მიაღწიეს უკვე აკრძალულს და შეაყენეს სასანთლენიც წინ მიმავალნი.

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი.

გრიგოლ აგაშიძე

2018-უშაველას პოეტური ლექსიკა

სოციალიზმის შენებელი კლასი ერთადერთი ლირსეული და კანონიერი პატრიონია კლასიკური მემკვიდრეობისა. ამ მემკვიდრეობის ათვისებისათვის დიდი მუშაობის ერთი საუკეთესო გამოხატულებათაგანი ვაჟა-ფშაველას ღლებიც იყო, მისი გარდაცვალებიდან 20 წლის თავზე.

ვაჟა-ფშაველას ბედნი გაულიმა. მეოცე საუკუნის კრიტიკამ და საერთოდ მწერალთა ყველა ახალმა თაობამ მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და იგი არა თუ ღირსი იყო ამ ყურადღებისა, იგა ღირსია კიდევ უფრო მეტისაც. ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის და საერთოდ „თერგდალეულების“ იდებიდან არა თუ შორს იყო ვაჟა-ფშაველა (როგორც ზოგ ეჩვენება), პირიქით, მე-19 საუკუნის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გავლენის ქვეშ თავიდანვე მოქცეული, იგი ამ გავლენის ქვეშ დარჩა ბოლომდის.

ვაჟას მემკვიდრეობის ნამდვილი და ჯეროვანი დაფასებისათვის. მუშაობა ჯერ ზოგადობას არ გაცილებია. ჯერ კიდევ პრადა მონახული ქართული ლიტერატურის განვითარების დიდ გზაზე მისი ადგილი, ჯერ კიდევ არც ერთი ცალკე საკითხი, არაა შესწავლილი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან.

ჩვენი ცდაა ამ წერილში მივუახლოვდეთ ვაჟას შემოქმედების ზოგიერთ საკითხს — მისი პოეტური აპარატის ტექნიკური მხარის დანახვას მიზნით.

დიდი მწერალი მაშინ იქნება ყოველმხრივ დაფასებული, როცა მისი შემოქმედების ყველა კუთხე გაშუქდება და განიხილება.

დიდი მწერალი კლასიკოსი, აღწევს ჩა სრულყოფას, გამოთქმისა და გამოხატვის ფორმაში, თსტატდება და საკუთარ სახეს ინუშავებს.

ეს წერილი გამოხატვისა და გამოთქმის ზოგიერთ იმ საშუალებას ეხება, რომლის დანახვაც მე შევძელი ვაჟას შემოქმედებაში.

პოეტიკის ცოდნით ლექსი არავის დაუწერია, ნაგრამ მისი ცოდნა ყოველთვის საჭიროდ ითვლებოდა. ჩვენში ეს დარგი ჩამორჩენილია. და შეიძლება ითქვას, პრიმატიულ მდგომარეობაშია.

ისტორიამ მამუკა ბარათაშვილი ს წარმატული „ჭაშნიკის“ მეტი არა დაგვიტოვა. ჩა (ჩა თქმა უნდა, აქ არ ვივიწყებთ რუსთ-

ველის l'art poetique-ს — შაგრამ იგი ხომ არც სისტემური; სპეციალური შრომაა და არც ტრაქტატი ქართულ ლექსზე, იგი უფრო ზოგადი, თავის-თავად დიდმნიშვნელოვანი დებულებების შემცველია), ხოლო ახალი ქართული მეცნიერება ს. გორგაძეზე გაჩერდა.

ასეთ პირობებში, როცა დღემდის მახვილის აღგილიც კი სადათა ქართულ ლექსში — ცალკე მწერლის პოეტური სტილისა და ხერხების სიტემატურ შესწავლაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ეს პრეტენზია არ გააჩნია ამ შემთხვევაში ჩვენს პატარა ცდას ვაჟა-ფშაველას გარშემო. აქ მხოლოდ ის არი განხილული და სახელდარქმეული, რაც მე დამინახავს ამ დიდი პოეტის შემოქმედებაში.

ვაჟა-ფშაველა დიდხანს იყო შეუცნობელი და გაუგებარი. ეს გაუგებრობა სწორედ მისი პოეტური ხელოვნების თავისებურებით. იყო გამოწვეული და ეს თავისებურება დღემდის აუხსნელი დარჩა.

ერთი, მის ლექსს ჩამორჩენილს, პრიმიტიულს უწოდებენ და მასში მარტოლენ ხალხურს ეპიგონს ხედავენ; მეორენი მას დასავლეთის უახლოესი ლიტერატურული სკოლის პირველ წარმომადგენლად სთვლიაზ ჩვენში და იმდენად თავისებურ პოეტურ ფიგურად მიაჩნიათ, რომ შესაძლებლად სცნობენ „ვაჟაური ლექსის“ არსებობას; ისე როგორც რუსთველურისას.

ერთიც და მეორეც შეფასებაში აჭარბებს. ორივე შეხედულება უფრო სუბიექტური განწყობილებიდან გამოდის, ვიდრე პოეტის სტილი საფუძვლიანი ანალიზიდან.

ვაჟა-ფშაველას პოეტიკის შესწავლა, მისი პოეტური ფაქტურის დასისტემება, დიდ შრომასთან ერთად, ერთგვარ წინასწარ /გზის გაწმენდა-საც მოითხოვს და სანამ ქართული ლექსის დიდი დედის—ხალხურის მკუნჯერული დამუშავება არ მომხდარა (და განსაკუთრებით მთის ჰალხურის), სანამ ფშავეკუსურული დიალექტი სისტემატურად ჯერ კიდევ არ შეგვისწავლია, მანამ ვაჟა-ფშაველას პოეტური ლექსიკის შესწავლა განსაზღვრულობას ვერ გასცდება.

სტრიციკა

ვაჟა-ფშაველას ლექსის ერთი თავისებურებათაგანი მისი სტრიცოფული ქომპოზიციაა. ქართულმა ლექსმა ვაჟა-ფშაველამდე სტროფიკის გარკვეული, მტკიცე კანონები იცოდა, ყველაზე ნეტად გავრცელებული 4 სტრიქნიანი სტროფი იყო. იყო 5-იანი 6 და მეტ სტრიქნიანი სტროფები, მაგრამ მათი გამოყენება ყოველთვის განსაზღვრულ ჭანობზორებას ექვემდებარებოდა.

დაშვებული იყო სტროფთა არა ერთგვარობაც, მაგრამ იგი უმეტესად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ასე იყო მწერლობაში, ხოლო ხალხური კი საშინააღმდეგო სურათს იძლეოდა.

ხალხური ლექსი გაურბის სტროფულ სტანდარტს.

ვაჟა-ფშაველამ მთლიანად შეითვისა ხალხური ლექსის ეს დამახასიათებელი ნიშანი და პოეტური ხერხის პრინციპამდე აღყვანა.

ვაჟა-ფშაველას სტროფი ხან 4-სტრიქონიანია, ხან 6-იანი, ხან 8-იანი, 10-იანი და მეტიც. მან ამ შემთხვევაში არავითარი კანონი და ნორმა არ იცის.

ვაჟა-ფშაველას სტროფი (ჩვეულებრივი გაგებით) არა აქვს. მის სტროფს სარითმო პერიოდები, ან სარითმო ჯგუფები სცვლიან. მის ლექსისა და პოემაში არც ერთი სტროფული სტრუქტურა ბოლომდე არ გადის, არც მსგავსებას ინარჩუნებს, რამე კანონზომიერების დასადგენალამიტომ ვაჟა-ფშაველას ლექსს შეიძლება ას ტროფული ეწოდოს:

ეს გარემოება (სტროფული უკანონობა) ბუნებრივია ვაჟა-ფშაველა-თვის (ისე როგორც ხალხური მათქვამისთვის). მან ლალი ამოსუნთქვა იცოდა და ამ ამოსუნთქვას სტროფული საზღვარი ვერ დაუდგებოდა: „ქარის ჩამოტანილ ხმას“ და ზევების სტიქიას სტროფული სტანდარტის ჩარჩო ვერ შეზღუდავდა.

ამიტომ არჩია ვაჟამ სტროფული თავისუფლება, იგი სტრიქონებში ძალდაუტანებელ, ლრმა ამოსუნთქვის რიტმს გაჰყვა და სარითმო პერიოდებიც ამ რიტმის ნებასურეკილზე დადგა.

ვაჟა-ფშაველა არ იყო კანონის და რაფინული ფორმების, ერთხელ დადგენილი სტანდარტების კაცი. აბა წარმოიღინეთ ვაჟა-ფშაველას სიმღერა სონეტის, ან ტრიოლეტის სავალდებულო ჩარჩოებში!

ვაჟა ასეთ ფორმებს არასდროს ახლოც არ გაჰყარებია, მაგრამ მას ხშირად უცდია ჩვეულებრივი 4-სტრიქონიანი სტროფის მორგება თავის ხმისთვის. უცდია და დამარცხებულა. 4 სტრიქონიან სტროფში, ინტერვალიანი რითმით, ხშირად გამოშეულავერბულა ვაჟა-ფშაველას ხმის ნაძალადევობა და არაბუნებრიობა. ერთი მიზეზთაგანი (სხვა პიზეზთა შორის) უთუოდ ეს სტროფული ჩარჩოც იყო ვაჟა-ფშაველას მარცხისა 10 და 5-მარცხლიან ლექსებში.

ამ რიგის ლექსებშიც კი, იქ, სადაც ვაჟა-ფშაველამ სტროფული კანონზომიერება უარყო, განსაზღვრულ მხატვრულ ეფექტსაც ტიალწია და ხმის ბუნებრიობაც გამოიაჩინა.

ამის საუკეთესო ილუსტრაციებია „ნუგეში მგოსნისა“ და „გიორგი სამაკაძის სურათზე“. პირველში იგი ჩვეულ სარითმო პერიოდებს ანვითარებს (კანონიერი სტროფის ნაცვლად) და ლექსი ძლიერ რიტმულიცაა. მეორე ლექსი კი ბოლომდე ერთ სარითმო პერიოდს წარმოადგენს.

დიდ ფორმაციის საკუთრებით ემჩნევა. ვრცელი ეპიური ტილო-პოემა მისი ნამდვილი სტიქია იყო, ყველაზე მეტად მისი პოეტური სახე ეპოსში გამოიგვეთა და ყველაზე შეტად ხალხურს სწორედ ამ ეპოსით დაშორდა, რადგან ხალხური ლირიკული ფორმებიდან, ფრაგმენტებიდან და დიდ სუჟეტურ ლექსებიდან (ბალადები—„ჯარჯო“, „მოყმე და ვეფხი“) ძალიან დიდი მანძილია ასეთი

ფართო მოფიქრებისა და რთული კომპოზიციის პოემებამდის როგორიც „სტუმარ-მასპინძელი“, ან „გველის-მჭამელი“ -ა.

თვით ლირიკაშიც კი ვაჟას ტენდენცია აშკარად სჩანს ამ დიდი ფორ-მებისკენ, ლექსებში სუჟეტების და ფაბულების განვითარებისაკენ.

30 და მეტ სტრიქნიანი ლექსები მისთვის ჩვეულებრივაა, ხოლო გრძელი სუჟეტიანი ლექსები მისი ლირიკის წიგნში არც თუ იშვიათობას წარმოადგენენ. პატარა ფორმა, ბოკლე ლექსი, სრულიად არ არის მისი ლირიკისათვის დამახასიათებელი.

ვაჟა-ფშაველას ლირიკის ძირითადი მოტივები შეიძლება ასე დაჯ-გუფდეს:

1) წმინდა ლირიკული ან სუბიექტიური რ-ფ სიქოლოგიური რიტორიკული მოტივები, სადაც ავტორი სულიერ გან-წყობილებას გადმოვცემს. ეს მოტივი, შეიძლება ითქვას, ვაჟას ლირიკისათვის ძირითადი არაა. იგი დამოუკიდებლად ვკვდება პატარა ლექ-სებში, მაგრამ უფრო მეტად ეს ინტიმური, სუბიექტური მოტივები, საზოგადოებრივ მოტივებთანაა გადაჯაჭვული თვით ისეთ ლექსებშიც კი, როგორიც მისი „სიღლერებია“.

2) ვაჟას ლირიკაში გაბატონებულია თხრობითი და აღ-წერილობითი მოტივები. თხრობითი მოტივი იმდენად დინამიურად აქვს, განვითარებული, რომ ხშირად სიტუაციასა და ფაზებ-ლას ქმნის ხოლმე და სუჟეტურ ლირიკის სახეობას გვაძლევს („გიგი“, „ბაქური“ და სხვ.).

აღწერილობითი მოტივი ცალკე, დამოუკიდებლად იშვიათად გვხვდება ვაჟა-ფშაველას ლექსებში, იგი ან თხრობითი მოტივთანაა გადაჯაჭვული, ან სუბიექტურ-ფსიქოლოგიურთან. ვაჟას არ ახასიათებს შიშველი, პასიური პეიზაჟი, არც მოვლენების მშრალი რეგისტრაცია და ცივი აღწერილობა. ამიტომ აღწერილობითი პეიზაჟი (დესკრიპტული მოტივი) გამოთიშულად იშვიათდ გვხვდება მის ლექსებში, ხოლო თუ ბეჭვნის ასეთი, იგი იმდენად ემოციურია; იმდენად გამოიყოფა და მრავალფეროვანი, რომ სრულიად არ სტრიქნის მშრალ, პასიურ, დესკრიპციის შთაბეჭდლებას (მაგ. „ლამე მთაში“).

ლექსიკა

ვაჟა-ფშაველას ლექსიკა მთლიანად განისაზღვრება იმ წრის სასაუბრო ენით, რომელშიაც იგი ტრიალებდა. მისი ლექსიკა მთიელთა (ფშავებენსურთა) ყოველდღიურ სიტყვიერ. მასალაზეა მთლიანად დამოკიდებული.

ვაჟა-ფშაველამ დიალექტიზმი მიიღო, როგორც პოეტური ხერხი, მიიღო თითქმის ყველა ნიუანსით, ავითა და კარგით, თავის დროზე, ეს დადი გაბედულება იყო.

წერა იმ დიალექტზე, რომელიც მკითხველთა უმთავრეს ნაწილს თანაქმის კარგად არც ესმის, ერთგვარი უხერხულობსც არი, მაგრამ საკუ-

თარ თავში დიდ დაჯერებასაც მოწმობს, რაღაც ვერც ერთმა დიდმა პოეტია ვაჟამდე ვერ გაბედა თავისი კუთხის სასაუბრო ენის, დიალექტის სამწერლო ენად მოხმარება.

დიდხანს იყო მითქმა-მოთქმა პოეტის ენის უცნაურობის შესახებ. პირ-ველად საქვეყნოდ აკაკიმ გამოიტანა ეს საჭითხი.

„ენას გიშუნებ, ფშაველო,
მგოსანო ნაღალ მთისაო“.

ვაჟასთვის აუსსნელი დარჩენილი აკაკის ეს სიტყვები, რაღაც ლექს-ში ენის დაწუნების არც ერთი საბუთი არაა განვითარებული. მაგრამ როგორც „დაგვიანებულ პასუხში“ ამბობს, დიდი ხნის ფიქრის შემდევ თვით მისულა ვაჟა ზასკვნამდის:

„...უვარგისობის მიზეზი
ფშავლობა არის სწორედა“—ო.
ვაჟას უკვირს: „რატომ არ ჰელობს, არ ვიცი,
ამ: ჰანგა ბუნება ბარისა,
მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოვლისა,
იმათ ტებილის და შწარისა“—ო.

ვაჟამ ამ სტრუქტურული აზრი დიალექტის გარშემო.

მაგრამ მთავარი იყო „ენის დაწუნების“ უსაფუძვლობის დამამტკიცებელი დებულების კიდევ უფრო გამაგრება და ვაჟაც განაგრძობს:

„და ენა მთისა სიმტკიცით
მსგავსია კლდისა სალისა“...
რომ იგი: „მოძღვნილი არი მთის მიერ,
ჩამოტანილი ქარისა“.

და რომ ვაჟა აღარ იქნებოდა ვაჟა ამ ენის გარეშე, რაღაც:
„მარგალიტების მფლობელი
ენასა ხმარობს ლონედა“...

ამ ექვს სტრიქონში ცხადდება ვაჟა-ფშაველას ენის თავისებურების აზრი: ვაჟა გმირობისა და ვაჟკაცობის განუმღორებელ პირს მღეროდა. ეს პიმნი ზტკიცე ნაჭედობისა უნდა ყოფილიყო და ეს მხოლოდ ისეთი მასალით იქნებოდა მიღწეული, რომელიც „სიმტკიცით მსგავსია კლდისა სალისა“. მთის მიერ მოძღვნილი ვაჟას ჰანგი „ქარს ჩამოჰქონდა“, ამ ქარს იავისი რიტმი ჰქონდა, ვაჟამ ეს რიტმიული მოქმედი მიზანი დაინახა და შეგნებულად არჩია გადმოეცა იგი ამ „დაწუნებული ენით“, თუნდა ზოგისთვის ვაუგებრადაც.

იმ შეუდარებელი ადგილობრივი კოლორიტის მოცემა, რომლითაც ასე ორიგინალური და მდიდარია ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, შეუძლებელი

და მიუღწეველი იქნებოდა მთის (ფშავ-ხევსურეთის) დიალექტის გამო-
უყენებლად.

ვაჟა-ფშაველამ თავისი პოეტური ორიგინალობის გზა სწორედ ამ ახა-
ლი ნაკადის შემოშვებაში, ხალხური პოეზიის ორიგინალური, წაუბაძავი
მხარეების თავისებურ კულტივაციაში დაინახა და არა ახალი მეტრების
ან ფორმების ძიებასა და აღმოჩენაში.

სწორედ ამ ახალი ნაკადის შემოშვებამ ერთბაშად ასწია და გაამდიდ-
რა ქართული ლიტერატურა, მანვე მისცა ორიგინალური სახე ვაჟას შე-
მოქმედებას.

ვაჟა-ფშაველა რომ ლექსიკურ დიალექტიზმებს სიტყვის რიტმულ გა-
შომხატველობის უპირატესობის მიხედვით ირჩევდა, ამას ვარიანტები ასა-
ბუთებენ. ვარიანტებში მდიდარი მასალაა იმის საჭიროსტრაციოდ, თუ
როგორ ცვლიდა პოეტი ლიტერატურულ, მართებულ ფორმის დიალექ-
ტით, ან პირიქით, სიტყვის ევფონურ გამომხატველობის მიხედვით.

მაგალითად: „სტუმარ-მასპინძლის“ ვარიანტში არის მართებული ლი-
ტერატურული ფორმა: „გ ა მ ო მ ი წ ი ღ ა“, საბოლოო რედაქციაში
გასწორებულია: გ ა მ ა მ ი წ ვ ა ღ ა. სხვაგან კიდევ: მართებული ფორმა:
„შ ე უ ხ ს ნ ე ს“ — გასწორებულია საბოლოო რედაქციაში: „შ ა უ ხ-
ს ნ ე ს“.

„ალუდა ქეთელაურის“ ვარიანტში გვხვდება: „ა მ ა ხ ა ნ ა გ - მ ო კ-
ლ უ ლ ლ ი ლ ლ ვ ე ლ ი“, საბოლოო რედაქციაში. ასეა გასწორებული
„ა მ ხ ა ნ ი გ ძ მ ო კ ლ უ ლ ლ ი ლ ვ ე ლ ი.“

ვაჟა რომ სიტყვის რიტმიულ გამომხატველობას უდიდეს ყურადღებას
აქცივდა, ეს მისი ვარიანტების ერთი თვალის გადავლებიდან ჩანს. როცა
ლიტერატურული ფორმას უკეთესი ევფონური შესაძლებლობა აღმოჩინ-
დებოდა, ვაჟა მას მიმართავდა ხელმე. შეგალითად, ერთგან დიალექტური
ფორმა: პირალმე საბოლოო რედაქციაში გასწორებულია მართებული
ფორმით — პირალმა.

იშვიათი არაა აგრეთვე შემთხვევები, როცა ვაჟა ერთდაიმავე ნაწარ-
მოებში ერთდაიმავე სიტყვას ლიტერატურული ფორმითაც ხმარობს და
დიალექტურითაც.

ვაჟა-ფშაველას ლექსიკა, როგორც ვთქვით, იმ წრის ლექსიკაა, რო-
მელშიაც იგი ტრიალებდა და რომლიდანაც თვითონ იყო გამოსული:
ლექსიკა პრიმიტიულ საწარმოო ურთიერთობებზე დაცუარებული მთიე-
ლისა, რომელსაც ჯერ კიდევ სრულიად არ განუცდია კაპიტალიზმის გარ-
დამქნელი გავლენა, რომლისთვისაც საუკუნეებით ნაანდერდევი. პირველ
ყოფილი იარაღები და საერთოდ მთელი საყოფაცხოვრებო გარემოცვა
არსებითად არ გამოცვლილა, ამ მთიელის ლექსიკა, რა თქმა უნდა, არ-
სებითად განსხვავდებოდა კაპიტალიზმის გზაზე შენდგარი, განვითარებუ-
ლი ბარის ლექსიკისგან.

ფშავხევსურების საყოფაცხოვრებო, ყოველდღიური ენა, რომელსაც
ისინი ერთგვარად მიმართავდნენ ხენა-თესვისა და თიბვის, თუ ნადირობის

და ბრძოლის დროს, მათი სასაუბრო ენა, ვაჟას პოეზიის ხორცი და სისწლი გახდა.

მთის და ბარის ლექსიკური განსხვავება თვითონ ვაჟამ აღნიშნა ლექსში „მთა და ბარი“.

...შენ არად მოგწონს ბარისა
დიდი სიმღიდრე ხილითა,
ოქროთ ნაქარგი გულშეკერდი,
ზედ მარგალიტი ის ლილითა.
არ ჩადმე გეჭაშნიკება
ვარ დის გაფურჩქვნა დილითა.

ვაჟა იშვიათად დაესესხებოდა ხოლმე სხვა სოციალური წრის ლექსიკას. ასეთი შემთხვევების უმეტესობაც ისევ საკუთარი ლექსიკური მარაგის, მთიელთა სიტყვიერი მასალის შედარებისა და მსგავსების ან დაპირდაპირების საფუძველზე ხდებოდა. ვარდი და მარგალიტი უფრო ხშირად პირიშისა და დილის ნამის ასოციაციით გამოჩნდება ხოლმე:

„მე ვარდი გამიგონია —
ტურფა ყვავილი ბარისა,
თვალ-გულის მახარობელი
თურმე პირიმზეს ჰეგვისა“...—

„ვარდი არყისა“.

საყურადღებოა ეს გარემოებაც, რომ თემატური მასალა ზოგჯერ განსაზღვრავდა ხოლმე ვაჟა-ფშაველას ლექსიკას. მაგალითად „ეთერიანის“ მაღალ-არისტოკრატული პერსონაჟი ვაჟა-ფშაველას აიძულებს ერთგვარი ხარკი გაიღოს ამ არისტოკრატულ ლექსიკის მიმართ.

ვაჟა-ფშაველა არსებითად გაემიჯნა სალონების ინტელიგენტურ-ლიტერატურულ ლექსიკას. მან პროზასა და პუბლიცისტურ წერილებშიც კი უარყო რათონული, მოდებისა და უცხოეთის გავლენით შემოსული სინტაქსი და ლექსიკა.

იგი თავისი ნაყოფიერი მუშაობის წარელ მანძილზე შეგნებულად გაურბოდა ყოველგვარ ბარბარიზმებსა და უცლგარიზმებს.

მის ლექსებში თითებზე ჩამოსათვლელად არ გეყოფა უცხო სიტყვების რაოდენობა. ვაჟა-ფშაველამ ბევრი ახალი სიტყვა მისცა თავისი კუთხის გმირული დიალექტიდან ლიტერატურულ ქართულს. მისი ქართული (თუმცა დიალექტი) მთლიანად თავისუფალია იმ ახალი გავლენებისაგან, რომელიც ასე ძლიერ ეტყობა მის თანამედროვე პოეტებს (კერძოდ რუსულის გავლენები, როგორც ლექსიკური, ისე უმთავრესად სინტაქსური).

ვაჟა-ფშაველასთან აღსანიშნავია ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის ცვლა. ეს „ცვლილება“ ბარის თვალსაზრისითაა, დორემ მთის დიალექტში იგი ვაჟასებური სემანტიკითაა მოცემული.

სიტყვა „რაკი“ ვაჟა-ფშაველასთან არა ერთხელ გვხვდება „განა“-ს
მნიშვნელობით:

ლუხუმი: მაშ თუ არ ჰქაზმაცს ლურჯასა,
ტანს არ ისხამსა აბჯარსა?

ლელა: რაკი არ უნდა ბეჭავსა,
რაკი არ ერჯის გულია,
ლოგინშია სწევს საბრალო,
მრავალივა სჭირს წყლულია”...

„ბახტრიონი“ გვ. 181.

მოყვანილ სტრიქონებში რაკი—განა-ს მნიშვნელობითაა გამოყენებუ-
ლი და იძლევა ასეთ აზრს: განა არ უნდა ბეჩავსა, განა არ ერჩის
გულია?

მსგავსი შემთხვევები არც ისე იშვიათია, საილუსტრაციოდ კიდევ ორ
მაგალითს დავიმოწმებთ:

„...მიღიან ფეხშიშველადა,
კალთა ჩაკეცეს მთებისა,
რაკი (განა) დაუშლის მგზავრობას
მოსახვევები გზებისა“...

„ბახტრიონი“ 196.

ან:.... სხვებს რაკი (განა) აკლდა შვენეჲა,
წელანაც დავიყებდია“.

ძალლიკა ხიმიკაური.

ბარის ქართულისაგან განსხვავებით შეცვლილი სემანტიკით ხმარობს
გაუა სიტყვას „უერთოდ“. ხალხურშიც იგი ასეთი შინაარსით იხმარება:

„...უ ე რ თ ო დ არ დაიხარჯნეს
ჩვენ. მონაღირის ისარნი“... („ხალხ. მოყმე და ვეფხი“).

ე. ი. უნაყოფოდ, უშედეგოდ არ დაიხარჯნენ მონაღირის ისრებიო...
ვ ა უ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა: ჯავრს არ შეგაჭმევთ მტრისას,

უ ე რ თ ო დ ალარ დავლახავთ.
ბილიკებს ჩვენის მთისასა.

„ბახტრ“ 187.

სიტყვა „განდომა“-ც ვაჟას შეცვლილი,—ჩხუბის მნიშვნელობით—აქვს
ხოლმე.

„...გურგენს და ლევანს გ ა ხ დ ო დ ა თ
პირობის დარღვევაზედა“ — ეთერი 132 გვ.

ან იქვე: „...გახსოვდეთ, როცა თქვენს ძესა

და ეთერს გ ა უ ხ დ ე ბ ო დ ე ს“...

ან: „...ვიღაცებსაც გ ა უ ხ დ ა ჭ,
ისმის კეტების რახუნი“.

„ცოლი ანუ ჩემი თავვადასავალი“ 188. გვ.

ან: „...ძვალებზე ძაღლებს გაუჟიდათ
ველარ აშველებს მსახური
„ურთი სიყვარულის ამბავი“ 345 გვ.

ქილევ: ყვავსა და ყორანს გაახდოდათ
აჩწივის საბუღაძეზედა“.

სიტყვა „უსტარი“ ვაჟას ნახმარი აქვს უსინათლოს, ბრმას შნიშვნელობით:

„...მაშ მე რალა ვქნა უსხივომ,
უსტარმა, უსინათლომა?“

ზოგიერთ მნიშვნელობას ვაჟა. ორი სიტყვით გამოხატავს ხოლმე პასულელურად.

„გაღმა-გამოღმა გრილები
ტყეს და მთებს უდგმენ ტაბლასა“

„გიგლია“.

სიტყვა „გრილი“ აქ ჩრდილის მნიშვნელობითა და ასეთივე მნიშვნელობით სამჯერ გვეკვდება ამ პოემაში.

სიტყვა „პლათ“-ის ნაცვლად ვაჟა ხშირად ხმარობს სიტყვას „ოთ“-ს, შავრამ მხოლოდ უარყოფით ფორმასთან.

„...ჯერ ვერ-ოთ გადავლიეს“

„გიგლია“.

ან: „ჯერ არ-ოთ არი ბერიო“

„გოგოთურ და აფშინა“.

ან ქილევ: „არ-ოთ გასწირავს ქვეყანას““.

„კოპალა“ 91 გვ. და სხვ..

საინტერესოა ვაჟაზე შაველასთან მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის აღვილი. იგი ფშაურ დღალექტში ყველა პირის კუთვნილების აღმნიშვნელად იხმარება და ვაჟაც ასე იყენებს მას:

1) „...თავადაც კარგად გავიგებ
თავის თავგადასავალსა“ — 333.

ან: არც გემი მქონდა, არც ნავი
თავის მკლავებით ვწვალობდი.

„სიმღერა“ 127 გვ.

იქვე: „არც ვის ვაუწყებ აღვილად

თავის თავგადასავალსა“.

ან: „თავის ძმა ვეღარ გიცანი“

„მთამ სრულიად სხვა უთქვა“ — 209.

ყველა მოყვანილ მაგალითებში სიტყვა — თავის — გამოყენებულია, როგორც პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი — „ჩემი“.

2) „თავის სამშობლოს ვარამი
ილაპარაკე მღერითა“ გვ. 156.

ან: „დაგვარჩვე, სისხლი თავისი
წუმპეში დაალევინე“ — „ეთერი“, გვ. 120.

ან: „გაქვს თუ არა გაქვს
შენ თავის „შინა“?

ან კიდევ: იუბნე ცხოველმყოფელად,
ძმა აშას მეტყვის თავისა:
„პასუხი ზრყისა“, გვ. 177.

ამ მაგალითებში მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი „თა-
ვის“ ნახმარია მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის „შენი“-ს
მნიშვნელობით.

„ჩვენი“-ს მნიშვნელობით:

აქა გვყავს თავის პატრონი,
მეც არ ბომივა ძილია...
„...თუმც კი არ არი ურიგო
თუ კი უნარი გვექნება,
სიკვდილის შემდეგ თავისი (ჩვენი)
კარგი გავწიროთ ხსენება.
„სიმღერა“, 106.

ან:

„გამომეთხოვეთ ნათესავთ,
ცოლშვილს და თავის (ჩვენს) ყანასა“.
„მხედართა ძველი სიმღერა“ — 136.

და იქვე: „არ მივცემთ უცხო ტომისას
თავის (ჩვენი) შამულის ღალასა“.

„თქვენი“-ს მნიშვნელობით, იგივე სიტყვა ლექსში „ხევსური, ბერდია“
სამჯერ გვხვდება გვ. 140 — 141..

ყურადღების ღირსია ვაჟას ლექსიკაში „თი“ ნაწილაკის გამოყენება.
მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვისათვის:

...შიგვე დედის რძე ურევავ

ქაჯ თი მაცილ თი კვალადა“ — „ეთერი“ 127.

რაც სწორი ფორმით იქნებოდა: ქაჯთა, მაცილთა კვალადა“.

ან: „...ვთქვათ სიბრალული კარგია

ხე-ქვა—ბალახთი, ცხოველთი“. „გვ.-მჭამელი“. 33.

ან კიდევ: კაცის კვლა ყველასა სჭარბობს

თუნდ მტერი იყოს ყოველთი“

ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითის ეს ფორმა ხშირი არაა და იმი-
ტომ ზოგადად არ ჩაითვლება.

ვაკა-ფშაველა ძლიერ ხშირად (ისე, ონგორც ხალხური) ნათესაობითი ბრუნვის გამოსახატავად ორ-სა-ს ხმარობს:

- 1) ...ყმასა გუდანის ჯვრისასა
 - 2) ნამტვრევს მაშლიდა ქლდისასა
 - 3) წვერებსა სტუსავს თმისასა
 - 4) ვაჟკაცობისას ამბობენ
ერთურთის დანღლობისასა
 - 5) ცნობისას და ძმობისასა
 - 6) კეჩხესა არა სჭირს ძვლისასა
 - 7) თოფისასა და ხმლისასა
 - 8) მამა პაპათა ცოდისასა
და სხვ.

შსგავსი მაგალითების დამოწმება პრაკტიკულად შეიძლებოდა, მაგრამ ეს მომენტი იმდენად თვალსაჩინოა ვაჟასთან, რომ იღუსტრაციისთვის მისი ყველა პოემების დასახელება შეიძლება.

ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ვაუა-ფშაველას ლექსიკის ცველა ნიუანსზე,
ეს — ფშავხევსურული დიალექტის მომხილვის საჭიროებას და-
აყენებდა, აღვნიშნავთ კიდევ ერთ დამახასიათებელ მომენტს: ვაუა (აქაც
დიალექტის მიხედვით) კნინებით ფორმის ან მოფერებითის გამოხატვას
ა სუფიქსით იძლევა:

1. „...ვაი ეგეთას სამართალს“.
 2. ცუდას ჩათ უნდა მტერობა
 3. მგლის ჯოგი დაძრჩის მშიერა
 4. იტყვიან არაფერასა
 5. გამიშვიდეს ბეჭვის ხიდი... და მრავალი სხვა. ასეთ

ფორმას ხშირად ვაუა იყენებს ჩვეულებრივი სახელობითი ბრუნვისა-
თვისაც.

სინტერვი

ფშავ-ხევსურეთის ხალხურ ლექსიგში ერთი შემთხვევა იქცევს ყურადღებას სხვათაშორის—სახელდობრზმნის სხვადასხვა დროში დაყენება მაშინ, როცა ამბავი ერთ გარკვეულ დროში ხდება. ეს ერთგვარი სინტაქსური შეუსაბამობა („შეუსაბამობა“ — ლიტერატურული ქართული კანონთვალსაზრისით) იმდენად გავრცელებულია ხალხურში, რომ იგი კანონის მიერჩია უნდა ჩაითვალოს და არ შეიძლება ნათქვამის გაჭირვებას მიუწეროს.

၁၀ နိမ္မုဒ် နှင့် နာဏ်ဖျက်ရေး

„...ତୁ ଲ୍ଲେବାନ୍ କ୍ଷେତ୍ର ମ ଓ ଦିଲ୍ଲି ନ ଦୀର୍ଘ କାହିଁ ନାହିଁ ।

პირველ სტრიქონში ლაპარაკია მომავალში შესაძლებელ მოქმედება:
ზო — თუ ლევან აქეთ მობრუნდა!..

და უცებ: საქმე სჭირს დაღისტნისაო” ზმნის ახალი ფორმა („სჭირს“) ისეთ შთაბეჭდილებას, აზრს იძლევა, თითქო ლევანი უკვე მობრუნდა და წალისტნის საქმე ცუდადა.

ვაჟა-ფშაველა ხშირად მიმართავს ამ სინტაქსურ დიალექტიზმს:

„არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს აღვომა,
შაგრამ ველარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწარე მიითრევს,
გულის პირს სისხლი სცხებოდა...
„არწივა“.

ამ ლექსის პირველ ოთხ სტრიქონში პოეტი ლაპარაკობს უკვე მომხდარ ამბავზე, რომელიც წინათ ხდებოდა და ამიტომ ყველა ზმნა ნამყოფსრული ფორმითაა წარმოდგენილი: ეომებოდა, ეწადა, დგებოდა.

მესაუთე სტრიქონში: ცალ მხარს მიწაზე მიითრევსო, ამბობს პოეტი და შდგომარეობა იცვლება: არწივი ახლა მიითრევს ცალს მხარს მიწაზე — ფორმა „მიითრევს“ აწყობ დროს ეკუთვნის და მიმდინარე მოქმედებას, მდგომარეობას უჩვენებს.

მე-6 სტრიქონი ისევ ძველ ფორმას უბრუნდება და ლექსის ბოლომდე ასე მიღის.

მსგავსი მაგალითი რამდენიც გსურთ, იმდენი მოინახება და იგი სრულიად არაა შემთხვევითი:

„ქუდს იხდის; სიტცვა ვეღარ თქვა...“

„გველის-მჭამელი“

„...ცა-ხმელთა დაქცევას გვანდა,
ისეთი ისმის გრიალი“... — იქვე.

„...მინდა ვიძახო — მიშველეთ;

ვეღარ ვაგვაბდი ენასა“ — იქვე და სხვა.

სინტაქსურ დიალექტიზმს უნდა განეკუთვნოს აგრეთვე რიცხვის აღრევა, არამართებული შეწყობა.

ხევსურული ხშირად, მაშინაც კი, როცა ცოცხალ საგნებზეა ლაპარაკი, ან აღამიანებზე, მრავლობითს იძლევა მხოლოდითის ფორმით.

„...აჩქარდა ხევსურთ შვილები,
ერთმანეთს არ უცდისაო“.

ა. შანიძე. „ხალხ. პოეზია“, გვ. 23:

ან იქვე: ლექთ ქუროსები შაშინდა,
ჩვენკენ რაით იქს პირსაო“

როგორც ვხედავთ ზმნის რიცხვი აქუმართებულოდაა (ლიტერატურული ქართულის თვალსაზრისით) შეწყობილი მოქმედის რიცხვთან (აჩქარდა-შვილები, უფროსები-შაშინდა) ვაჟა-ფშაველაც ხალხურის მსგავსად რიცხვის შეთანხმებაში არავითარ კანონს არ ემორჩილება.

„თუ აგვიტირდა ბალლები,
ვათირებთ პანტის ჩირითა“. გვ. 25.

„...ცხერები დაიძრა საბაროდ,
ფარა თან მისდევს ფარასა“

83. 202.

„...წყნარად ჩამოდის ჯიხვები,
ვიწრო ბილიკებ-გზებითა“.

მაგრამ ვაუა ყოველთვის არ იცავს მსგავს შეწყობას.

„...იცრემლებიან ღრუბლები,
აღარ სჩანს მთები, ხევები“

(„გვ. მჭამელი“).

ხშირად (მეტწილად) ვაუა-ფშაველა ზმნას მრავლობითის ფორმით
წარმოადგენს, როცა უსულო საგნები მრავლობითშია.

„ახველდებიან ხევები“...

„ხევზე მიდიან ნისლები“...

„მთებშა დახუჭეს თვალები“ და სხვ.

საერთოდ ვაუა-ფშაველა რიცხვის არჩევის დროს კანონს იშვიათად
ემორჩილება და ისეთ არჩევანს მიმართავს, რომელიც სტრიქონისათვის
უფრო მოსახერხებელი და შესაფერია.

შემასმენლისა და ქვემდებარის არაკანონიერ განაწილებას, ზეღარ-
თავი სახელისა და მის მიერ განსაზღვრული სიტყვის უმართებულო და-
შორებას, გადასმას და საერთოდ წინადადებაში ყველა შესაძლებელ მოუ-
ლოდნელ გადაადგილებას, რასაც ინვერსია ეწოდება, ხშირად ეხვდებით
ვაუა-ფშაველას ლექსებში.

ინვერსიას ხშირად მიმართავდა ყველა დიდი პოეტი (საკმაოა რუსთ-
ველისა და პუშკინის მაგალითები) და ქს არც ენის უცოდინარობის შე-
დეგი იყო: ხოლო არც რითმის ან სტრიქონის გაუმართავობით გამოწ-
ვეული. ინვერსია წინადადების ჩვეულებრივ (შაბლონურ) წყობის უკუგ-
დება, იგი წინადაზებას ახალ ემოციურ იერსა და რიტმულ თავისებუ-
რებას აძლევს. ვაუა-ფშაველა წომ გაშაბლონებული სახეების ახალი
ემოციური ეშიოთ გაცოცხლების, განახლების შეუდარებელი ოსტატია.
მარტო მოძველებული, გაცემილი მეტაფორის „გულის დუღილის“ —
ასეთი გაცოცხლება, რაზ ღირს:

„გულში აქვს ყველას ჩამდგარი-

სალუდე ქვაბის დუღილი“.

„ძალლიკა“, გვ. 122.

გულში ჩამდგარი სალუდე ქვაბის დუღილი იგივე გულის ღულილია,
ყოველდღიურ საუბარში, რომ იხმარება, მაგრამ იმდენად ახალი ეშიოთა-
და ემოციურობითაა ნათქვამი; რომ სრულიად ახალი, ორიგინალური
მეტაფორის შთაბეჭდილებას იძლევა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში — ლექსებსა და პოემებში ინვერსია სისტემატურ, კანონზომიერ ხასიათს ატარებს და სრულიად არა შემთხვევის ან გაჭირვების შედეგი.

„ყავლგასულ თამასუქივით
შენ კი პირობა დახიე“...

ჩვეულებრივი სინტაქსით უნდა ყოფილიყო: შენ კი ყავლგასულ თამასუქივით დახიე პირობა“-ო, მაგრამ ლექსი იმიტომაა ლექსი, რომ ჩვეულებრივი პროზაული ფრაზა ზოგჯერ არაჩვეულებრივადაც ეწყობა (არაჩვეულებრივი — რა თქმა უნდა უცნაურობას, ან დამახინჯებას არ, ნიშნავს ამ შემთხვევაში).

აა კიდევ ონვერსიის რამდენიმე ნიმუში:

„...ვეხვეწო, თავი ვიდაბლო,
ამის რას მიზანს ნაცვლადა“...

„გოგოთ. და აფშ.“ გვ. 48.

ჩვეულებრივი სინტაქსური ფრაზა ასე იქნებოდა: ამის ნაცვლად რას მიზანს, რომ ვეხვეწო და თავი ვიდაბლო.

„რად არ მე მოვკვდი შენს უწინ“ — „გიგლია“ გვ. 25.

„რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესა?!“ — „სტ.-მასპ.“

„უსმენდა ჯარი სიტყვასა,
მხნეობით განამტკიცარსა,
იჭდევდა გულში ვით მოსეს —
იზრაილ — რჯულის ფიცარსა“...

„ერეცლე, ბრძ. წინ.“

„ქისტებს წაუსხამთ ცხენები,
ალუდაისიც ფთიანი“ ... — „ალუდა ქეთ“.

„ან როდის საუკუნოდა
მე ხალხმა გამაბელადა“ ... — „გვ. მჭ.“.

„...ჩემი სიცოცხლე, სიჩრუნვის,
რა ვქნა, ვერ შესძლებს ყმობასა — „სიმღერა“.

„...შენ მე გამათბობ ვეღარა,
ყინული მაძევს მყინავი“ ...

„სიმღერა“ და მრავალი სხვა...

აქ უნდა ავლნიშნოთ კიდევ ერთი სინტაქსური თავისებურების შემთხვევა, რასაც გადატანა ეწოდება და რასაც ზოგჯერ მიშართავს ვაჟა-ფშაველა.

ჩვეულებრივ პოეტურ სინტაქსში წინადადების განვითარება მიჰყვება სტრიქონების წყობას, წინადაღება მთავრდება სტრიქონის ბოლოში, მაგრამ არის შემთხვევა, როცა წინადადება სტრიქონის შიგნით თავდება და იქვე ახალი წინადადება იწყება... ასეთ შემთხვევაში სტრიქონული პაუზა

სუსტდება, ხოლო სტრიქონის შიგნით აზრობრივი პაუზა (წინადადების დასრულებით გამოწვეული) ძლიერდება — ესაა გადატანა (ფრანგულად enjambement), მას პოეტები ხშირად შეენებულად მისართავენ, როგორც პოეტურ ხერხს.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: კლასიკურ პოეზიაში enjambement — მიუღებელი, დაუშვებელი იყო, ხოლო რომანტიკოსები, პირიქით, უხვად სარგებლობდნენ მით (ჰიუგოს მაგალითი).

ხალხური პოეზია გადატანას გაურბის, რადგან ზეპირსიტყვიერებს უფრო მეტი სინტაქსური თავისებურება უყვარს. ვაჟა-ფშაველა, როგორც ინდივიდი შემომქმედი, სარგებლობს გადატანით, მაგრამ, რამდენადაც მისი პოეტიკა ხალხურს ემყარება, იგიც სისტემად, ჩამოყალიბებულ პოეტურ ხერხად ვერ ღებულობს მას (გადატანას) და მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ შემთხვევას იძლევა.

„...ვერ უძლებს ბუნების ბრაზსა
პირიდან გადმოდენილსა —
ქალი კომწია — მაინც სთქვა
შანულებებლად თავისა:
ბრიყვა ბუნებას არ ძალუდს
ცნობა კარგის და ავისა“.

„მოტყუებული“ გვ. 171.

როგორც ვხედავთ, პირველ ორ სტრიქონში დაწყებული წინადადება მესამე სტრიქონში გადმოდის და ამ სტრიქონის შუაში თავდება (აქვე იწყება ახალი წინადადება), რის გამოც აზრობრივი წერტილი ძლიერდება, ხანგრძლივ პაუზას ქმნის, ხოლო სტრიქონული პაუზა სუსტდება და შეორე რიგში დგება. ეს მომენტი ლექს ახალ ინტონაციურ განსხვავებას, ნიუანსს აძლევს და რიტმიულადც ამდიდრებს მას.

აი კიდევ გადატანის რამდენიმე ნიმუში:

„...ნეტავ რით გადავიხადო
შენი ამაგი ღიღია,
იძახის დედა — ვაჟკაცმა
ერთი სიტყვა სთქვა მშვიდია“...

„მთას ვეფხვი ვნახე მტირალი,
ლეკვი წინ ედვა ნაცარა,
მკვდარი... ღმუოდა მწარედა,
თვალთ ცრემლი გაებაწარა“.

„კითხვა-პასუხი“:

„...მცივაო, ცეცხლზე გამათბე,
მესმის კარების რაკუნი,
მეზაფრის — ზაფხულის ლოდინით
გხიბლავთ ოცნება მაცლური“...

„სიმღერა“, გვ. 177.

პარალელიზმები

ვაუა-ფშაველას შემოქმედება უმდიდრესია პარალელიზმებით. მის ლექტურში პარალელიზმის ყველა სახეობა გვხვდება და მეტად უხვადაც.

თემატიური პარალელიზმები ისეთი ოსტატობითა აქვს შეცემული, რომ ამ მხრივ ბადალი ცოტა მოეძებნება. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ლექსში (სიმღერა მთიულური) მიაღწია ვაუამ თემატიური პარალელიზმებით (სულ 12 სტრიქონიან ლექსში) ღრმა ლირიკული განწყობილებისა და მღელვარე ემოციების შეუდარებელ გადმოცემას.

„გაზაფხულს ია ამოდის;
სთველში ირემი ჰყვირისო, —
ეს ჩემი გული ტიალი
ისევ და ისევ სტირისო.

ღამით მინახავს მთის პირად
ბუ გულსაკლავად ჰკიოდეს;
ნეტავ თუ კიდევ სხვასაცა
ჩემებრივ გული სტკიოდეს?

მითამ სუყველას ბოლო აქვს,
ზღვანიც კი დაშრებიანო;
მაშ ჩემის გულის დამჭერნი
რატომ არ გასწყდებიანო?!”

ამ ლექსში ორი თემის ვირტუოზული დაახლოვება ხდება კომპოზიციისა და განწყობილების თვალსაზრისით.

ლექსი სამი სტროფისაგან შესდგება (ამ მხრივ შეიძლება დამახასიათებლად არ ჩაითვალოს) და ინტერვალიანი ჯვარედინი რითმები აქვს. თვითეული სტროფი ორნაწილად იყოფა — ორ-ორ სტრიქონად, ისეთის ხელოვნებით, რომ რავითარი განზრაბულობისა და ძალდატანების ტენდენცია არ ეტყობა. პირველი სტროფის პირველ ნახევარში პოეტი გარეშე სამყაროზე, ბუნების მოვლენებზე ლაპარაკობს. მეორე და მესამე სტროფების პირველ ნახევარშიც იგივე მოტივი (ბუნება, გარესამყარო) ვითარდება.

სტროფების მეორე ნახევრები პირველების პარალელურად, ანვითარებენ მეორე მოტივს — პოეტის შინაგანწყობილების მოტივს (მოტივი „მე“).

ამგვარი პარალელიზმის საშუალებით ორი თემის (გარემო და პოეტი) ისეთ სათუთი და ორგანული დაახლოება ხდება, რომლის მსგავსი ცოტა მოექებნება ქართულ პოეზიას.

აქვე უნდა აღინიშნოს, ის კონტრასტული პარალელიზმის ხაზგასმულობა, რომელსაც ეს თემატიური პარალელიზმები ატარებენ (გარემოს და პოეტის დაპირისპირება) და ბოლოს ის ფიგურალური შემოძახილი, რო-

მელიც ვაჟას პოეტიკის ერთი დამახსიათებელ ნიშანთაგანია და რომელ-
ზეც ქვემოთ შევჩერდებით:

„...მაშ ჩემი გულის დამჭრელნი,
რატომ არ გასწყდებიანო?!“..

თემატიურ პარალელიზმთანაა დაკავშირებული ე. წ. ოქსიმონო-
ნი, რასაც ძალიან ხშირად მიმართავს ვაჟა:

„...უხმლო ხმალს იქნევ, უხანჯროდ
გულის გამზღვებარ მჭრელადა“

ან: „ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ერთფერად მტვირთველი არის.
საჭმის თეთრის და შავისა,
საცა პირიმზეს ახარებს,

იქვე მთხოვენ ზეავისა“ („ლამე მთეში“).

ან კიდევ: „უგზოს გზასა იქმ გზიანსა“ („ლურჯა“).

„კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ,

მე გულს მაწევხარ ნისლადა“

„...საფლავშიც შენზე ვიფიქრებ,

შენთვის ვიცოცხლებ მკვდარია“... და სხვა.

ოქსიმონონების სიუხვე ვაჟას ლექსს დიდ ემოციურ მახვილთან ერ-
თად ხმიერი ორკესტრულობითაც ამდიდრებს.

კონტრასტებითა და ანტითეზებით სავსეა ვაჟას ლექსები:

„...რატ არ შოგწყინდა სინათლე,
სიბნელის დამამხობელი“

ან: ეგება წალმა ვიფიქრო
სოფლის უკუმა ტრიალი... („ქეითი“).
ადგილს უმოვაროს, უმზეოს
ჩვენ არ ვეძახით მზიანსა“... („ლურჯა“).

მაგრამ, არა მარტო ცალკე სტრიქონები აქვს ვაჟას კონტრასტების
პრინციპით, არამედ მთელი ლექსებიც:

ლექსი „ერთი და მეორე“ (გვ. 188) მთლიანად კონტრასტების პრინ-
ციპითაა დაწერილი. ეს დიდი ლექსი 4 დამოუკიდებელი ცალკე ლექსისა-
გან შესდგება, რომელთაც ერთი პრინციპი იყრითიანებთ ერთ სათაურ-
ჭვეშ: პრინციპი ავისა და კარგის, სასიხარულოს და სამწუხაროს ურთი-
ერთ დაპირისპირებისა.

ერთი „სიმღერა“-თაგანიც (გვ. 43) მთლიანად კონტრასტების პრინ-
ციპითაა დაწერილი:

„...წელან, რო ჩალად არ გიჩნდა,
დაგიფასდება ძვირადა;

რაც უნდა უ ქ ლ უ რ ი იყო,
თავს სცნობ უსწორო გ მ ი რ ა დ ა...
არავის არ დაედრები
ტყლაპად და ქალმნის ძირადა,
მოზაფებული ნ ა ღ ვ ე ლ ი
მოგეჩვენება ლ ხ ი ნ ა დ ა... და სხვა.

ვაჟა-ფშაველასთვის ჩვეულებრივია სინტაქსური და დია-
ლექტური პარალელიზმები:

„...ხევი მთას მონებს, მთა — ხევსა,
ტყალნი — ტყეს, ტყენი მდინარეთ,
ყვავილნი მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცენარეთ“.

„თავის ლოგინად — სამარი,
საკაცე — თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი — ნაბდად საფარი“... გვ. 179.

ან: „...პირველ — ობოლი კვირია,
სახე აქვს ნათელიანი,
მეორე — ლელა ბაჩლელი
ქალი ხელფარტენიანი,
მესამე — ბერი ლუხუმი
კურთხეულ გამდელიანი,
მეოთხე — ხოშარეული,
არწივა მხარკვერიანი,
მეხუთე — გივი სუმელჯი
ჩოგვყავის ნაჭრევიანი“...

მოყვანილ ნიმუშებში სინტაქსურ პარალელიზმებთან გვაქვს საქმე-
ტირე მსგავს სინტაქსურ სტრიქონებს ქმნის და ამავე დროს საგულის-
ხმებელი ზმნის მოვალეობასაც ასრულებს. მოტანილი ნიმუშები ვაჟა-ფშა-
ველას ერთ პოეტურ ხერხსაც ამჟღავნებენ—სახელდობრ—ჩამოთვლას.

ჩამოთვლა მისთვის იმდენად გავრცელებული პოეტური ხერხია,
რომ თითქმის მის ყველა პოემაში გვხვდება.

„...როშკით მოიდენ ხევსურნი,
სუმელჯაურნი ცხრანია,
ამლითა — ბათავის ძენი,
ჭინჭარაულნი ძმანია;
გუდანელთ ჩამსაძლოლია
ხოშარეული ხარია,
ხევსურთ, რო ზვავმა მთისაშა,
წინ წაიმძლვარეს ქარია,

ჭერმეშელთ, ჭიელთ ბიჭებსა
ლულელებიცა სტანია.
ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმაშ
შააზრიალა მთანია“...

„ბახტრ.“, გვ. 177.

ან: „...ხოზაურ გოგოლაური
შავარდენივით ჩქარია,
იანვარ ელისბარიძე
გორის მდრეკელი არია,
სუმელჯი სუმელჯიშვილი
ამომავალი მთვარია“...

„გალაშქრება ლაშარის ჯვრის დროშებით“
ან კიდევ: „... ლაშარის გორჩე შამოდგა
ათასი ქისტის ცხვარია,
ასი კურატი რქათეთრი,
ორასი ნისლი ხარია...

ორმოც მარგილზე დააგეს,
ორმოცის ქისტის თავია,
ორასი ქისტის მარჯვენა
ფარხმალი ნადავლარია“... (იქვე.)

მსგავსი ნიმუშების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, რატგან ეს ხერხი (ჩამოთვლა) ვაჟა-ფშაველასთვის მეტად დამახასიათებელია.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ყველაზე მეტად ნიშნეული ლექსიკური პარალელიზმებია. მისთვის ერთნაირად დამახასიათებელია ლექსიკური პარალელიზმის სამივე სახე: ანაფორა, ეპიფორა და ეპანასტროფი (გან-საკუთრებით პირველი).

რკალუ რი პარალელიზმი. „ჯიხვმა სთქვა სალის კლდისა-მა“-ო, იწყებს ვაჟა ლექსს „ჯიხვის ვეღრება“-ს. ამ პირველი სტრიქონის შემდეგ ლექსი ვითარდება ოცდა ორ სტრიქონში და მეოცდაორე სტრი-ქონზე კვლავ მეორდება:

„...ჯიხვმა სთქვა სალის კლდისამა“.

ამ შემთხვევაში საქმე რკალურ პარალელიზმთანა გვაქვს.

რკალური პარალელიზმის უფრო ფართო ნიმუშს „ბებერი ლომი“ შარმოადგენს. ამ ლექსის დასაწყისის 4 სტრიქონი:

„...ღაბერდა ლომი, ღაბერდა,
კლანჭებსა ხმარობს ვეღარა,
ღაედვა შეუდრექს ძალას
ეამთ ვითარების ბეგარა“...

სამჯერ მეორდება ლექსში: ერთხელ 14 სტრიქონის შემდეგ და მეო-რედ ლექსის ბოლოში, უკანასკნელი განმეორება ლექსის შემკვრელადაც

(КОНЦОВКА) ჩაითვლება. რკალური პარალელიზმი გვხვდება აგრეთვე პოემებში. მაგ., „გოგოთურ და აფშინა“-ს დასაწყისის რკალურ გამოძახილს ვპოულობთ პოემის ბოლოში:

„ამბობენ ქვითინი მოდის
ლამ-ლამ ბლოს თავით კაცია“.

მსგავსი მაგალითები მრავლად გვხვდება ვაჟას. შემოქმედებაში.

ლექსიკური პარალელიზმის შეორე სახეც — ეპანასტროფი ასა იშვიათია ვაჟასთვის (ეპანასტროფი — წინა სტრიქონის ბოლო სიტყვით მოძღვნო სტრიქონის დაწყება):

„...ქვეყნისგან დავიწყებულსა,
შენც დამივიწყებ მალეო;
მალე იშოვი საქმროსა,
უკან გაჰყები ხვალვეო“... „სიმღერა“, გვ. 5.

ან:

„ზღვადა დგას ჩემი ყანები,
ყანები თათუხიანი“...

„გლეხის სიმღერა“.

ან:

„...ბევრს აძლობს ჩემი მარჯვენა,
მარჯვენა ბარაქიანი“. იქვე.

ან კიდევ:

„გულით გაშორებ ვარამსა,
ვარამსა ათასფრიანსა“. და სხ.

ერთი სტრიქონის ბოლო სიტყვის მეორის თავში განმეორება — ეპანასტროფი აჩქარებს ლექსის რიტმულ დენას და თავისებურად ამდიდრებს ლექსის მუსიკალურ მხარეს.

ლექსიკური პარალელიზმის ყველაზე ტიპიური სახე ვაჟას. შემოქმედებისათვის ანაფორული პარალელიზმია.

ან აფორული პარალელიზმი ხმიერი ორკესტრობის ერთი შონაწილეთაგანია ვაჟას ლექსში.

„...ხან ფანდურს შევაუღარუნებ,
ხან დავამღერებ თარზედა,
ხან ესტირი, ხან ვლოცულობ,
ხან ბრაზს, შხამს ვანთხევ შხამზედა“.
„მარტოობა“, გვ. 229.

ან აფორული პარალელიზმი — სტრიქონის პირველი სიტყვების რამდენიმეჯერ განმეორება, განსაკუთრებულად აძლიერებს შთაბეჭილებას. ეს ლექსი („მარტოობა“) ანაფორული პარალელიზმებით სანიტუმოდ ჩაითვლება:

„აღარ მესტუმრა არწივი;
აღარ დამყეფა თავზედა,
აღარც, რო კარგი მალაღებს,
აღარცა ვჯავრობ ივზედა“...

(იქვე.)

„...ვინ იცის ტკბილად ვის სტინავ,
ვინ იცის ვინა ტირისა,
ვის ლოყა ვის ლოყას უკვრის;
ვის სუნთქვა უყვარს პირისა“.

„სისხლის ძიება“.

1 აი კიდევ რამდენიმე ნიმუში ანაფორული პარალელიზმისა:

„...სანამ იცოცხლე გოგოთურ,
სანამ ცასა სდის ნამია,
სანაშ მზე ათბობს ქვეყანას,
დილა-სალამოს უაშია,
სანამ ტყეს ესმის ფოთოლი,
მიწა ამცენებს ყვავილსა,
სანაშ ჭინჭველა ქალაქით
ზურგით მოიტანს მარილსა“...

„გოგოთ. და აფშ.“

„ნუ გააგონებ ქვეყანას,
თავს ნუ აჩვენებ ფლიდადა,
ნუ გააგონებ ჩერქეზთა,
რომ მომატყუე ზავითა,
ნუ წარყვნი მოძმეთ ბუნებას
შხამ-საწამლავით ავითა“.

„სისხლის ძიება“.

„ვერ ვინ გაშინებს ძალითა,
ვერ ვინ დაგიძრა წამწამი“. (იქვე.)

„მუდაშ საფრთხეში ყოფნითა,
მუდამ ხმალამოღებული“. (იქვე.)

მარტოს დაუკლავ საკლავი,
და ხატიც უდიდებია,
მარტოს დაუკლავ საკლავი.
თვითონვე უტყავებია;
მარტოდ მარტოკა დიაცსა
ხატ-ღმერთი უხსენებია“.

„ბახტრიონი“

ანაფორული პარალელიზმებით ემოციურობის კულმინაცია: მიღწეული „ალუდა ქეთელაური“-ს დასასრულში:

მშვიდობით საჯიხვეებო,
გამხარებელო თვალისა,

მ შ ვ ი ღ ო ბ ი თ ჩემო სახლ-კარო,
გულში ამშლელო დარღისა,
მ შ ვ ი ღ ო ბ ი თ ჩვენო ბატონო,
ყმათა მომცემო ძალისა“...

ეს ის სტრიქონებია, რომელიც ყველას და ყოველთვის გაახსენდება, თუ ოდესმე წაუკითხავს. იგი რაღაც თავისებური დიდი ინტიმობითა და უშუალობით ამოხეთქილი, უკანასკნელი სასიყვარულო მიმართვაა განდევნილი, გაუტეხელი ვაუკაცისა, რომელსაც ასე ენანება საჯიხვეების სერის დატოვება. და დასასრულ იგი ძალაუნებურად გაგონებს ინგლისის დიდი პოეტის — ბაირონის შედევრებს ამ (გამოსალმების) თემაზე, მიუხედავად პოეტური ბუნებისა და კოლორიტის დიდი სხვაობისა.

ლექსიკური პარალელიზმის კიდევ ერთი მომენტი — სიტყვათა განმეორება სტრიქონებში — ვაუს ლექსის ერთი თვალსაჩინო ნიშანთაგანიდა:

„ქლდეზედაც კარგა მიჰთრინავ,
უგზოს გზასა ჰქმნი გზიანსა,
გულით მაშორვებ ვარამსა,
ვარამსა ათასფრიანსა,
არწივის ფრთხებს შეასხამ
ჩემს ფიქრსა მრავალ ფრთიანსა“.

„ლურჯა“

მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე ღამიახასიათებელ მაგალითს სიტყვათა განმეორებისას:

1. „...ტიალი წუთისოფელი
მიღის, მიღის და წიდესა,
ჰედავთ მოყლეა საზღვარი,
უსაზღვრო ზღვისა კიდისა“.
2. „...უნდომლად მამინდებიან
ბედკრულს ბედკრული მღერანი“...
3. „აბნელებს, უხილავად ქმნის
ქვეყანას ხილულიანსა“...
4. „ჩვარი ვარ მცირე ჩვარზედა“
5. „გზას ვამბობ, თორემ რა გზაა“...
6. „დაეფარების სანახავს..
წერა მწერლის წერითა“...
7. „ცეცხლი ცეცხლს დასწვავს, რა უშავს“
8. „მირბის, იქ მირბის, ტერელოს“...
9. „მტრისათვის მტრობა უზომო“.
10. „სხვა მკვდრებს რა უჭირო მკვდრობითა“...
11. „არაფერს გრძნობენ გრძნობითა“...
12. „მუდამ შენს რჩევას ვრჩეობდით“.

იმ ძლიერ-ხმიერ ორკესტრულობაში და ენერგიულ ვაჟკაცურ რიტმში, რომლითაც ვაჟა ხასიათდება, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდა ალიტერაციასაც — მსგავს და მონათესავე ბგერათა შერჩევას.

„ძლიერა წყრება ქიჩირი,
დემურის სისხლი სწყურია,
თავის წამწყმედის წაწყმედა
მისი წესი და რჯულია.
ფიქრს დაეწმინდა თვალები
წელან ბუნდი და რთულია“.

„ისხლის ძიება“, გვ. 325.

ამ ექვს სტრიქონში ბგერა წ განმეორებულია 9 ჯერ, ყ — 4 ჯერ,
რ — 3 ჯერ და ა. შ.
ანგ

„...გადმოეტანა ვაჟკაცი
მოლხენით აბჯრის უღერით
და დააბჯინა კისერში
ირემს ხანჯარი წვერითა“...

ამ ოთხ სტრიქონში ბგერა რ 6 ჯერ მეორდება, 6 — 4 ჯერ, ხოლო
ფ-ს და ჯ-ს (მონათესავე ბგერები) ურთიერთ გახმაურება მართლაც კარ-
გად გადმოსცემს ხანჯალამოლებულ ვაჟკაცის აბჯრის უღერას.

„დღემ დაიხურა პირბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები,
ალარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები,
ქარი ქვითინებს, ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები.
გული ვერ მოუფხანიათ,
ცრებლი სდით ალაზნიანი,
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულმკერდი კლდიანი“...
„ბახტრიონი“.

ამ ლექსში დარბილებული ბგერების თ-ს და ფ-ს რამდენიმეჯერ გან-
მეორება თავიდანვე ჰქმის წვიმის წინ დამშვიდებულ ბუნების საღამოს შეუდროებას, შემდეგ თანდათან შემოღის ქარისა და წვიმის რიტმის ეკ-
ცივალენტური ბგერები ქასა და ჯ-ს ზეღიზედ განმეორებით და ბოლოს ხევში დაქანებულ ჩანჩქერების ქუხილი მოისმის:

„ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულმკერდი კლდიანი“...

გამოცოცხლების და გამოღვიძების განწყობილებას სრულიად უბრა-
ლოდ და ძალაუტანებლად იძლევა ვაუ შესაფერი ბგერების რამდენიმე
უანგერებით:

„...ადგა, გაცოცხლდა მქედარია,
ძლივ საამური დამეტა
ცივი ციური ცვარია“.

ან კიდევ: ბგერწერის (звукоопись) საუკეთესო ნიმუში:

„...სოვლობით გულ-გაცოფებულმა
ირემშა დაიღრიალის,
ან მოსკდის ზოვი მთიდამა.
დაიძრის, დაიხრიალის,
ახავლდის შველი დამთხვარი,
კოდალამ დაიკრიალის,
ჟალას აძრახდის ხოხობი,
ზარივით დაიზრიალის,
ზუაპარს უამბობს ნიავი,
ფოთლებმა დაიშრიალის“!

„ეთერი“.

ვაუ-ფშაველა ხმიერი სახის (звукообраз) დიდი ოსტატია. ბგერწე-
რის დაკავშირება პოემების გმირების სახელებთან, ამ სახელების ძირითა-
ხდი ბგერების ღომინირება პოემის მთელ სიგრძეზე (რასაც რუსულ
სპეც. ტერმინოლოგიაში ვთქვით ეწოდება), დამახასიათებელია
პუშკინისა (იხ. ვრაჩესლავ ივანოვის სტატია „ბოშებზე“, ვიგორასკის წე-
რილი „ბახჩისარაის შადრევანზე“, რიბნიკოვას წერილი „ევგენი ანეგინ-
ზე“) და ლერმონტოვისათვის.

ასეთივე ხმიერ სახესთან გვაქვს საქმე „ალუდა ქეთელაურშიც“. ალუდა
ქეთელაურისა და მუცალის ბგერები სისტემატიურად დაუინებით მოისმის
მთელს პოემაში:

მაცნე (2) მოიდა (1) შატილსა:
ქისტებმა მოგვცეს (2) ზიანი,
დაგვიწიოკეს (1) მწყემსები,
ავნია, ავი-ზნიანნი.

ა ლუდა ქეთელაური
კაცია (2) დავლათიანი (1)
საფიხნოს თავსა დაჯდების (1),
სიტყვა მაუდის (1) გზიანი;
ბევრ ქისტს მააჭრა (1) მარჯვენა (1),
სცადა (1, 2) ფრანგული ფხიანი,

ცუდას (1, 2) რაღ (1) უნდა (1) მტკრობა (2),
კარგია მუდამ (1) მტრიანი (2)

(1-ლით აღნიშვნულია ის სიტყვები, რომელთა ბევ-
რითი შემადგენლობაც ენათესავება ალუდას ბგერებს, მეორეთი მუცა-
ლის მონათესავე ბგერებიანი სიტყვები).

ზოგჯერ აუდარი (1) დადგება (1).
ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია (1).
რა უყვათ, ბევრი უნახავ
ულვაშ-აშლილი მკვდარია! (1)
ბევრჯერ წასულა საჭალოდ
დახოცილო (1) სისხლის ღვარია:
შაულებია წითლაღა (1)
ავი არდოტის (1) წყალია.
ვისაც მტერობა მასწყურდეს (1)
გაალოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს (1) კერაში,
თვითანაც შიგვე მდგარია (1),
ღვინოდაც (1) იმას დალევდეს (1),
პურადაც (1) მოსახმარია.

თითქმის მთელი პოემა უნდა მოიყვანო, იმდენია ნათქვამის დამმოწ-
მებელი ადგილი „ალუდა ქეთელაურში“.

პოემა აშკარად, თავიდან ბოლომდე ანვითარებს ბგერითი სახეს (ვ्य-
კიინგა) და თვალსაჩინოდ აბატონებს გმირების, ალუდას და მუცა-
ლის სახელების ბგერითი შემადგენლობის გამოძახილს.

ვაჟა-ფშაველა რომ ლექსის ხმიერ ორკესტრულობასა და ბგერწერას
დიდ ყურადღებას აქცევდა, ეს აშკარა ხდება მისი ვარიანტების ერთი გა-
დახედვისთანავე.

ლექსში „მზეწვია“-ში ვაჟას დასაწყისი სტროფი ასე ჰქონია ვა-
რიანტები:

„ბუდეს იკეთებს მზეწვია,
ჰერძნობს გაზაფხულის პირია,
საღაც კი ჩალა იპოვა
ან თუ ბეწვი და ჩხირია“...

უკანასკნელი სტრიქონი არ მოსწონებია და სამოლოოდ ასე შეუცვლია:

ბუდეს იკეთებს მზეწვია,
ჰერძნობს, გაზაფხულის პირია,
საღაც კი ჩალა იპოვა,
ან თუ ბეწვი და წეირია“...

ოპერაციის შედევგად ლექსიდან ამოვარდნილა სიტყვა „ჩხირი“-ს გან-
მარტოებით მდგარი, ამ შეთხვევაში არასასიამოვნო ბჯერები, რომელთაც
მონათვალს ვე გამოხმაურება არ ჰქონდათ, ხოლო მისი აღგილი სიტყვა
„წეირია“-ს დაუჭერია, რომელიც სიტყვა „ბეჭვის“ გვერდით კეთილხმო-
ვან (აღმოჩენით) სტრიქონს ჰქმნის.

ან კიდევ მსგავსი მაგალითი: „სიმღერის“ ერთი აღგილი ასე იკით-
ხება:

კიდევაც ვნახავ, რომ წვიმდეს,
ვარდნი, იანი ჰყვაოდენ“...

ეს რედაქცია ავტორს სამართლიანად დაუწუნია, უთუოდ კეთილხმო-
ვანების თვალსაზრისით და ასეთი საბოლოო რედაქცია მოუცია:

„...კიდევაც ვნახავ უხვადა
ვარდნი იანი ჰყვაოდენ“...

უკანასკნელი რედაქცია (გასწორებული), გაცილებით სჯობს ვარიან-
ტულს, ბეჭედის ფასა და -ს-ს რამდენიმეჯერ განმეორებისა და შეხვედრ-
ის კეთილხმოვანების გამო.

ვაჟა-ფშაველას სმენითი გემოვნება უფრო კარგად ე. წ. შეხვედრებში
ჩანს. იმის მიხედვით, თუ როგორიც იყო შეხვედრის სმენითი ეფექტი, ვაჟა
ხშირად ასწორებდა ვარიანტებს. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმო-
ადგენს პოეტის დამოკიდებულება მიმართულების აღმნიშვნელ „კენ“ ნა-
წილაკისადმი.

„სტუმარ-მასპინძელში“ „კენ“ ნაწილაკი შვიდჯერ გვხვდება და ყო-
ველთვის უნაროდ „კ“-ს სახით.

1. ხანჯრის კე + ხელი მიუღის,
2. სასაფლაოსკე + მყეფარი,
3. საითკე + მიეჩქარები?
4. სასაფლაოსკე + იძახებს
5. ძროხა გარეკე + მთისაკე,
ჩამოდიოდენ ფრინვლები,
6. იზიდებოდენ შკვდრი საკე
7. ალაზაც მიიპარება
სასაფლაოს თავს შკვდრისაკე,
იქიდან აფთხობს ყორნებსა,
სუავთა მხარ-მოფარფაშეთა.

როგორც ვხედავთ, პირველ სამ შემთხვევაში ყველგან ხმოვნები ხვდე-
ბიან თანხმოვნებს:

1. ე + ხ
2. ე + გ
- და 3. ე + მ

პირველი შემთხვევა ვარიანტში ნარითაა წარმოდგენილი:
 „ხანჯრისკენ + ხელი მიუღის“, მაგრამ ვაჟას ნარიანი ჩედაქცია უარ-
 უყვია და ამით თავიდან აუცილებია ორი თანხმოვანის უხერხული შეე-
 ცედრა: ნ + ხ.

მე-4 შემთხვევაც ვარიანტში ნ-ს ატარებს:

„სასაფლაოსკენ + იძახებს“ — ს, ე. ი. თანხმოვან ნ-ს შეხვედრა ყო-
 ფილა ხმოვან ი-სთან. ვაჟას აქაც ამოუგდია ნარი და ორი ხმოვნის ე-ს
 და ი-ს შეხვედრა დაუტოვებია:

„სასაფლაოსკე + იძახებს“, რაიც, როგორც ქვეყით ვნახავთ, შემთხვე-
 ვითი არ უნდა იყოს.

დანარჩენ საშ შემთხვევაში:

1. მეორე დილას აღაზამ
 ძროხა გარეკა მთისა კ ე,
 ჩამოდიოდენ ფრინვლები,
2. იზიდებოდენ მკვდრისა კ ე,
3. აღაზაც მიიპარება
 სასაფლაოს თავს მკვდრისაკე,
 იქიდან აფთხობს, ყორნებსა,
 სვავთა მხარ-მოფარფაშეთა.

ასეთი სურათია: პირველში სტრიქონის ბოლო თავდება კე ნაწილაკით
 და ამიტომ ე ხვდება მეორე სტრიქონის დასაწყის ბერას ჩ-ს (მთისაკე+
 ჩამოდიოდენ), თუმცა სტრიქონის ბოლოს პაუზა და ე-სთან დასმული
 მძიმე ამ შეხვედრის შთაბეჭდილებას ანელებს.

მეორე შემთხვევაში ორი ხმოვნის ე-ს და ა-ს შეხვედრა უვაკვს:
 იზიდებოდენ მკვდრისა კ ე

ა ღ ა ზ ა ც მიიპარება

მესამე შემთხვევაშიც ორი ხმოვანი ხვდება. ერთმანეთს სტრიქონის
 ბოლოსა და დასაწყისში, თუმცა ეს შეხვედრა გაცილებით ყრუა სარით-
 მო პერიოდის დასრულებისა და წერტილის გამო.

ვნახოთ ახლა „გველის მჭამელის“ მსგავსი შეხვედრები.

1. უნდა იქითკე + კლიდესა,
2. ხმლისკე + ხელ მიუდიოდა.
3. მინდიასკე + ქნა პირია
4. ომისკე + დაბშეულები:
5. პირს სხვავნისაკე + ვიზაშლი.

„გველის მჭამელის“ ვარიანტებში ამათვან მარტო ერთია განსხვავე-
 ბულად ნარით წარმოდგენილი: „ხმლისკენ + ხელ მიუდიოდა“.

ამ ერთ შემთხვევასაც ვაჟა გასწორებია და ნარი ამოულია საბოლოო
 ჩედაქციიდან, რის შედეგებაც თავიდან აუცილებია არაკეთილხმოვანი

შეხვედრა თანხმოვნების: ნ + ხ და ხუთივე შემთხვევა ერთხაირად, ხმოვნისა და თანხმოვნის შეხვედრებით მოყუფა.

ამ პოემაში არის ერთადერთი შემთხვევა (მე-6-ე), სადაც ორი ხმოვნის შეხვედრა — გიატუსი გვაქვს:

მარცხნივ მჯდომარე დედაა,
მარჯვნისკე + ამბის მთხრობელი”...

„კე“ ნაწილაკის, ამ ორი პოემის მასალიდან, დასკვნა ასეთია: ვაჟა-ეწინააღმდეგება ორი თანხმოვნის შეხვედრას, ცვლის მას და ერიდება; უფრო მეტად ხმოვანსა და თანხმოვანს. ახვედრებს, ხოლო არ გაურბის. ორი ხმოვნის შეხვედრას — გიატუს.

ხმოვანთა შეხვედრების და განმეორებებისადმი ვაჟას, ტენდენცია აშკარად სჩანს:

1. „...არა გჭირს ა ა რჯულძალლო?...
2. „...არ მოგხვდა უ ა რჯულძალლო?...
3. „...რ ა ა დ სწყრებიან ხევსურნი?
4. გაგონილ ა ? იძახდა...
5. ნეტავ არ დასჭირდებ ა ა
ხევსურთა ჩვენი შველაო...
6. უსახსრო ბით ურჩობენ“...
7. მაშ არ სთქვ ა ა შანშება?
8. ყველაად კვმარვარ მტრისადა.
9. დაპლალ ო ო და წყეული...
10. რ ა ა დ მომიკალ ზვერია?
11. ხელში დამრჩ ა ა ნადირი...
12. კი ყოფილ ა ა აღვილი...

13. თუ არა, რ ა ა დ მინდარის.

მსგავსი სტრიქონების ამოწერა დაუსრულებლად შეიძლებოდა. ხშირია აგრეთვე ორი ხმოვნის შუა თანხმოვნის ამოვარდნა:

1. „...შატილს მინდიაც მოიდა“
22. „...საკარგყმო დამალე ი ნეთ“...
3. „...უკან ვერ დავახე ი ნებთ“...
4. „...მაცნე მო ი და შატილსა“... და სხ...

ასეთ და მსგავს შემთხვევებში მეტ წილად თანხმოვან ვ-ს დაკარგვას — თან გვაქვს საქმე, რაიც ორი ხმოვნის შეხვედრას — გიატუს იწვევს და თავისუფალ ამოსუნთქვას უდრის.

ხმოვანთა ასეთი გაორება ტერფთა ახალ კომპინაციებსაც ჰქმნის ხოლმე სტრიქონში.

საერთოდ ეს მომენტი — ხმოვანთა გაორებისა (თანხმოვნის ამოვარდნით) და შეხვედრების, იქნებ მთიელთა ხშული, ხორხის მოერი ბგერების.

ვამო, დაჭიმულ სახმო სიმების ერთგვარ მოშვების მოთხოვნილებით ახ-
სნებოდეს? (ყოველ შემთხვევაში, ახსნა ამ მომენტისა საფუძვლიანად
შეუძლებელია, ვიდრე ჯერ კიდევ არა ექსპერიმენტალურსად შესწავლი-
ლი ფშავებეესურული კილოების ფონეტიკა).

სიტყვის ბეგერითი დეფექტურობის (ნაკლებობის) მრავალგვარი შესა-
ლებლობაა ვაჟას შემოქმედებაში. იგი ხშირად აკლებს სიტყვას ერთს,
ორს, სამს და მეტს ბეგერისაც უმთავრესად სიტყვის ფუძეებში, მაგრაც
ხშირად თვით ძირსაც კი ჰქოვეცს ხოლმე სიტყვისას. მაგალითად სიტყვა:
საღმე, ან სადღაც — ვაჟასთან ხშირად გვხვდება შეკვეცილად: „სამ“.

1. ბოლოს სამ (საღმე, სადღაც) „კენესა გაისმა“.

„ნანგრევ. შორის“.

2. „თუ სამ (საღმე) რამ მოგწონებია“.

„მამიღის დანაბარები“.

3. „მე სამ გამამყევ, გიჩენო“

მტერი საულეტად ვეება“. „გოგოთურ და აფშ.“.

4. „ეგ მართალია, ძოღან სამ (სადღაც)“.

აქ ცოფიანი დარბოლა“. „ხის ბეჭი“.

5. „შორს სამ სალექოს ყელშია“. („გიგია“).

6. „ლომს არ აშინებს, ათასი

თხა რომ სამ ნახოს სალალი“. — „ირაკლი ბრძ. წინ“.

სიტყვა „გინდა“-ს მეორე პირის ფორმის ვაჟა ხმარობს მეტად თავი-
შებური შეკვეცით:

„...იარალ მამეც ფშაველო,
რად გი, არ იცი ხმარება“...
„გოგოთ. და აფშ.“.

აქ სიტყვის ძირი „ნდ“ სრულიად დაკარგულია და მარტო პირის ნი-
შანილაა დარჩენილი.

აი კიდევ რამდენიმე ნიმუში სიტყვების ბეგერითი დეფექტურობისა:

1. „...ეხლა შენ(ი) იყოს ოჯულძალლო“:
„ალ. ქეთ.“.

2. ღმერთმ(ა) გიდლეგრძელოს გვარიო“;
„იქვე.“.

3. მზემ არწია მთაზედა,

ნისლებ(მა) დაწირეს ხევები.

4. ადვილ(ად) გავიგო მართალი..

5. პურ(ი) შიირთვიო — ალუდას.

და-დედან ეხვეწებიან“.

6. მე ღ[ა] იმის ბრძოლის წამისა...

7. გული ღ[ა] გონება ძმანია...

8. გან(ა) ვერ მოვსჭრიდი თავადა?
9. ქულზე კაც(ხ) უნდა წავოდეს...
10. ძალლ(ი) იყოს თქვენის შეკვდრისადა?

ბგერათა მსგავსი ნაკლებობა დამახსიათებელია, როგორც ფშავ-ხევ-სურული ღიალექტისთვის, ისე ხალხური პოეზიისა და ვაჟასათვისაც.

ხმოვნის ამოგდებისა და დატოვების საქმეში ვაჟა მეტად თავისუფალია. ერთდაიმავე სიტყვას ვაჟა შეკვეულადაც ხმარობს და შეუკვეულადაც, სრულიად თანაბარ პირობებში. მაგ. სიტყვა ძვალი ვაჟასთან მრავლობითში გვხვდება როგორც „ძვლები“-ს, ისე „ძვალების“ სახით.

მოვიყვანთ ნიმუშებს ერთსადაიმავე ნაწარმოებში ერთი სიტყვის ორგვარად მოხმარებისას („ხის ბეჭიდან“):

„ძვალებს კი მცირე ნაფხვერსა“
იქვე აწყობდენ ერთადა“.

გვ. 271.

„ძვალები გოგოს დაუწყვეს,
იმ ცისყარივით მნათობსა“

იქვე, გვ. 272.

„მივიდენ ძვალების სათვლელად,
ქალთან ზიქუჩდენ ყველანი“. იქვე.

„და სხვა ძვალების ბეჭებში
ძვალად ჩასთვალეს ისაო,
ქალმა დასწერა ძვალები,
რაც ერგებოდა ვისაო“: იქვე

როგორც ვხედავთ ერთი სიტყვა ერთდაიმავე გვერდზე 5 ჯერაა ნახმარი და სრულიად თანაბარს პირობებში. სხვადასხვა ფორმით ა-ნის მეტ ნაკლებობით.

ფშავ-ხევსურულში ბგერა შ ძლიერ ხშირად გადადის ჩ-ში, ვაჟასაც ასეთი შემთხვევები იშვიათად როდი აქვს:

1. „მე კარჩი ველარ გამოვალ“...

ტ. 3. გვ. 54.

2. ნეხვჩი არა ვარ მოსული“...

ტ. 3. გვ. 48.

3. „ეხლა სჯობს სახჩი ვიმალო“...

ტ. 3. გვ. 52.

4. „სიკეთისათვის შუბლ ჩია“...

5. თუშჩი ვინ ვარგა მითხარით“. და სხ.

ვაუს სმენა იმდენად შეჩვეულია ჩის მსგავს მოხმარებას, რომ „ბე-ჩავი“-სა და „ბეღშავის“ ერთდაიგივეობას (დშ-ჩ) ვერ ამჩნევს და ამ სიტყვებს ერთიმეორესთან რითმავს:

„შენ გევედრები ბეჩავე,
იმ დღიდან ამ დღემდისინა
მუდამ ვყოფილვარ ბედშავი..
„მწყემსი ქალი“, გვ. 6.

არის კიდევ ბეგრათა შენაცვლების ძალიან ხშირი შემთხვევა, სახელ-დობრ ეს გადასვლა ი-ში. ეს ორი ბეგრა ფონეტურად ახლონი არიან. და ერთ ჯგუფს განეკუთვნებიან. ასეთი შენაცვლება მეტწილად რითშებში გვხვდება:

ყველასგან დავიწყებული
ბულულავ, შენცა მნახია (უნდა იყოს მნახეა),
ველად, ველურად გაზრდილი
მაჩვენე შენი სახია (უნდა იყოს სახია),
რათ ეტანები მაღალ მთებს;
არ გნახო, შენზედ ახია!
რად არ მოსდიხარ სოფლის პირს,
ყველამ ღაგიგას მახია. (მახეა!)

რითმაში. რომ ა-ს მუზობლად ე ი-თ ესმოდა ვაუს (ხალხურის მსგავ-სად), ამას მოყვანილ სტრიქონებს გარდა უფრო ნათლად ერთი პირდა-პირი შემთხვევაც ამტკიცებს. „სიმღერაში“ (გვ. 119) ვაუს ასეთი ადგი-ლი აქვს:

„ნუ, მოხვალ, მიწას ეფარე,
მისვლაში არა ყრიაო.
ნუ ნახავს მზესა, ინანებს,
განა სულ მუდამ მზეაო,
მიწავ, შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო“..

ამ მაგალითში სარითო ბეგრებს — იაო — ეხმაურება — გაო, ისე რომ რითმა მთლიანად თანაბრად მოიძმის.

ვაუა-ფშაველას ლექსის ერთი მეტად დამახასიათებელი ლიტერა ფი-გურების სიმრავლეა. ვაუა ოსტატია ფიგურებისა. და ქსა კიდევ ერთი ფაქტორთაგანი მისი ლექსის რიტმული მრავალფეროვნებისა. იგი ისე მო-ხერხებულად ურთავს ეპიურ ტექსტში ფიგურას; მიმართვას, შეკითხვას ან გაკვირვებას, რომ მოულოდნელად ქმნის ახალ ინტონაციას, განსხვა-ვებულ რიტმიულ თემას..

მიმართვა ვაჟასთვის ჩვეულებრივი პოეტური ხერხია, რომელიც მთელ მის შემოქმედებას ახასიათებს.

მისთვის ჩვეულებრივია ლექსთა ასეთი დასაწყისები:

„რა გითხრა, ბიჭო, ისეთი“.

„პასუხი არყისა“.

„დამისხი, დამალევინე“ . („ქეიფი“.)

„დაშეტყვე, ცაო, დამსეტყვე“.

„სიმღერა“, გვ. 118.

„თუნდა ამოდი მზეო და

თუნდ ნუ ამოხვალ შბრწყინავი“.

„სიმღ.“:

„ვიცანი, ლმერთო, სამყარო“

„გულო, არ გატყდე, გამაგრდო,

კლდეო, კლდედ იდექ, სალადა!

„სიმღ“. გვ. 128

„ჩქარა ამწვანდით, ველებო,

ჩქარა ამწვანდი ჭალაო“.

„კურდლლის სიმღერა“.

„აღგილო კურუმ-კურუმ“. („სიმღერა“.)

„საძირკვლად აზრი ჩააგდე“. (გვ. 148).

„შენი ჭირიმე, ჩონგურო,

„შენ გენაცვალე, ნაღარა“.

„საახალწლო სიმღერა“.

„სიდო, მოგენდე, ჩამიტყდი“

და დაუსრულებლად.

მიმართვითი ფორმით დაწერილია ვაჟას ლექსების დიდი ნაწილი. ვაჟა აგრეთვე დიდი ოსტატია ეპიურად განვითარებულ ტექსტის შიგნით ფიგურის შეტანისა:

„ასრულდა მისი წაღილი,

გულიდამ ამოწეული,

მოყურიადეს ეს უნდა,

ამად არს აქ მოწევეული,

წავიდა გახარებული,

შეატყობინა ყველასა.

მამლის საჯდომი თუ იცანს,

მეტი რა უნდა მელასა?! („სტ. მასპ.“.).

ამბის დონჯ თხრობაში პოეტმა ისე მოულონელად დასვა კითხვას რომ ამ ფიგურის ინტონაციურ-რიტმიული ეფექტი თვალსაჩინოა. ფიგურის ეფექტი განსაკუთრებით დიდია „გიგლიაში“:

„...როცა გიგლია კვდებოდა,

მთებ სატირელზედ სხდებოდა;

ერთი ბებერი არწივი
 ზეით ჭიუხში წყრებოდა,
 საყორნის თავი მაღალი
 ზედ შუა გულზე ტყვრებოდა,
 მაღლით ბომფრენი მთის წყარო
 სიბრალულისგან შრებოდა,
 ბეჩავი მისი ლურჯი
 გრგლას თავით ბნდებოდა,
 ტოტ დასკის, დაიჭიხვინის,
 თვალებში ცრემლი ჰქლებოდა,
 სამყარომ შავი ჩაცვა...
 მყვირალი რაღას შვრებოდა?!“

პოეტმა უაღრესად მძიმე სურათი შექმნა ამ ჩამოთვლებით და მრავალ წერტილის შემდეგ პირდაპირ მოულოდნელი იყო მისი შემოსვლა ახალი ინტონაციური სტრიქონით და ბეჭრის მთქმელი კითხვით:

„მყვირალი რაღას შვრებოდა?“

აიღეთ თუნდ „ხის ბეჭის“ შესანიშნავი პერზაუ:

„...მთის ძირში სძინავს შავს ნისლსა,
 სჩანს უზარმაზარ გველადა,
 ღაბლიდამ მთებსა შეპყურებს
 შუბლ მოქუშული ცერადა.
 მთები კი წარბსაც არ სძრავენ,
 თითქო ღამსხდარან მღერადა, —
 ქედები აულერიათ,
 მუშტებსა ჰმუჭვენ კვერადა.
 „დინჯად იყავით, ჭკვიანად“,
 ამას გვეტყვიან რჩევადა,
 ლოცვა-კურთხევა უფლისა
 მოდის ხევიდან ხევად...
 ტურფა რამ შექმნა ბუნება,
 ასე რამ ააფერადა?“

სტატიური სურათის შესაფერ დინჯ რიტმში უცებ შემოდის განზე გამდგარი პოეტის ლალი ინტონაცია:

„...ტურფა რამ შექმნა ბუნება,
 ასე რამ ააფერადა?“...

ან კიდევ:

„ეთერი ჭკვიან სახელად
 თვითეულს ყვავილთაგანსა,
 იმათზე ტურფას ჭვეუნადა
 ვეღარა ჰნახავთ საგანსა...

ნეტავი ქვასა და ქვიშას,
ეთერის ცრემლით ნაბანსა!“. („ეთერი“)..

საერთოდ ფიგურალური სიუხვე ვაუას რიტმიული სიმდიდრის ერთი
მონაწილეთაგანია.

არის კიდევ ერთი თავისებურება ვაუას შემოქმედებაში. ამ თავისებუ-
რებას ძირი ხალხურ შემოქმედებაში აქვს და მას ხაზგასმა შეიძლება
ეწოდოს: აი ამის ნიმუში ხალხურიდან:

„წამოვიდა ეს არ სენა,
იმ გიორგის დაუხვდესა“.

„არსენას ლექსი“.

ან:

„...მოუტრირალებს ჯირითსა
იმ გაშავებულს მკლავზედა“.
„სოლოლას ლექსი“.
(ც. კოტეტიშვილის ხალხ. პოეზია).

ვაუაც ხშირად მიმართავს მსგავს ხაზგასმას, განსაზღვრული საგნის მე-
ორედ განსაზღვრას:

„...იზიდებიან შენსკენა
ის გრძნობისაგან მთვრალები“.
„არაგვს“, გვ. 10.

„...ალბათ სწყალობენ ვაუკაცა
ის ანგელოზნი ზენანი“.

„გოგოთ და აფშ.“.
„თეთრი იმ სპილოს ძვლისანი“.

„...სახე იმ სალის კლდისაო“.

„...და როგორც მეფე გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა,
მაღლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის მაღალის ღვთისა“.

„ნუგეში მგოსნისა“.

„იის და ვარდის ქსოვილი
იმ იალბუზის მთაზედა“.

„კითხვა-პასუხი“ და სხვ...

8ეტაფორა, შეღარება, ეპითეტი, პიკერბოლა

რომანტიკოსების სტილს, მეტაფორულ სტილს უწოდებდნენ და თუ კა
მართლა. შეიძლება ვინმეს სტილს მეტაფორული ეწოდოს, ყველაზე მე-
ტად ვაუა-ფშაველასა.

ვაუა-ფშაველას შემოქმედება, შეიძლება ითქვას, ერთი დაუსრულე-
ბელი გართულებული მეტაფორაა. მეტაფორული სიმდიდრით მას ვერც

ერთი მისი დროის პოეტი შესაღარებლად ვერ გამოადგება და რომ არ ყოფილიყო. დამაბრმავებელი ფერების დიდი ჯალოქარი, მეტაფორების. ზღაპრული იშვიათობის სასტატი — რუსთაველი, ბაშინ პირველობა უცალოდ ვაჟასი იქნებოდა ქართულს მწერლობაში.

ვაჟას მსოფლმხედველობა და მეტაფორული სტილი იმდენად ორგანიულად არიან ერთ მთლიანობად შეერთებულნი, რომ ძნელია საზღვრების მოძებნა, სად იწყება მეტაფორა როგორც ჩერტი პოეტური და სად, როგორც მსოფლმხედველობა — ათრაპომორფისტული.

ამ საზღვრის ძებნა უაზრობაცაა; რაღაც ვაჟა-ფშველა იშიტომ იყო დიდი პოეტი, რომ იგი მსოფლმხედველობრივად და მხატვრულად ერთი მთელი იყო.

მთის მდიდარ პოეტურ ფოლკლორზე — ზღაპრებსა, თქმულებებსა, ლეგენდებსა და შეუღარებელ ხალხურ ლექსებზე გაზრდილ ვაჟას, მეტაფორის გრძნობა თითქო მეექვე გრძნობად განუვითარდა.

შეტაფორაში გამოჩნდა ვაჟა მთელი ძლიერებით, როგორც პოეტი, აქ დაამტკიცა მან დიდი გემოვნება და ფანტაზიის უსაზღვრობა. ვაჟას მეტაფორა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) მარტივი მეტაფორა, 2) საგნობრივი და 3) ანიმისტური მეტაფორა. მარტივი მეტაფორა 2) საგნობრივი და 3) ანიმისტური საუბარში გავრცელებული მეტაფორების მსგავსია: მზე ეს ყოველდღიურ საუბარში გავრცელებული მეტაფორების მსგავსია: მზე ჩაღის, მთვარე ამოღის, ხევი ჩასტირის, მთებშა, დასუჭეს თვალები და სხვ. მარტივი მეტაფორა დაბალი საფეხურია საგნობრივი და ანიმისტურ მეტაფორისა.

ს ა გ ნ თ ბ რ ი ვ ი მეტაფორა საეჭი მეტაფორაა, რომლის დროსაც ხდება ცოცხალის, სულიერის ასოციაცია უსულობათან, ფსიქურის ფიზიკურთან, ან ფიზიკურისა ფსიქიურთან:

„ბისოს მოვიდა ამ ბ ა ვ ი,

ვით ნაქუხარი მეხადა:

მოუკლავთ ზვიადაური,

ცით ჩამოსული სვეტადა,

ფშავ-ხევსურეთის ფარხმალი,

გამოსადეგი მეტადა“.

(„სტ.-მასპინძ.“):

„დელეს ჩავიდა მწუხარე („დელა“).

ვარდი, ვარდისწყლით ნაბანი...“

„ბახტრ.“, 1687.

მთავარი ვაჟასთვის მაინც ანიმისტური მეტაფორაა:

ეს მეტაფორა იმდენად ხშირია ვაჟასთან, რომ, როგორც ვთქვით,

მთლიან მსოფლმხედველობითს სისტემას წარმოადგენს. მთლიან მსოფლმხედველობითს სისტემას წარმოადგენს. მთლიან მსოფლმხედველობითს სისტემას წარმოადგენს.

და სიახლით:

„მუხრანის ველზე მისცურავს

თვალებული კანჯარი“.

მუხრანის ველზე თავალებული კანჯარი არაგვია. — შეტაფორა მართლაც მოულოდნელი და თავისებურია.

ან:

„საყელოს შაკვრა უხდება
ველ-მინდვრებს მწევანე ძაფითა“.

კიდევ:

გადაივარცხნის ქოჩორსა
ჩამობოხილსა ნამისა
და შეუბურავს საროს ტანს
ჯანღი ნაწნავთა ჯარისა.

ვაჟას ასეთი გართულებული მეტაფორები ახასიათებს: უსულო საგანს არა მარტო ერთი თვისება ენიჭება აღამიანისა, არამედ რამდენიმე:

დღემ დაიხურა პირბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები,
აღარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები,
ქარი ქვითინებს, ლრუბელთა
ზარი სთქვეს შესაზარები“...

ან:

მალედვე დასდებს თვირთვილსა,
ფოთოლნი ჩამოსცვივიან;
მოღიან გულხელდაკრეფით,
ჩამოსვლით ჩამოსტირიან“ და სხვ.

ვაჟას რთული მეტაფორა იმდენად ვითარდება და იშლება, რომ ზოგ-ჯერ შისი გაშლილი მეტაფორა ერთგვარ წინაღმდეგობისკენ იხრება (როგორც ყველა პოეტის გაშლილი მეტაფორა):

„დაღამდა... წვრილწი ვარსკვლავნი.
აყვავდენ, დასხდენ ცაზედა;
მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა,
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სძინავს მჟღავზედა,
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს
შემომჯდარს გორის ფხაზედა,
სხივნი არ დაუგზავნია
პირის საბანად წყალზედა“?

„ლამე მთაში“.

მეტაფორული სიტყვები ერთით იქცევენ ყურადღებას: მთვარეს—ზემო სტრიქონებში პოეტმა მისცა აღამიანური თვისებები (ერთი ადამიანისა); მაგრამ მეტაფორის გაშლამ გამოიწვია მთვარის სხივებისთვისაც ასეთივე აღამიანურ თვისებათა და ჩვეულებათა მინიჭება (სხივების პირის ბანა).

გაშლილი მეტაფორები სიმბოლისტ პოეტებისათვის იყო ღამისაითებელი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათთან მეტაფორის გაშლა კატახეზამდე მიღიოდა — აშკარა შინაგან წინააღმდეგობამდე. სიმბოლისტების კატახეზები ამ წინააღმდეგობის გამო აუხსნელი და ირაციონალურია.

ვაჟა-ფშაველას მეტაფორა არაა სიმბოლისტური, მიუხედავად იმისა, რომ ირაციონალური კომპოზიციები, ჩვენებები, სიზმრები და მოლანდებები მისთვის ორგანიულია.

ეს „ირაციონალიზმი“ — სულ სხვა ამბებთანაა დაკავშირებული და არცართ შემთხვევაში სიმბოლისტურ მისტიკიზმთან.

მეტაფორა აღნიშნავს საგნების იგივეობას; ხოლო შედარება უჩვენებს ამ საგნების სხვადასხვაობას. გარეგნული განსხვავება ამ ორ ტრიპულ სახეობას შორის ისაა, რომ მეტაფორას არ სჭირდება კავშირები: როგორც, ვით და სხვა...

ვაჟას შედარებისათვის რამდენიმე ისეთი საშუალებაც აქვს, რომელიც მის მოსვლამდე მარტო ხალხურში იცოდა (ლიტერატურაშიც შეიძლება მოიძებნოს, თუმცა იშვიათად).

„...გასძელ, სხვა ხმალი იშოვე,
მტერი დააფრთხე თხებურა,
მარტო მისდიე მრავალსა
პიროფულიანმა მგლებურა“ („გოგო. და აფშ.“).
ან: „ბრძამ-ლელის წინდებსა ჰქოვდა,
თითებს აქანებს წყლებურა“ („ეთერი“).
„ბელლის კარს მიღვა მთებურა“
„მალლით ცას სწვდება მთებურა...
„საამო სახით ღვთებურა“

და სხვ.

აი ერთი ფორმა ვაჟას შედარებისა. ეს ფორმა დალექტურია ისე, როგორც მეორე:

„გული ქალებურ ტირისა (ტ. 3. გვ. 44).
„ქროლვა, ქორებულ ტევება“ — (ტ. 3. გვ. 51).

ზოგჯერ შედარებას იძლევა ვაჟა შესაძარებელი საგნის ვნებითი ბრუნვაში დაყენებით:

წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად — სამარი,
საკაცე — თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი ნაბდად საფარი — და სხვ.

შესაძარებელი საგნის უარყოფით ან კითხვით ფორმაში დაყენებითაც შესაძარებელი საგნის უარყოფით ან კითხვით ფორმაში დაყენებითაც (თუ, ან) ვაჟა აღწევს შედარების მოცემას:

„ქალი ვამსგავსე ამ დროსა
 ნამს ვარდზე მბრწყინავს დილითა,
 თუ შურთხი არი ლამაზი,
 მსტვინავი მალალ მთაზედა,
 ან თუ შავარდნის წიწილა,
 მწოლარე დედის ფრთაზედა?
 ან თუ ვარსკვლავთა კრებული,
 უხვესხივიანი ცაზედა?
 ან თუ ალმასი ფრანგული,
 დალირებული მკლავზედა?
 ან თუ ზღვას არ-ის მშოოთარე,
 აყვირებული ზღვაზედა?!
 იქნება სამოთხე იყოს,
 ქვეყნად მოსული ციდანა?
 — ვაჟკაცის გული ჭირია,
 გადაგდებული ჭკვიდანა“... („სისხლის ძიება“.)

შედარების ყველა მოყვანილი ფორმა გავრცელებულია ხალხურ პოეზიაში. ხალხურიდანაა აგრეთვე როგორც ის შემოქლებულად „რო“-ს სახით ხმარება შედარებისათვის:

„...რას დასძრწი, რას დაეთრევი,
 შე უნამუსოვ, ფაფხურა,
 რო (გორც) წისქვილებში მსუნავი
 ქურდი ქოფაკი შავყურა“

„გოგოთ. და სფუშ.“.

„...ხეესურთ რო (გორც) ზვავმა მთისამა
 წინ წაიმძლვარეს ქარია.“ („ბახტ.“ 177.)

შედარების სხვა სახეები (როგორც, ვით, მეგონა და სხ.) ჩვეულებრივია ვაჟასთვის: ახველდებიან ხევები

ვით ავადმყოფნი ჭლეჭითა“. („გვ.-მჭამ.“)
 მთის კალთებს შვენის ცხვარ-ძროხა,
 როგორც ლამაზ ქალს ხალები“ (იქვე).

შედარების ჭლასიფიცირებაც ასეთ ჯგუფებს მოგვცემს ვაჟასთან:

1) თანაბარ-ლი რსები ბიანი, როცა ფიზიკური მოვლენა ფიზიკურს ედარება, ან ფსიქიური ფსიქიურს:

„დედილამ, ლვინოდ ვაქციეთ
 ერთიან თერგის წყალია“.
 „ვსვამდი გულხარბად ხარივით“
 „ზღვის პირად იწვა ლრუბელი
 შავი, როგორიც მელანი“.

„ცრემლი ჩემ თვალთა ნაწური,
ზედ ნამაღ დაიყარია“...

და სხვ.

2) დაჭვეითებული, ან დაღმავალი შედარება, როცა
ფსიქიური (განკუნებული) ფიზიკურს ედარება, სულიერი, უსულოს:

„მის რჩევა მადლით მოსილი
გულს მოვლებოდა თაღადა... („ხმა გესმის“)
„ს აჭირვარამ თ ქვეყნისა
გულს ლახვრად გაიყარია“...
„აბა, ის არის ვაჟკაცი,
ის მომაჩნია მთვარედა“...
„ჯავრი ტანს ნაბდად გეხვევა,
ცრემლი მიგყვება საგძლადა
და ტრფობა შენი ქვეყნისა
უქმს და ხელუყრელს აბჯრადა“. („ალ. ყაზბეგს“.)
„თამარ დედოფლის ნაკოცნი
ბეჭდად უსვია ხმალზედა“... („ხმა სამარიდან“) და სხვ.

3) აღმავალი შედარება, როცა ფიზიკური ფსიქიურს ედარება,
კონკრეტული — განკუნებულს:

„დაბძანდა ქვეყნის ტახტზედა,
ვით მეფე ქვეყნის მპყრობელი“ („სიტყვა)
„კართანას უცდის არაგვი—
ვეფხვი ალმასის ქბილითა“ („გაზაფხ.“ 91 გვ.).
„წყლული სცნას დედის კოცნადა“
„რომ მოაგორებს ლოდებსა (ხევი)
მოგრგვინავს, როგორც დევია („სიმღერა“ 93. გვ.“.)

და სხვ.

ვაჟა-ფშაველას შედარებაც, როგორც ყველა მისი პოეტური ხერხი,
ხშირად პირდაპირ მიუთითებს მთის სოციალურ ყოფაზე, საჭარმოო
საშუალებებსა და იარაღებს:

„აიხსენ გველისპირული,
დიაცთ გადუგდე ცხემლადა;
ფარი — ქსლის ჩასაბეჭედად,
ხირიმ — გაუდვან გარადა;
დამბაჩა გამოადგებისა
საბრუნლად, თითის ტარადა!“
(„ალ. ქეთელაური“.)

ეპითეტი — ვაჟა-ფშაველასთან. ჩვეულებრივი მოვლენაა. მასთან
გვხვდება მარტივი ეპითეტებიც, როლიც და ბოლოს ეპითეტების რთუ-
ლი რიგიც.

შარტივი ეპითეტები — ისეთებია, როცა საგანს ერთი ეპითეტი აქვს
შარტი:

„შენი ფოფინა თვალები“
„პირგაშაული ღვარები“
„მაშ არც ვინ გიყვარს, შე კარგო, შენა?“

ვაჟას განსაკუთრებით ბევრი აქვს ვაჟკაცობის ეპითეტები. გმირო-
ბისა და ვაჟკაცობის საუკეთესო და ყველაზე გავრცელებული ეპითეტი
ხარია „ვაჟასთან: ქალს არვის წაყვანინებს

„ზაზულია ხარია“ („ფშავ. სიყვარული“ 13.)

ხევის პირზედა, ლოდებზედ
გიგლია კვდება ხარია „... („გიგლია“).
„ქარქაშში ალარ დგებოდა
ბასრი ფრანგული ხარია „... (იქვე):
„გუდანელთ ჩამასძლოლია,
ხოშარეული ხარია“... („ბახტრ.“ და სხვ.)

ვაჟას ფერითი ეპითეტი (ხალხუროდამ მომღინარე) ქართულ მწერ-
ლობაში განუშეორებელია და თავისებური: გაჯავრებისა და ბრაზისგან.
ფერშეცვლილ ვაჟკაცის ჩვეულებრივი ეპითეტი მგლისფერის დადებაა
ვაჟასთან და მართლაც რაოდენი გამომხატველობა აქვს ამ ეპითეტს:

„გაჯავრდა ქეთელაური,
ფერი დაიდვა შელისაო,
ხელი დაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო“... და სხ.

ვაჟას უყვარს რთული ეპითეტი, საგნისთვის რაოდენიმე თვისებებისა,
და ნიშნის მიცემა, ერთი საგნის ორი და რამდენიმე ეპითეტით ხსენება.
ფერითი ეპითეტიც ხშირადაა რთული:

„...ბევრი იტირებს ჩვენი მტრის
ომათაფლა, თეთრი ქალია“.

მეორე ეპითეტი გარდა შთაბეჭდილების გაძლიერებისა ხშირად
ალიტერაციისა და მუსიკალობის წოთხოვნილებითაც ჩნდება ხოლმე:

„შავის, შავხალის ხანჯრისა
მტრისად გულლვიდლში ტარება“.
„ომის წინ ჯარის სიმღერა“. გვ. 25.

ვაჟას ეპითეტი იშდენად კოლორიტიანია, რომ ხშირად მისი განს-
ნაც ძნელია: „ქალ-თვალ-შალ-შავას უთხარით
მალე დაიჭრას თმანია“.

„ქალ-თვალ-შალ-შავა“ ჩვეულებრივი სიტყვის კომპოზიტია.

ერთო შეხედვით, მაგრამ როცა შალ-შავას (მოცვი — მთიულურად) მნიშვნელობას გაიგებ, ეპითეტის ორიგინალობა და სიახლე გაოცებს. თვალის მოცვთან შედარებით ეპითეტის მოცემა ბარის პოეტსაც შეუძლია, მაგრამ „შალ-შავას“ ეფუძნები მასთან ერთ კონტექსტში ვერ იქნება მიღწეული, მით უფრო ასეთი ალიტერაცია, გაბედული და რთული კომპოზიტები.

ფერითი ეპითეტი ვაჟასთან უბრალოა, როგორც ყოველდღიურ საუბარში, მაგრამ ამ უბრალობას დღიდ მხატვრული შესაძლებლობის ბეჭედიც აქვს:

ასი კურატი რქათეთრი,
ორასი ნისლა ხაჩია“ („გალაშქრ. ლაშ. ჯვრ. დროშ.“)
„შავი ზღვის შავი ვეშაპი
პირლია დაგველირება“. („ღამე მთაში“.)
„იდინონ ნელის ნაბიჯით
შავთ ნისლთა გასაშტეროთა“.

წითლა, ლურჯა, შავგრემანა; ქერა და სხვა ფერითი ეპითეტებით სავსეა ვაჟას ლექსისები.
განსაკუთრებით ორიგინალურია ეპითეტი გასაჭრელო, ან შტერი.

„სადაც გახედავ, ყველგანა
გასაშტერონი დგებოდენ“...
„მთები დამდგარან შტერადა“ და სხვ.
ვაჟას უყვარს გართულებულა, რამდენიმე ეპითეტის რიგის შექმნა
„...მაშ მე რალა ვქნა უსხივომ,
უსტარშა, უსინათლომა,
უშმელ-უჭმელმა, ტიალმა,
ობოლმა, უბინადრომა“...
ან: „მოგროვდენ დევნი პირშავნი,
მყრალნი, ტანბალნიანები,
თავაზიანად მომეპყრნენ,
მოვიდენ სალმიანები,
მომართვეს სუფრა საჭმლითა,
ჩამოსხდენ ქალმნიანები,
მომაპყრეს გაშმაგებული,
თვალები შხამიანები“ და სხვ...

საინტერესოა ვაჟასთან შედარების ეპითეტად გადაჭრევა:

„თითო-ოროლა წარმოსთქვეს
სიტყვები ბოძიანები
და გაუწოდეს ყანწითურთ
მკლავები ტოტიანები“.

აქ სიტყვა შედარებულია ბოძთან, მკლავები — ტოტებთან, მაგრამ აფიქს იანის-იანის დამატებით ეს შედარება ეპითეტადაა გადაჭცეული.

ან კიდევ: შატილს მინდიაც მოიდა
ზერდაგით რვაღიანითა,
წელზე ნარტყამის ფრანგულით,
მკლავითა ფარიანითა,
თორმეტის ქისტის მამკლავი
შუბითა ტარიანითა,
ირემს ჰეგავს მინდის წითლაი
შუბლითა მთვარიანითა.
ალუდას აუგს ეტყოდენ
სიტყვითა შხამიანითა.
იწყინა, შუბლი დაკეცა
ნაოჭით ზარიანითა:
— ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს
ენითა ქარიანითა.

საინტერესოა, რამდენჯერმე განმეორებული ეპითეტი „თვალშურთხა“, რაც თვალჭრელს უდრის. ეს ეპითეტი მეტად გამომხატველია. შურთხი ლამაზი ფრინველიცაა და ჩარიც. „თვალ-შურთხა“ ვაჟას ორიგინალურ ეპითეტებიდან დამახასიათებელი და თავისებურია.

ვაჟას ეპითეტი ხახს უსვამს საგნის დამახასიათებელ თვისებას შეერითო შერჩევითაც:

„ყორნებსა ვხედავ მხოლოდა
სისხლით დათხუპნულთ, ბრჯლლიანთა“.
„თავი გაგორდა მიწაზე
ზანტად ტუჩების ლებითა,
ხმალსა ტანიც კი ჩაეჭრა
დალერებულსა კეფითა;
სისხლი ჩამოსდის დემურსა
ტანზე ჭიაფრად, ჩეფითა,
ბალას ჰლებს ცოლის მძებნელი
გულზე ხელების კრეფითა“.. („სისხლის ძიება“.)

ეპითეტსა, შედარებასა, მეტაფორასა და პიპერბოლას შორის ზოგჯერ საზღვრის დადება შეუძლებელია ვაჟასთან.

„ნისლი ფიქრია მთებისა“.

აქ შედარებაცაა და მეტაფორაც: მეტაფორაა იმიტომ, რომ მთეს ფიქრი არ შეუძლია და ადამიანის თვისება აქვს მიწერილი (ანტროპომორფიზმი), მაგრამ შედარებაცაა, რადგან ფუძე ისევ დარჩენილა (რაც მეტაფორას არ ახასიათებს), ნისლისა და ფიქრის პარალელი დატოვებულია.

„თვალთაგან ცრემლიც ჩამოსხლტა,
ვით მარგალიტი თლილია,

ცამ ჩამოხარა ღრუბლები,
წვიმამ დაალბო თხრილია,
თითო წვეთს თითო ყვავილი
ამოჰყვა, როგორ ლილია“.. („ეთერი“.)

პირველი ორი სტრიქონი შედარებაა (ცრემლი — მარგალიტი), მესამე სტრიქონში მეტაფორა იწყება (ღრუბლები — წარბები, ცა — შუბლი) და უკანასკნელში კვლავ შედარება ჩნდება.

ან „ეთერი“-დანვე:

წამწმებს დაწვდილებს შუბისწვრად,

(შედარება)

ეთერის წამწმებს შავსაო,
ზედ მარგალიტი დაესხმის
შავის მელნის ტბის თავსაო“.

(მეტაფორა)

მეტაფორისა და ჰიპერბოლის ერთმანეთში გადასვლის კარგი მა-
გლითია „ბახტრიონი“-ს შესავალიც:

ღლემ ღაიხურა პირბადე,
მთებმა ღახუჭეს თვალები,
ალარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები;
ჭარი ქვითინებს, ღრუბეკლთა
ზარი თქვეს შესაზარები.

გული ვერ მოუფხანია“... აქ მეტაფორა თავდება და
ჰიპერბოლა შემოდის: ცრემლი სდისთ ალაზნიანი!!.. და კვლავ მეტა-
ფორა გრძელდება: „ჩარეცხეს, ჩაალამაზეს“ და სხვ...

ვაჟას ჰიპერბოლის ღასახასიათებლად ეს ნიმუშიც კმჩრა:

„...მაგრამა ტირის ბეჩავი,
არ შეჰშრობია თვალია,
იმის ნაცრემლის ნისლებშა
მეც ამირიეს კვალია“... („გოგლია“.)

აბა რამდენიც ცრემლი უნდა დაღვაროს ადამიანმა, რომ ამ ცრემ-
ლებიდან დამდგარმა ნისლმა კაცს გზა აურიოს!?! დიდი გაბედულობა
და ფანტაზია უნდა ზომიერებრს გრძნობასთან ერთად ასეთი ჰიპერბოლის
ტქმას.

ფშავ-ხევსურული ჰოეტური ფოლკლორი მდიდარია. ჰიპერბოლებით,
მარტო ზურაბ ერისთავის გარშემო არსებული ლექსები (სასმელად არ

ეყოფიან ბაზალეთურნი ტბანი და სხვ.), ან „წუხელი რწყილმა მიკბინა“ რად ლირს! ხალხური ჰიპერბოლური ლექსები ჰუმორნარევია და ვაჟას ჰიპერბოლებიც ამ ხასიათისაა.

„მძინარე კატა“ და მით უფრო „ნახევარ-წიწილა“ ვაჟას ჰიპერბოლა-რული ლექსებიდან სანიმუშოა, ხოლო პატარა ლექსი „წიწილა“ ხომ შედევრის.

დიალგი — ვაჟა-ფშაველას ერთი ძირითადი პოეტური ხერხთა-განია. დიალოგის არაღრამატიულ ნაწარმოებში მისებრ თავისუფლად და ორგანიულად გამოყენებას იშვიათად შეხვდებით. განსაკუთრებით ძნელია დიალოგის ლირიკულ ლექსებში მოხმარა — ვაჟა აქაც საოცარ ოსტატობას იჩენს. დიალოგის ისეთი ძალაუტანებელი და ბუნებრივი შემოსვლა ეპიურ ტექსტში და, პირიქით, დიალოგიდან ისევ ჩვეულებრივ თხრობაზე გადასვლა, როგორც ვაჟასთან გვხვდება, იშვიათია.

ვაჟას დიალოგი არა მარტო პოემის გმირების გასაუბრების სახითა აქვს, არამედ აუტორისა და გმირის გალაპარაკების ფორმითაც.

ასეთი განვითარებული დიალოგიდან ერთი ნაბიჯილა იყო „გაკცე-თილამდე“.

ვაჟა-ფშაველა ბატალური სცენების შეუდარებელი ოსტატია, ომის აღწერა (ბახტრიონი, გვ. მჭამელი, სტ.-მასპინძელი და სხვ.) ქართულ პოეზიაში მასზე უკეთ ჯერ არავის მოუცია (რა თქმა უნდა; რუსთველს არ ვადარებ).

აღსანიშნავია, რომ პერზაქსაც, ზუნების აღწერას ზოგჯერ ოშისა და შეჯახების შეტარებით იძლევა:

„არავემა ლახტი აიღ
ამირანისა, რა ხანი;
მილეწ-მოლეწა კლდეები,
მტკვარს გააღინა. ჯახანი,
კართანას ფარი წაართვა,
ჟინვანს მოგლიჯა ჩაჩქანი:
დევები გაფრთხენ, გაიქცენ;
გადმოუყარეს აბჯარი;
ნოქიშე არ გაუშვია,
რომ არ დაეცეს ხანჯარი“... და სხ.

მოკლული კაცის ან ცხოველის სურათი ვაჟასავით არავის მოუცია:

თავი გაგორდა მიწაზე,
ტუჩებმ დაუწყო კაპუნი,
იტყოდი სარეკელასა
წისქვილზე გააქეს კაკუნი“... („ბახტრიონი“)

თავი გაგორდა მიწაზე,
 ზანტად ტუჩების ლებითა,
 ხმალსა ტანიც კი ჩაეჭრა,
 დალერებულსა კეფითა;
 სისხლი ჩამოსდის დემურსა
 ტანზე ჭიათურად, ჩქეფითა,
 ბალას ჰლებს ცოლის მძებნელი
 გულზე ხელების კრეფითა“. („სისხლის ძიება“)
 და სხვ....

ფშავლებს დევები ბოროტმომქმედებად ჰყავთ წარმოდგენილი და
 არა კეთილ სულებად, როგორც ინდოელებს. ფშავლის წარმოდგენით
 დევი არის ახოვანი, ტანი ხშირი ბალნით აქვს შემო-
 სილი; დევი დღე იმა ლება და ღამე გამოდის სანა დი-
 როდ. დევს ისე არაფრისა ეშინია, როგორც
 მახვილისა და ცეცხლისა. დევი კაცსა ჰგავს სახე უმსგავსია, წელს
 სახით, მაგრამ მისი სახე უმსგავსია, წელს
 ზევით ღორივით ჯაგარია ასხია.

(„კოპალა და იახსარი — დევების მებრძოლნი“ ვაჟა-ფშაველა ტ. 5.)
 ასეთ და მსგავს წარმოდგენებზე გაზრდილ ვაჟასათვის ჩვეულებრივია
 დევებზე და ქაჯებზე წერა. მას, როგორც მოქალაქეს, არ სჯერა ამ ჩვე-
 ნებათა სინამდვილე: „მისი (ძველი ადამიანის) გონებრივი სიმაღლე
 ხომ ერთის მაგალითოთაც გამოიხატება: ქარი ცოცხალი არსება ევონა და
 მუშტს ულერებდა, თავპირს დაგამტკრევო. ეს კიდევ არაფერი. იმ დროს
 კაცი თავის ფერის კაცის ხორცს დაუზარავად შაექცეოდა“.

„გოჩი.“ გვ. 33.

ვაჟა წერილებში ასე ლაპარაკობს პირველყოფილ ადამიანზე და მთი-
 ელზე. შემოქმედებაში თვითონ სჯერა ეს ჩვენებები თავის გმირებივით
 და ორგანიულად განიცდის მათ. სიზმარი და ჩვენება ვაჟას პოემების
 კომპოზიციაში იმდენად დიდს როლს თამაშობენ, რომ ამ როლის შესა-
 ხებ ცალკე გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს. აქ წინააღმდეგობა როდის:
 შველა დიდი პოეტის შემოქმედება მიმართავს ირაციონალ კომპოზიცი-
 ებს და სახეებს (გოეტე — „ფაუსტი“, ან რუსთველი)....

განხილულმა შასალამ ნათელყო ვაჟას პოეტიკის სიახლოვე ხალხუ-
 რის პოეტიკასთან. ვაჟა-ფშაველა არა მარტო გავლენას განიცდიდა ხალ-
 ხურისაგან; ზოგჯერ პირდაპირ სესხულობდა კიდევ.

ვაჟაფშაველას ხალხურთან ურთიერთობის ნიადაგზე უნდა დავაქვ-
 ნათ შემდეგი: მისი პოეტიკის არსებითი ნაწილი ხალხურის არსენალიდან
 არი. ვაჟა შეგნებულად დაეყრდნო ხალხურს და ეს დაყრდნობა უკიდუ-
 რესობით აღინიშნა — დიალექტის სამწერლო ენად მიღებით.

ეს იყო ვაჟას თავისებურების არსი ქართულს მწერლობაში. ხალხური, რომელსაც იგი დაეყრდნო, შეუდარებლად ძლიერი იყო. ვაჟას დიდ ნიშანს ბეჭედივით დააჩნდა ამ ძლიერების გავლენა, ეს გავლენა მას არა-სოდეს არ უარყყვია, როგორც არცერთ სხვა დიდ მწერალს, მაგრამ გავლენა ეპიგონობამდის არასოდეს არ მიუყვანია. და თუ მისი პოეტური ხერხების დიდ უმრავლესობას ხალხურში მოეპოება სათავე, ეს მის პოეტურ მიმბაძველობაზე როდი ლაპარაკობს, რაღან ბოლოს. და ბოლოს ხალხური ბევრის დამტევია და მის არსენალში ბევრი სხვა დიდი პოეტის იარაღის მსგავსებაც მოინახება.

პასუხისმგებლი რედაქტორი — ალექსანდრე ჭერიშვილი
გვივარი — ალ. აგაშვილი

მრავლიტი № 32008 შეკვ. № 948 ტირაჟი 5000

სახელგამის პოლიგრაფურმშინატი, ურაესის ქ. № 5

№ 37 ქ. იანვრიდან „ჩენი თაობა“ გამოღის ჟოველთვიურად.

ხელის მოწვერის პირობები:

წლიურად 18 მან.
ნახევარი წლით 9 კ.
ცალკე ნომერი 1 პ. 50 კ.

ჟელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოფუბერიატის
რაიონუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

უმაჩევული უმცირებელი.

60 გვერდზე მე-28 სტრიქონიდან და 81 გვერდზე მე-14 სტრიქონიდან

ა რ ი ს:

ჩამოდიოდენ ფრინვლები,
იზიდებოდენ მკერისაკვი,
ალაზაც მიიპარება
სასაფლაოს თავს მკედრისაკვ.

უ ნ დ ა ი ყ ო ს:

ჩამოდიოდენ ფრინვლები,
იზიდებოდენ მკედრისაკვი,
ალაზაც მიიპარება
სასაფლაოს თავს კლდისაკვ.